ეროვნული მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ნოემბერი ოთხშაბათი 2011
№282 (13579) ფასი 80 თეთრი

წილისყრა ნიონში. U17, U19

ყურადღებით, ეს ჩვენი მომავალია!

ეროვნული ნაკრები

რა სჭირდება ქართულ ფეხბურთს? ნიჭის პატრონობის ნიჭი 2

ზალპი გერმანიაში

თურქერთიც და...

12

კუპერმა დაასნრო



წარუმატებელი გამოდგა საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცის, ექტორ რაულ კუპერის დაბრუნება ესპანურ ფეხბურთში. 56 წლის არგენტინელი სპეციალისტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ გუნდს 2008-09 წლებში წვრთნიდა, წუხელ სანტანდერის „რასინგის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. ის არავის გაუშვია, უბრალოდ, თავადვე გადაწყვიტა, რომ 9 ქულით ბოლო ადგილზე მყოფი კანტაბრიული კლუბისთვის ასე უკეთესი იქნებოდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს შემდეგ კუპერი საბერძნეთში მუშაობდა, სადაც „არისს“ წვრთნიდა, 29 ივნისს კი „რასინგთან“ ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

U17, U19. წილისყრა

რა გვარგუნა ნიონმა?

ერთი სიკვდილის ჯგუფი, ორი მასპინძლობა და ორი ხორვატია

გუშინ ნიონში, უეფას შტაბბინაში ერთბაშად ოთხი ქართული ნაკრების მეტოქეები გაირკვა. შეგახსენებთ, გაზაფხულზე ჩვენი 17 და 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში ითამაშებენ, მომავალ შემოდგომაზე კი ამ ნაკრებთა შემდეგი თაობები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებენ.

მივყვეთ თანამიმდევრობით და განვიხილოთ, ვის მეტად გაუმართლა წილისყრამ და ვის – ნაკლებად.

U17. ევრო 2012. ელიტრაუნდი

ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა – აქ, დაგვეთანხმებით, კომენტარი ნამდვილად ზედმეტია. **ვასილ მაისურაძის** გუნდი ფორტუნამ არ დაინდო და ყველა კალათიდან ძლიერი მეტოქე არგუნა. განსაკუთრებით უსიამოვნო კი, რასაკვირველია, ესპანეთთან დაპირისპირებაა, რომელიც ნებისმიერ ასაკში ევროპის ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტია.

თუმცა, მცირედი შვება ნამდვილად არის ის ფაქტი, რომ ჯგუფს თბილისი უმასპინძლებს. ბუნებრივია, ეს ჩვენს შანსებს ზრდის და იმედი გვაქვს, ქართველი 17-წლამდელები შინაურ გარემოში უფრო ყოჩაღად ითამაშებენ.

გადახედეთ სხვა ჯგუფებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რაოდენ არ გაგვიმართლა. სხვა რომ არაფერი, ბოლო კალათში რამდენიმე უკეთესი ვარიანტი გვქონდა, მაგრამ რაც არის, ეგ არის, ბრძოლა ყველასთან შეიძლება. უიმედოდ ნამდვილად არ უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენმა 17-წლამდელებმა რამდენიმე თვის წინ ბაქოში გამართულ "კასპიის თასზე" ესპანელებთან 1:1-ს მიაღწიეს.

17 და 19-წლამდელთა საელიტრაუნდე მეტოქეთა შესახებ "ლელოს" უახლოეს ნომრებში უფრო ვრცლად გიამბობთ, ახლა კი მათ მიერ ელიტრაუნდამდე განვლილ გზას გადავხედოთ.

3 მატჩში 3 გამარჯვება, ბურთების შეფარდება 10-1-ზე – ასეთია ესპანელთა სტატისტიკა პირველ ეტაპზე, თუმცა ჯგუფს რთული არ ეთქმოდა. ესპანელებს მხოლოდ ჩერნოგორიელებთან გაუჭირდათ – 2:1, ხოლო მალტასა და პოლონეთს, შესაბამისად, 6:0 და 2:0 სძლიეს.

ელიტრაუნდში ინგლისმაც 9 ქულით გააღწია. ბრიტანელებმა ლატვია 4:0 გაანადგურეს, ბოსნია 2:0 დაამარცხეს, ხოლო ჰოლანდიას მინიმალურად - 1:0 მოუგეს.

სამაგიეროდ, უკრაინამ დასძლია პირველი რაუნდი რის ვაი-ვაგლახით – 2:0 ბელგიასთან, 0:1 ხორვატიასთან და 0:0 აზერბაიჯანთან, რომელსაც მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აართვა მეორე ადგილი.

შარშან, შემოდგომაზე თბილისში ჩატარებულ პირველ რაუნდში ინგლისის ნაკრებს **ჯონ პიკოკი** წვრთნიდა და ინგლისელი 17-წლამდელები საქართველოს კვლავაც მისი ხელმძღვანელობით ეწვევიან.

ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 4-16 მაისს სლოვენია უმასპინძლებს, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ. ჩვენი ჯგუფის მატჩები მომავალი წლის 26-31 მარტს გაიმართება.

I ჯგუფი: საფრანგეთი*, შვედეთი, იტალია, შვეიცარია

II ჯგუფი: ჩეხეთი, ბელარუსი, პოლონეთი, ლუქსემბურგი*

III ჯგუფი: ესპანეთი, ინგლისი, **საქართველო***, უკრაინა

IV ჯგუფი: გერმანია*, პორტუგალია, თურქეთი, ბულგარეთი

V ჯგუფი: სერბეთი, ჰოლანდია*, ირლანდია, ალბანეთი

VI ჯგუფი: დანია, შოტლანდია*, ისლანდია, ლიტვა

VII ჯგუფი: უნგრეთი,*, რუსეთი, ბელგია, უელსი

VII ჯგუფი: ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, ესტონეთი*, უელსი

VIII ჯგუფი: იტალია, უნგრეთი*, ალბანეთი, ლიხტენშტაინი

IX ჯგუფი: ნორვეგია, პორტუგალია, მალტა*, ისლანდია

X ჯგუფი: ირლანდია, რუმინეთი, შვედეთი, მაკედონია*

XI ჯგუფი: დანია, ჩეხეთი*, ჩერნოგორია, რუსეთი

XII ჯგუფი: თურქეთი, ხორვატია, ყაზახეთი, ისრაელი

XIII ჯგუფი: შოტლანდია, **საქართველო***, ლუქსემბურგი, უკრაინა

ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრები და მათი მწვრთნელი ჯონ პიკოკი თბილისს შარშანაც სტუმრობდნენ

U17. ევრო 2013. I შესარჩევი ეტაპი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მომავალ შემოდგომაზეც მასპინძელი იქნება. წილისყრის შედეგები არაიდეალური, მაგრამ მაინც დამაკმაყოფილებელია. ჩვენს ჯგუფში დაუმარცხებელი არავინაა და საქართველოს ნაკრებს, რომელსაც, სავარაუდოდ, **გელა შეყილაძე** განვრთნის, ელიტრაუნდში გასვლის რეგიანი შანსი აქვს.

2013 წლის ფინალურ ეტაპს სლოვაკეთი უმასპინძლებს, თბილისური მინიტურნირი კი 2012 წლის 30 ოქტომბერს დაიწყება და 4 ნოემბერს დასრულდება, ჯგუფიდან კი ელიტრაუნდში პირველ-მეორეადგილოსნები და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი გავლენ.

I ჯგუფი: ბელარუსი, სერბეთი*, მოლდოვა, სომხეთი

II ჯგუფი: ფინეთი*, გერმანია, ანდორა, სან მარინო

III ჯგუფი: ბელგია*, ჰოლანდია, ლიტვა, ლატვია

IV ჯგუფი: ესპანეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი*

V ჯგუფი: საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, ბოსნია*

VI ჯგუფი: ავსტრია*, შვეიცარია, კვიპროსი, ფარერები

VII ჯგუფი: ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, ესტონეთი*, უელსი

VIII ჯგუფი: იტალია, უნგრეთი*, ალბანეთი, ლიხტენშტაინი

IX ჯგუფი: ნორვეგია, პორტუგალია, მალტა*, ისლანდია

X ჯგუფი: ირლანდია, რუმინეთი, შვედეთი, მაკედონია*

XI ჯგუფი: დანია, ჩეხეთი*, ჩერნოგორია, რუსეთი

XII ჯგუფი: თურქეთი, ხორვატია, ყაზახეთი, ისრაელი

XIII ჯგუფი: შოტლანდია, **საქართველო***, ლუქსემბურგი, უკრაინა



U19. ევრო 2012. ელიტრაუნდი

ნახეთ, მაგალითად, I და VII ჯგუფების შემადგენლობა და დარწმუნდებით, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გაუმართლა. სახელით, პირველი კალათიდან ერთ-ერთი უსუსტესი ბოსნია გვერგო, მეორიდან ჰოლანდია, შვეიცარია და გერმანია ავიცილეთ, მეოთხიდან კი – იტალია. ასე რომ, **გიორგი დევდარიანის** გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ამ ჯგუფისთვისაც ბაქართველოსუქმანიძლა, მაგრამ უეფა ცდილობს, ეს უფლება ქვეყნებს თანაბრად გადაუნაწილოს. ასე რომ, ჩვენს 19-წლამდელებს ელიტრაუნდი ხორვატიაში ელით.

ბოსნია ელიტრაუნდში 9 ქულით გავიდა, თანაც საკმაოდ თანაბარი და ძლიერი ჯგუფიდან – რუსეთს, ირლანდიასა და ბულგარეთს, შესაბამისად, 2:0, 2:0 და 2:1 სძლია.

ხორვატიამ 7 ქულა დააგროვა და ისიც პირველ ადგილზე გავიდა – ფინეთი 4:2 დაამარცხა, მოლდოვა 4:0 გაანადგურა, ჰოლანდიასთან კი 0:0 ითამაშა.

ავსტრიელთა ნაკრები ელიტრაუნდში დაუმარცხებლად და გოლგაუშვებლად, თუმცა მეორე ადგილით გავიდა – 3:0 მალტასთან, 0:0 კი ალბანეთთან და დანიასთან.

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი მომავალი წლის 3-15 ივლისს ესტონეთში ჩატარდება და მასპინძლებთან ერთად იქ მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები იასპარეზებენ. ჩვენი ჯგუფის მატჩები 25-დან 30 მაისამდე გაიმართება.

I ჯგუფი: საფრანგეთი, ჰოლანდია, ჩეხეთი*, ნორვეგია

II ჯგუფი: ინგლისი*, შვეიცარია, სლოვენია, ჩერნოგორია

III ჯგუფი: უნგრეთი, გერმანია, რუმინეთი, სერბეთი*

IV ჯგუფი: პორტუგალია*, უკრაინა, ირლანდია, ისრაელი

V ჯგუფი: საბერძნეთი, დანია*, თურქეთი, კვიპროსი

VI ჯგუფი: ბოსნია, ხორვატია*, **საქართველო**, ავსტრია

VII ჯგუფი: ესპანეთი, ბელგია, სომხეთი, იტალია*

U19. ევრო 2013. I შესარჩევი ეტაპი

აქ საშუალო სირთულის ჯგუფი შეგვხვდა, შესაბამისად, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, რომელსაც, სავარაუდოდ, **კობა ჟორჟიკაშვილი** გაწვრთნის, ელიტრაუნდში გასვლის კარგი შანსი აქვს. ჩვენი 19-წლამდელები მომავალ შემოდგომაზეც ხორვატიაში გაემგზავრებიან, სადაც ტურნირი 26 ოქტომბერს დაიწყება და 31-ში დასრულდება.

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს ლიტვა უმასპინძლებს. ელიტრაუნდში პირველ და მეორე ადგილებზე გასული ნაკრებები გავლენ, რომელთაც საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება. საუკეთესო რეიტინგის მქონენი, ესპანეთი, სერბეთი და თურქეთი, პირველი ეტაპისგან თავისუფლები არიან.

I ჯგუფი: ავსტრია, უნგრეთი*, ანდორა, ბულგარეთი

II ჯგუფი: ფინეთი, დანია, ჩერნოგორია, კვიპროსი*

III ჯგუფი: პოლონეთი, ჰოლანდია, სან მარინო*, მალტა

IV ჯგუფი: ჩეხეთი, საბერძნეთი, ჩრდილოეთ ირლანდია*, მოლდოვა

V ჯგუფი: გერმანია, ირლანდია, მაკედონია, ლუქსემბურგი*

VI ჯგუფი: საფრანგეთი, პორტუგალია*, ისრაელი, ლატვია

VII ჯგუფი: ბელგია, იტალია, ბელარუსი, ალბანეთი*

VIII ჯგუფი: სლოვაკეთი, ნორვეგია, ყაზახეთი, ბოსნია*

IX ჯგუფი: შოტლანდია*, შვეიცარია, სომხეთი, რუმინეთი

X ჯგუფი: უელსი, რუსეთი, შვედეთი, სლოვენია*

XI ჯგუფი: ხორვატია*, აზერბაიჯანი, **საქართველო**, ისლანდია

XII ჯგუფი: უკრაინა, ინგლისი, ფარერები, ესტონეთი*

შენიშვნა: ვარსკვლავით აღვნიშნეთ ჯგუფების მასპინძლები

ლევან ჯანეზაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

შეგვიძლია, მაგრამ ვერ ვახერხებთ

ზურაბ ხიზანიშვილს სჯერა, რომ შერიგება ზღაპარი არ არის. ზღაპარი უფრო ჯგუფიდან გასვლაა

შეიძლება, გეუცნაუროთ, მაგრამ ზურაბ ხიზანიშვილთან საუბრისას სიტყვაც არ დაგვიძრავს თურქეთსა და "ქაისერისფორზე". საერთო საფიქრალზე, ანუ საქართველოს ნაკრებზე ვილაპარაკეთ – ეროვნული გუნდის გამოცდილი წევრი თავის აზრს გვიზიარებს განვლილ შესარჩევ ციკლზე, წარუმატებლობის მიზეზებზე, ფეხბურთელებისა და მწვრთნელის დაპირისპირებაზე...

- შემოდგომაა და წიწილების დათვლის დრო დადგა: გასრულებულ სანაკრებო სეზონში რატომ გახდა ხორვატიასთან გამარჯვება არა წინსვლის, არამედ წარუმატებელი სერიის წინა პირობა?

- ძნელი სათქმელია. ისრაელთან ნაგების შემდეგ ვერა და ვერ დავლაგდით, არადა, მონდომება და ენთუზიაზმი არ გვაკლდა.

- გამართლებული იქნება იმის თქმა, რომ გუნდს ფსიქოლოგიური და სათამაშო რესურსი არ ეყო?

- ვერ გეტყვით, რა პრობლემები წარმოიშვა. ვფიქრობ, ფეხბურთელებსა და ნაკრების ხელმძღვანელობაზე დიდი ზეწოლა იყო და ეს ჩვენს თამაშზეც აისახა. სულ წნეხის ქვეშ ყოფნა ძალიან ძნელია.

- თუ გუნდს ამბიცია აქვს, ეს ასეც უნდა იყოს, მას გულშემატკივარი ყოველთვის მეტს სთხოვს.

- რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ, როდესაც შენს ნაკრებს ბევრს სთხოვ, შენც ბევრი უნდა გაიღო. მე, როგორც ნაკრების წევრი, იცით, რას ველი? იმას, რაც და როგორც ხდება გერმანიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, თურქეთში - ცუდი ვარ თუ კარგი, მაინც შენი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელი ვარ და ნებისმიერ შემთხვევაში გვერდში უნდა დამიდგე.

- გულშემატკივარი გვერდში კი გიდგათ, მაგრამ ზოგი ნაკრები ამ ზეწოლა-მოთხოვნას უძლებს, ზოგიც იბნევა. ჩვენი ნაკრების სიტუაცია მეორე, სამწუხარო ვარიანტს ჰგავს.

- ჩვენ გვყავს ერთგული გულშემატკივარი, რომელიც ნებისმიერ ამინდში დადის სტადიონზე, მაგრამ მოლდოვასთან და საბერძნეთთან სტადიონი რომ ვერ შეივსო, ეს მაინც დასანანი იყო.

- ასე მგონია, თავად ფეხბურთელებს არ გჯერათ, რომ ნაკრებს წარმატების მიღწევა შეუძლია, თორემ

თამაშით თუ ვიმსჯელებთ, პირველადგილოსან საბერძნეთსაც ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდით.

- რაც ლატვიის ნაკრებთან დაგვემართა, ეს ჩვენს გუნდს ძალიან ცუდად ახასიათებს. მართლაც კარგად ვითამაშეთ, ბევრი მომენტიც შევქმენით და უნდა მოგვეგო, მაგრამ ვერა და ვერ გავიტანეთ. ჩვენი უიღბლობის მიზეზიც აქ არის საძიებელი — შეგვიძლია, მაგრამ ვერ ვახერხებთ. ლატვიასთან ნაგების შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი დავკარგეთ, მალტაში მოგებაც არაფერს გვაძლევდა, ხასიათი გაგვიფუჭდა და ვაღიარებ, ვერ მოვახერხეთ ისე განწყობა, როგორც საჭირო იყო.



- გვერდს ვერ ავუვლით თემურ ქეცბაიასთან დავით მუჯირის, გოგიტა გოგუასა და დავით სირაძის დაპირისპირებას. ისინი ნაკრებში არსებულ პრობლემებზე ლაპარაკობენ. რეალურად რა მდგომარეობაა გუნდში?

- ფეხბურთელებმა თავისი აზრი გამოთქვეს, ქეცბაიამ მათ პასუხი გასცა, მე კი ვფიქრობ, რომ ორივე მხრიდან განცხადებები ცხელ გულზე გაკეთდა. დიდი ხანია, მათ ვიცნობ და არა მგონია, რომელიმემ გულში ბოღმა ჩაიდოს და ერთმანეთს საშვილიშვილოდ გადაეკიდონ. ჩემი სურვილიც ესაა, ყველაფერი დროულად მოგვარდეს. ყველა მათგანს უყვარს საქართველო, გული შესტკივა ჩვენს ნაკრებზე. ფეხბურთელებს უნდათ, ნაკრები უფრო ძლიერი იყოს, ქეცბაიაც სწორედ საამისოდ მუშაობს და, ცხადია, საკუთარი გზა აქვს არჩეული. აქ ხომ სხვა ვარიანტი არ არსებობს.

მე მაინც მგონია, რომ ემოციებმა იძალა. იმედი მაქვს, ისინი მალე მოახერხებენ ადამიანურად დალაპარაკებას და ერთმანეთისას გაიგებენ. ეს საერთო ინტერესებისთვისაა საჭირო.

- მოლდოვასთან მოგებით წლის დასრულება ურიგო საქმე არ არის. მეტოქის სისუსტის მიუხედავად, დიდი ხანია, საქართველოს ნაკრებს ასე დამაჯერებლად არ უთამაშია.

- მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ შედეგი, წელი კარგად უნდა დაგვესრულებინა. საბედნიეროდ, ეს მოვახერხეთ. თამაშის ხარისხი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი იყო და მწვრთნელისგან ასეთი დავალება არც გვქონია. ამოცანად უხეირო თამაშების სერიის შემდეგ გამარჯვება და მაყურებლისთვის ხასიათის გამოკეთება გვქონდა დასახული.

- სხვათა შორის, ეს იყო ის იშვიათი შეხვედრა, როცა ფეხბურთელები თამაშით სიამოვნებას იღებდით. ეს განწყობა აშკარად გეტყობოდათ.

- როდესაც მეტოქე სუსტია და შესაძლებლობა გაქვს, რატომაც არ უნდა ისიამოვნო?! თუმცა, ისიც კარგად გვახსოვს, ორი წლის წინ თბილისში მოლდოვასთან მატჩით როგორ "ვისიამოვნეთ". ასე რომ, თუ ჩვენმა მეტოქემ კარგად ვერ ითამაშა, ეს ჩვენი დამსახურებაა და არა მხოლოდ სტუმართა სისუსტის შედეგი. პირველი ტაიმის შემდეგ ბიჭებს ვეუბნებოდი, დიდი სხვაობითაც რომ დავწინაურდეთ, არ უნდა მოვეშვათ და რაც შეიძლება, მეტი გავიტანოთ-მეთქი. ყველაზე ნერვების საწყვეტი 2:1 და 3:2 ანგარიშია. თუ შანსი გაქვს, 10:0 უნდა მოიგო და მეტოქე ბოლომდე გაარღვიო. ამით უფრო თავდაჯერებული ხდები და მომავალი მეტოქეებიც მეტი პატივისცემით გეპყრობიან.

გვქონდა კიდეც დიდი ანგარიშით გამარჯვების შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, პენალტი ვერ გამოვიყენეთ. თუმცა ურიგო შედეგი არც 2:0-ია.

- ნაკრებში საინტერესო მოთამაშეები გამოჩნდნენ — თარგამაძე, კობახიძე... ყენიას დაბრუნების იმედიც არის. მაგრამ მომდევნო შესარჩევ ციკლში ესპანეთისა და საფრანგეთის მეტოქეობა უმძიმესი ხვედრია.

- საფრანგეთისა და ესპანეთის თანაჯგუფელობისას წარმატებაზე ლაპარაკი რომ ზედმეტია, ეს საკამათო არ უნდა იყოს, მაგრამ იმის იმედი მაინც მაქვს, რომ ასეთ ძლიერი გუნდების წინააღმდეგ ჩვენი ნაკრები გაიზრდება და იქნებ, ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შესარჩევ ციკლში მაინც ვიბრძოლოთ.

მომდევნო ციკლი კი, ჩემი აზრით, ახალგაზრდების რეკლამირებისა და დაწინაურებისთვის უნდა გამოვიყენოთ, ამ თამაშების შემდეგ ძლიერ გუნდებში რომ გადავიდნენ. ისე არ გაიგოთ, რომ ციკლს უმოტივაციოდ ველი, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები რეალურად უნდა შევაფასოთ, გასვლაზე ფიქრი კი ზღაპარია.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

ხომ გეუბნებოდით, ქართველთან ფრთხილად იყავით-მეთქი...

ზარიას მწვრთნელის სინანული გასაგებია: ის თარგამაძის გოლმა შეიწირა

უკრაინული პრემიერლიგის ბოლო ტურში "ოლექსანდრიამ" უშუალო კონკურენტი, ლუგანსკის "ზარია" **დავით თარგამაძის** ძალზე ეფექტური გოლით 1:0 დაამარცხა.

ეს არ იყო ქართველი ლეგიონერის ერთადერთი გაბრწყინება. მან მე-4 წუთზე უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ **სერგეი სტარენკი** დატოვა, მაგრამ თანაგუნდელმა მომენტით ვერ ისარგებლა. მერე იყო დათოს გოლი (მე-17 წუთზე), 27-ეზე კი 22 წლის შემტევ ნახევარმცველს დუბლის გაფორმებაც შეეძლო, როდესაც კვლავ საჯარიმოს სიახლოვიდან დაარტყა, მაგრამ გამოცდილმა მეკარე **იგორ შუხოვცევმა** ამჯერად არ გაატანინა.

საინტერესო იყო კომენტატორის სიტყვები დათოს გოლისას: *"ულამაზესი გოლი! აი, ეს არის ოსტატობა და ამიტომაც არის თარგამაძე ზე ასეთი მოთხოვნა. ეს იყო აუღებელი დარტყმა. საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა წევრი უდავოდ მაღალი კლასის მოთამაშეა".*

მატჩის შემდეგ "ზარიას" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ჩანცევმა** სინანულით თქვა: *"ბიჭები წინასწარ გავაფრთხილე, თარგამაძესთან ფრთხილად იყავით, მარჯვენა ფეხით კარგად ურტყამს და საიმედოდ უდარაჯეთ-მეთქი, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა".*

თურმე ტყუილად როდი წუხდა ეს კაცი - ამ გოლით თარგამაძემ ლუგანსკელების მთავარი მწვრთნელი შეიწირა – მატჩის შემდეგ ჩანცევი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

უკრაინელმა გულშემატკივარმა "უაფუტბოლის" ფორუმში თამაშის სტილით თარგამაძე "ლილის" ბელგიელ ვარსკვლავ **ედენ აზარს** შეადარა, რომლის შეძენას ევროპული გრანდები ეშურებიან, კლუბის პრეზიდენტი კი ბელგიელის ტრანსფერში 50 მილიონ ევროს ითხოვს. მეორე ფანი კი ამტკიცებდა, ქართველი **კარლოს ტევესის** ალიკვალიაო. იქვე გამოითქვა ვარაუდი, თარგამაძე იმდენად კარგი ფეხბურთელია, ზამთარში "ოლექსანდრიას" აუცილებლად დატოვებსო.

უკვე გაუწყეთ, რომ ამ გოლით თარგამაძე კლუბის ისტორიაში შევიდა — მე-900 გოლი გაიტანა. კლუბის ვებგვერდი წერს, ეს საიუბილეო გოლი ქართველმა დამსახურებულად მიითვალაო.

მერაბ მამულაშვილი

დინამო

ახლა ჯერია ლორი 100

როგორც თბილისის „დინამოს" ვებგვერდი იუწყება, თუ დიდთოვლობამ ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურიც არ გადადო, **გიორგი ლორია** "დინამოს" მაისურით უმაღლეს ლიგაში მე-100 მატჩს ჩაატარებს. 4 დეკემბერს "დინამო" "დილას" უმასპინძლებს. რომ არა უხვი ნალექი, საიუბილეო შეხვედრას საქართველოს ნაკრების მეკარე ზესტაფონში გამართავდა.

25 წლის ლორია "დინამოს" აღზრდილია, მისი მთავარი გუნდის შემადგენლობაში კი სადებიუტო მატჩი 2005 წელს ჩაატარა.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. A ზონა

ახალი ფორმატი ძველი სახეებით

უამინდობამ კორექტივები არამხოლოდ უმაღლეს ლიგაში შეიტანა: ნაადრევი თოვლის გამო პირველ ლიგაშიც გადაიდო რამდენიმე თამაში; ასე, მაგალითად, XV ტურში „ა“ ზონაში ხუთიდან მხოლოდ ორი მატჩი ჩატარდა, „ბ“ ზონაში კი — სამი. არადა, ორივე ზონაში გათამაშების პირველი ეტაპის დამთავრებას, ფაქტობრივად, აღარაფერი აკლდა — სამი ტურიც და ყველაფერი გაირკვეოდა. შეგახსენებთ, რომ უმაღლესის მსგავსად, ამ სეზონში პირველი ლიგის გათამაშებაც ახლებური ფორმატით ტარდება: ჩემპიონატში მონაწილე 20 გუნდი თანაბრად გადანაწილდა „ა“ და „ბ“ ზონებში. ორწრიანი ტურნირის შემდეგ „ა“ და „ბ“ ზონებს ორ-ორი საუკეთესო გუნდი ახალ ტურნირში ჩაებმება, სადაც უმაღლეს ლიგაში IX-XII ადგილზე გასულ გუნდებთან ერთად ასპარეზობას ნული ქულით დაიწყებს. ეს რვაგუნდიანი ტურნირიც ორწრიანია და ოთხი საუკეთესო გუნდი მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. აი, რაც შეეხება პირველი ლიგის „ა“ და „ბ“ ზონებში III-X ადგილზე გასულ გუნდებს, ამათთვისაც ცალკე ტურნირი ჩატარდება: ეგრეთ წოდებულ გასავარდნ პლეი ოფში გუნდებს პირველ ეტაპზე ერთმანეთში დაგროვილი ქულები გადაჰყვებათ. აქაც ორი ჯგუფი შეიქმნება და გუნდებიც შემდეგნაირად გადანაწილდებიან: A ჯგუფში იასპარეზებენ „ა“ ზონაში III, VI, VIII, IX და „ბ“ ზონებს IV, V, VII და X ადგილზე გასული გუნდები; B ჯგუფს კი შეადგენენ „ა“ ზონის IV, V, VII, X და „ბ“ ზონის III, VI, VIII და IX-ადგილოსნები. ჯგუფებში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები ავტომატურად ვარდებიან პირველი ლიგიდან; ხოლო მეშვიდეადგილოსნები ერთ მატჩში (ნეიტრალურ მოედანზე) გაარკვევენ ურთიერთობას — გამარჯვებული მომავალ სეზონში პირველ ლიგაში ითამაშებს, დამარცხებული კი მეორე ლიგაში.

აი, ასეთია პირველი ლიგის გათამაშების რეგლამენტი და იმის მიუხედავად, რომ პირველი ეტაპის დამთავრებამდე სამი ტურია დარჩენილი, ორივე ზონის გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, გარკვეულია. ვიდრე „ა“ და „ბ“ ზონების გათამაშების მიმოხილვას შემოგთავაზებთ, კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ, თუ როგორი ტიტულიანი გუნდები ასპარეზობენ რანგით მეორე ლიგაში; თბილისის „ლოკომოტივს“ სამჯერ აქვს საქართველოს თასი მოპოვებული, ჩემპიონატში ორჯერ ვერცხლის მედლებს დაეუფლა, ერთხელ კი ბრინჯაოს; ბათუმის „დინამოს“ საქართველოს თასიც აქვს მოგებული, სუპერთასიც, პლუს ჩემპიონატის ვერცხლიც და ბრინჯაოც; ლანჩხუთის „გურია“ საქართველოს თასის პირველი გამარჯვებულია და ორჯერ ვერცხლის მედლებიც მოიპოვა, საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორობით მოიწონებს თავს „სამტრედიაც“. არანაკლებ შთამბეჭდავია დღესდღეობით პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდების საუმაღლესლიგო მონაწილეობის სტატიკა: უძლიერესთა შორის ბათუმის „დინამომ“ 19 (!) სეზონი ჩაატარა (უკეთესი შედეგი მხოლოდ თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ აქვს, ანალოგიური — ფოთის „კოლხეთსა“ და გორის „დილას“), თბილისის „ლოკომოტივმა“ და „სამტრედიამ“ - 13-13, ლანჩხუთის „გურიამ“ და წყალტუბოს „სამგურალმა“ - 11-11, ოზურგეთის „მერცხალმა“ და ხობის კოლხეთმა“ — 4-4, „ჭიათურამ“, ახალციხის „მესხეთმა“ და ვანის „სულორმა“ — 2-2, საჩხერის „ჩიხურამ“ — 1.

ამირან მუჯირი (მარცხნივ)

დაბრუნების მოლოდინი

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვივარაუდეთ, რომ „ა“ ზონის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ბათუმის „დინამო“ უნდა ყოფილიყო, რომელიც 1990-1999 წლებში საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო და, ფაქტობრივად, ყველა ტიტულიც მოიპოვა, ჩემპიონობის გარდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბათუმელები რეგულარულად ასპარეზობდნენ ევროტურნირებზე და 1995-99 წლებში ვისაც ამ გუნდის საერთაშორისო სარბიელზე ჩატარებული მატჩები ახსოვს, ყველა დაგვეთანხმება, რომ „დინამო“ არც ერთ მეტოქესთან არ შერცხვენილა. სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, აჭარაში ფეხბურთის მიმართ დამოკიდებულება უარესობისკენ შეიცვალა და საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდი პირველი ლიგაში დაქვეითდა. აღარაფერს ვამბობთ მავანთა მიერ მიღებულ „ბრძნულ“ გადაწყვეტილებაზე, როდესაც ბათუმის სტადიონი (ჩინებული ადგილმდებაროება რომ ჰქონდა) დაანგრიეს...

პირველი ეტაპის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ბათუმის „დინამომ“, ფაქტობრივად, გაინაღდა გადათამაშებაში ასპარეზობა: ახალგაზრდა სპეციალისტის, **იოსებ ნასუაშვილის** გუნდს დარჩენილ სამ თამაშში ერთი ქულაღა სჭირდება. „ა“ ზონის ფავორიტმა ეს ეტაპი

ამირან მუჯირი (მარცხნივ)

ლიგის ყველაზე ტიტულიანი მოთამაშე: 37 წლის **ამირან მუჯირის** ისედაც შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა კვლავაც გრძელდება! თანაც გრძელდება იმ გუნდში, სადაც 17 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და საიდანაც გაიცნო კიდეც საფეხბურთო სამყარომ; ამირან მუჯირს ისრაელშიც უთამაშია, საბერძნეთშიც და კვიპროს ზეც, მაგრამ მის საფეხბურთო ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოში, ბულგარეთსა და აზერბაიჯანში გატარებულ პერიოდს — ამ სამი ქვეყნის ჩემპიონი გახლდათ. არც ის დაგვავიწყდეს, 1997-98 წლებში მუჯირს 2 მატჩი რომ აქვს ჩატარებული საქართველოს ნაკრებში.

ბათუმის „დინამოს“ ფავორიტობას მართლაც ყველა „შეგუებული“ ვიყავით, რაც შეეხება „ა“ ზონის მეორე გამარჯვებულს, ამ შემთხვევაში რომელიმე გუნდისათვის უპირატესობის მინიჭება ძნელი საქმე იყო. ამჟამად კი ისეთი სიტუაციაა, რომ ამ ერთი ვაკანტური ადგილისათვის ორი გუნდი აცხადებს პრეტენზიას: ოზურგეთის „მერცხალი“ და „ჭიათურა“; ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ორივე ამ გუნდის წარმატებული ასპარეზობა მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. ოზურგეთელებმა უმაღლეს ლიგაში უკანასკნელად 2003-04 წლების სეზონში იასპარეზეს და აი, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ „მერცხალს“ კვლავაც გაუჩნდა შანსი, უძლიერესთა რიგებში ითამაშოს. ადგილობრივი სპეციალისტის, **ხარიტონ ჩხატარაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მერცხალს“ თავის კონკურენტთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც აქვს: პირველი ეტაპის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე „ჭიათურას“ 2 ქულით უსწრებს და ამას გარდა, ურთიერთშეხვედრებშიც უპირატესობა აქვს. სხვათა შორის, 19 ნოემბერს ჩატარებული „მერცხალისა“ და „ჭიათურის“ დაპირისპირებას ოზურგეთის „მეგობრობის“ სტადიონზე 1500 გულშემატკივარი ესწრებოდა! „მერცხალის“ შემადგენლობაში, ძირითადად, ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც უდიდეს გამოცდილებას იძენენ გუნდის სტაჟიანი წევრების გვერდით: 37 წლის **მიხეილ ქობულაძისა** და 41 (!) წლის **გია გოგუასგან.** სხვათა შორის, „მერცხალის“ ვეტერანი მეკარე გია გოგუა საქართველოს... პირველ ჩემპიონატშიც თამაშობდა (ქობულეთის „შუქურას“ შემადგენლობაში)! ამას გარდა, სხვადასხვა დროს ფოთის „კოლხეთშიც “ უასპარეზია და ლანჩხუთის „გურიაშიც“, თუმცა საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელს (უმაღლესი და პირველი ლიგის მასშტაბით) კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ ამჟამინდელ გუნდში აქვს გატარებული.

ამ ჩემპიონატში თუ რომელიმე გუნდის პროგრესი უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, „ჭიათურაზე“ ითქმის — წინა სეზონი გუნდმა ბოლოსწინა ადგილზე დაამთავრა, ახლა კი უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვის იბრძვის. ამ სეზონის დაწყების წინ „ჭიათურაში“ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჩაირიცხა, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის გამოცდილება რომ გააჩნდათ: **ზაურ ხაჭიპერაძე, დავით და გიორგი ქირიები, შალვა ფირცხალავა,** მოგვიანებით მათ **ნიკოლოზ სტეფანიშვილიც** დაემატათ; ნურც ის ფეხბურთელები დაგვავიწყდება, **მიხეილ კიპაროიძის** გუნდში წინა წლებშიც რომ ასპარეზობდნენ: 23 წლის **ნიკა გაფრინდაშვილი,** 22 წლის **ლაშა ცუცქირიძე** და „ჭიათურის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახე, 29 წლის შემტევი **დავით სევასტოპულო.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე ადგილისათვის ბრძოლა „მერცხალსა“ და „ჭიათურას“ შორის უნდა წარიმართოს; რაც შეეხება სხვა გუნდებს, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ სტუ-ს შედეგიანი თამაში: **გოჩა ჟორჟოლიანის** გუნდმა მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი (30) გოლი გაიტანა. პირველ ლიგაში ხანგრძლივზე-ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულ სტუ-ს შემადგენლობაშიც არიან ისეთი ფეხბურთელები, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშიათ: 30 წლის **გიორგი კვახაძე,** 26 წლის **ალექსანდრე ლაღაძე** და 25 წლის **ლევან ჯიქიძე.** სხვათა შორის, ეს უკანასკნელი 9 გოლით დღესდღეობით „ა“ ზონის საუკეთესო ბომბარდირია...

დაბოლოს, მხოლოდ ამ ზონის კი არა, საერთოდ პირველი ლიგის ყველაზე ახალგაზრდულ გუნდზეც — თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 18 (!) წელს არ აღემატება; თუმცა დებიუტანტი და ასევე ახალგაზრდა მწვრთნელის, 33 წლის **გიორგი ჩიტაურის** შეგირდებზე აუგს ვერავინ იტყვის.

გია ტუხაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბათუმი	15	12	2	1	26-7	38
2. მერცხალი	14	9	2	3	19-12	29
3. ჭიათურა	14	8	3	3	21-11	27
4. ჩხერიმელა	14	6	3	5	18-21	21
5. სტუ	15	6	2	7	30-37	20
6. ლოკომოტივი	14	4	4	6	23-22	16
7. კოლხეთი (ხ)	15	4	4	7	16-18	16
8. მესხეთი	14	4	2	8	12-17	14
9. მეშახტე	13	2	3	8	12-19	9
10. სამტრედია	14	1	5	8	10-23	8

ქეცბარაია ინულ სპიდის ლიოთეკა დაკრძალვაზე

ბრიტანულმა მედიამ ის ცნობილი საფეხბურთო მოღვაწეები დაასახელა, რომლებიც **გარი სპიდის** დაკრძალვაზე ჩავლენ. შეგახსენებთ, უელსის ნაკრების 42 წლის მთავარმა მნვრთნელმა და ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მათ შორის, ვინც სპიდს უკანასკნელ გზაზე გააცილებს, **თემურ ქეცბაიაცაა,** რომელსაც სპიდის მხარდამხარ "ნიუკასლში" 3 სეზონი გაუტარებია. "კაჭკაჭებში" ისინი ერთად მივიდნენ 1997 წელს, 2000-ში კი ქეცბაიამ კლუბი შეიცვალა.

ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრების თავკაცი სპიდთან არა მხოლოდ "ნიუკასლში" ყოფნისას, არამედ იქიდან წამოსვლის შემდეგაც მეგობრობდა.

ლევან ჯანეზაშვილი

თემურ ქეცბაია და გარი სპიდი ნიუკასლში თამაშისას

გუგავა: ოპერაცია და იმედი

23 **წლის გიორგი გუგავა** თბილისის "დინამოს" შემტევი ნახევარმცველი იყო, შემდეგ ესპანეთში წავიდა, სადაც მესამე ლიგის გრანადას "ატლეტიკოში" თამაშობდა, იქიდან კი „არენას დე არმილიასში“ გადავიდა.

ოთარ გაბელიამ გუგავას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსიც მისცა და გიორგიმ 4 მატჩში 2 გოლი გაიტანა, მათ შორის ერთი - შესარჩევი ციკლის ოფიციალურ მატჩში თურქეთთან.

იმ დროს ფეხბურთელით ესპანეთის სეგუნდადივიზიონის გუნდებიც დაინტერესდნენ, მაგრამ ბედი არ გინდა?! 2009 წლის შემოდგომაზე გუგავას კუნთი გაუწყდა და დღემდე მკურნალობს.

რომ ეგონა, ტრავმა მოირჩინა, აგვისტოში ბოლნისის "სიონში" დაიწყო ვარჯიში, თუმცა მას შემდეგ არც ბოლნისში გამოჩენილა და არც სხვა გუნდში.

"ბოლნისში ჩავედი, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშისას კუნთი ისევ ამტკივდა. მას მერე "სიონში" აღარ მივსულვარ, საოპერაციო აღმოვჩნდი. ევროპაში ეს ძვირი სიამოვნებაა. ახლახან ოპერაცია ვაჟა გაფრინდაშვილმა გამიკეთა და მითხრა, უეჭველად გეშველებაო. მეც ამის იმედი მაქვს. ახლა კარგად ვარ, გუშინ ნაკერები მომხსნეს.

„მთავარია, ტკივილმა აღარ შემაწუხოს, როგორმე მოედანს დავუბრუნდე და ფორმაში შევიდე. ექიმის თქმით, დაახლოებით თვე-ნახევარში სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შევძლებ. იმედია, მანამდე გუნდს მოვძებნი და მერე ფორმასაც აღვიდგენ," – გვითხრა გუგავამ.

მერაბ მამულაშვილი

ტრაგედიის კვალდაკვალ

გარი სპიდი მეუღლე ლუისთან ერთად

სპიდის თვითმკვლელობა ბურუსითაა მოცული

უელსის ნაკრების 42 წლის მწვრთნელის აგენტის თქმით, **გარი სპიდი** არც დეპრესიაში იყო და არც ცოლთან, **ლუისთან** ჰქონდა რაიმე გაუგებრობა. შესაბამისად, მიზეზი, რამაც მას თვითმკვლელობისკენ უბიძგა, ამოუცნობია.

ჰეიდენ ევანსი ამბობს: *„ლუისს ვერაფერი გაუგია. მათ ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ“.*

აგენტი იმავდროულად გარის მეჯვარე გახლდათ და ოჯახისა ყველაფერი იცოდა. ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ცოლ-ქმარს თვითმკვლელობის წინა დღეს ჩვეულებრივი ოჯახური უსიამოვნებაც კი არ მოსვლიათ.

„ლუისი ამბობს, რომ მიზეზი ოჯახში არ უნდა ვეძებოთ. მას წარმოდგენა არ აქვს რა მოხდა. მეც ჩემი მხრივ შემიძლია დავადასტურო, რომ გარის იდეალური ოჯახი ჰქონდა. ამასვე გაიმეორებს ნებისმიერი ვინც სპიდებს იცნობდა. სრული დაბნეულობაა. ვერავინ ხვდება რას შეიძლებოდა აეძულებინა გარი თავი ჩამოეხრჩო. არანაირი წინაპირობა არ ჩანდა“.

როდესაც ევანსს ჰკითხეს, ხომ არ აწუხებდა „ნიუკასლის“, „ლიდსის“, „ევერტონის“ და „შეფილდ იუნაიტედის“ ყოფილ ფეხბურთელს დეპრესია, მან კატეგორიულად უპასუხა:

„არანაირი. ოჯახს და მე, მის ერთ-ერთ უახლოეს ადამიანს, შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ ამ ადამიანს მსგავსი პრობლემები არასდროს ჰქონია და არც ბოლო დროს გამოუმჟღავნებია ასეთი რამ“.

ჰეიდენ ევანსი ერთ-ერთი უკანასკნელია, ვინც ორი შვილის მამა გარდაცვალების დღეს ნახა. მათ შუადღისას ტელეფონით ილაპარაკეს და ევანსის მტკიცებით, გარი ჩვეულებრივ მხნე და ენერგიული იყო.

გაოგნებულია ცნობილი ინგლისელი ვეტერანი, სპიდის მეგობარი და „ნიუკასლის“ დროინდელი თანაგუნდელი, **ალან შირერიც**, რომელმაც გარი BBC-ს სელფორდის სტუდიაში სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ნახა. შირერისა და სპიდის ურთიერთობების დასახასიათებლად საკმარისია ვთქვათ, რომ ამ ორი ადამიანის ოჯახები ხშირად არდადეგებზე ერთად მიდიოდნენ დასასვენებლად. შირერმა თქვა:

„კითხვა, რომელიც ტრაგედიის შეტყობის მომენტიდან მოსვენებას არ მაძლევს ეს არის: სპიდო, თუ რაღაც გასაჭირში ჩავარდი, რატომ არ გადმომირეკე მე ან შენს რომელიმე უახლოეს ძმაკაცს. თუ ასე გიჭირდა გეთქვა და მანდ გავჩნდებოდით. ვითომ, რეკავდი და რომელიმემ არ გიპასუხა? რატომ მოხდა ასეთი რაღაც. შაბათს „სტოკის“ თამაშს მასთან ერთად ვუყურეთ და შემდეგ შაბათ-კვირას ვგეგმავდით. რომელიღაც საქველმოქმედო სადილზე უნდა წავსულიყავით. მას და მის ცოლს ჩემთან უნდა გამოეევლოთ და დარჩენილიყვნენ. სტუდიიდან გასვლის წინ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და მომავალ უქმეებამდე დავემშვიდობეთ. საუბედუროდ, მომავალი უქმეები გარისთვის აღარ დადგა“.

მოსაზერება

აი, რაჭრა მარცხდებიან ინგლისელები

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი, იტალიელი **რობერტო მანჩინი** ამბობს, რომ ინგლისის ნაკრები ფეხბურთელების გადაღლის გამო ვერ იმარჯვებს. მანჩინის აზრით, ინგლისში საუკეთესო მოთამაშეებს დასვენების საშუალებას არ აძლევენ. მოგეხსენებათ, გუშინ, „ქარლინგის თასზე“ „სიტი“ „არსენალს“ შეხვდა, მანამდე, 48 საათით ადრე კი ისტლენდელებს პრემიერლიგაში ჰქონდათ მძიმე შეხვედრა „ლივერპულთან“, რომელიც 1:1 დამთავრდა.

„ჩვენ კვირა საღამოს ვითამაშეთ, ორშაბათს ლონდონს გავემგზავრეთ, სამშაბათს კი შორიგი თამაში გვქონდა. ეს წამოუდგენელი დატვირთვაა. სწორედ ამიტომ ჩადის ინგლისის ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გადაღლილი და იქ „კვდება“. ფეხბურთელებს ძალთა აღსადგენად დროს არ აძლევენ. ჩემპიონთა ლიგის კვირის შემდეგ გუნდისთვის ასეთი განრიგის შედგენა ყოვლად წარმოუდგენელია. ნამდვილად არ ვიცი შექმნილ მდგომარეობაში ვინ დავადანაშაულო. პრემიერლიგამ რამე უნდა იღონოს. რასაკვირველია, თამაში მთავარია, მაგრამ დასვენება და ძალთა აღდგენაც ხომ მნიშვნელოვანია. ორ თამაშს შორის სამი დღე მაინც უნდა დატოვონ. ამიტომაც, გადატვირთული კალენდრის პირობებში იძულებული ვიქნებით სათასო შეხვედრებში სულ სხვა შემადგენლობა ვათამაშოთ“.

ჩელსი

დროგბა ფულისკენ მიდის

33 წლის კოტდივუარელი თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** „ჩელსისთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებას აღარ აპირებს. მისი კვირაში 120 000-ფუნტიანი ხელშეკრულება ბოლო სეზონს ითვლის. კლუბმა ვარსკვლავს თანამშრომლობის 12 თვით გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ დროგბამ უარი თქვა. მისმა სენეგალელმა აგენტმა **ტიერნო სეიდიმ** განაცხადა:

„ვადასტურებ, რომ „ჩელსიმ“ დიდიეს კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ გვაძლევს. ზუსტად ვიცით, სად და როდის გვინდა გადასვლა. მაგიდაზე კონკრეტული წინადადებები მიწყვია.

ჩვენ უარი შევუთვალეთ „მილანსაც“. მილანელებს დროგბას ქირაობა უნდოდათ. მართალია, ხელშეკრულებაში გამოსყიდვის უფლების დაფიქსირებას აპირებდნენ, მაგრამ არც ეს

გვანყობდა. დიდიეს ასაკში ფეხბურთელს დასამტკიცებელი აღარაფერი აქვს. ამიტომ, მარტივი პრინციპით ვიმოქმედებთ: იმ კლუბში გადავალთ, რომელიც ყველაზე მეტ ხელფასს შემოგთავაზებს. ეს შეიძლება იყოს რუსეთის, ამერიკის, ყატარის, ჩინეთის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის კლუბი.

დამეთანხმებით, როდესაც ფეხბურთელი ოცდაათ წელს კარგად გადაცდება, მთავარია ისეთი ადგილი იპოვოს, სადაც გარანტირებულად და დამსახურებულად გადაუხდიან. თეორიულად დიდიეს შემდეგი კლუბი შეიძლება იყოს „ლოს ანჯელეს გელექსი“ ან მახაჩყალის „ანჟი“, რომელიც ბევრ ფულს იხდის, თუმცა სინამდვილეში არც ერთის და არც მეორის წინადადება არ მიგვიღია“.

შეგახსენებთ, დროგბასა და „ჩელსის“ საკმაოდ ნარმატებული თანამშრომლობის ისტორიას: კოტდივუარელი დასავლეთლონდონურ კლუბში 2004 წელს **ჟოზე მოურინიომ** „მარსელიდან“ გადაიყვანა. მას მერე, შვიდ წელიწადში ფორვარდმა „ლურჯი“ მაისურით 146 გოლი გაიტანა.

როგორც ამბობენ, დიდიე დროგბას „ჩელსიდან“ წასვლა კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, რომ ახალი მწვრთნელის, **ანდრე ვილაშ-ბოაშის** ხელში „სტემფორდ ბრიჯზე“ ურთიერთობები აირია. კერძოდ, ამას „ჩელსის“ ოდინდელი ვარსკვლავი, ფრანგი **მარსელ დესაი** ამტკიცებს. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ამბობს:

„კლუბში მცირე დაჯგუფებები გამოიკვეთა. ფეხბურთელები დაიქსაქსნენ, ხოლო ის ხალხი, ვისაც გასახდელში სიტყვა ეთქმოდა, პირად პრობლემებშია ჩაძირული. გარედანაც აშკარად ჩანს, რომ დღეს ჩელსიში არეულობაა. ეს ერთსულოვანი კოლექტივი აღარ არის“.

ამბიცია

„ჩელსის“ 22 წლის თავდამსხმელმა, **დენიელ სტარიჯმა** მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** განუცხადა, რომ ცენტრალურ თავდამსხმელად სურს თამაში. ერთი შეხედვით, შესანიშნავ ფორმაში მყოფი ახალგაზრდა ფორვარდისთვის, რომელმაც მიმდინარე სეზონში სახელგანთქმულ ვარსკვლავებზე, **დიდიე დროგბასა** და **ფერნანდო ტორესზე** მეტი გოლი გაიტანა, ლოგიკური განცხადებაა, მაგრამ ამ სიტყვებმა მაინც მოჭრა გულშემატკივარს ყური.

სტარიჯის ბურჯობაზე ფიქრობს

სტარიჯის ამბიციის ამბავი „ჩელსის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმაც დაადასტურა. ამ, საქმეში კარგად ჩახედულმა ადამიანმა ტაბლოიდებს განუცხადა: *„დენიელმა მართლაც ითხოვა საგანგებო შეხვედრა ვილაშ-ბოაშთან და უთხრა, რომ გუნდში ცენტრალურ თავდამსხმელობას ის იმსახურებს. სტარიჯი ამბობს, რომ შესანიშნავ ფორმაშია და გოლებიც გააქვს.*

ასეთი განცხადება გასაკვირი არცაა, რადგან ბოლოხანს დენიელი ინგლისის ნაკრებში აიყვანეს და, ახლა, ბუნებრივია, ყველა ღონეს იხმარს, რათა ფაბიო კაპელოს თავი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე წააყვანინოს. ის ფიქრობს, რომ საამისოდ ყველაზე კარგი ხერხი ცენტრფორვარდად თამაშია“.

ზემოთ დროგბა და ტორესი ვახსენეთ. მიმდინარე სეზონში ამ ორმა მეგავარსკვლავმა ერთად 6 გოლი გაიტანა, სტარიჯმა კი, მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ფრთიდან ითამაშებდნენ, უკვე შვიდჯერ შეაგდო მეტოქეთა კარში ბურთი.

სანდერლენდი

ბრუსი ლაპარაკისთვის მზად არის

უახლოესი ორი დღის განმავლობაში „სანდერლენდის“ თავკაცი **სტივ ბრუსს** კლუბის ხელმძღვანელებთან სერიოზული ლაპარაკი ელის. შაბათს „უიგანთან“ დამარცხებამ „შავი კატების“ მწვრთნელს ისედაც რთული მდგომარეობა კიდევ უფრო გაურთულდა. მეორე მხრივ, „სანდერლენდის“ ამერიკელი მეპატრონე, **ელის შორტი** ის კაცი არ არის, გულშემატკივრების გაბრაზების გამო ადამიანი სამსახურიდან გაუშვას. მეტიც, ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ბრუსის საქმე 89 პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ შორტისთვის არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ისე, საინტერესოა, საიდან მოიტანეს გაზეთებმა ასეთი უცნაური რიცხვი — 89.

ასეა თუ ისე, „შავი კატების“ ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად შორტი და „სანდერლენდის“ ყოფილი თავმჯდომარე **ნილ ქუინი**, რომელსაც კლუბში ჯერ კიდევ ეთქმის სიტყვა, ბრუსთან გამოსავალზე აპირებენ ლაპარაკს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ზევით“ მწვრთნელის გაგდება ჯერ არ დაუგეგმავთ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ შორტი შედეგებით უკმაყოფილოა და ბრუსს ჯიქურ დაუსვამს კითხვას, შეუძლია თუ არა მას გუნდის კრიზისიდან გამოყვანა. კრიზისი კი აშკარაა: „შავი კატები“ გასავარდნ სამეულს მხოლოდ ორი ქულით აღემატებიან და რაც ჩემპიონატი დაიწყო, ორად ორჯერ გაიმარჯვეს. იმ შემთხვევაში თუ ბრუსი მისურელ მილიარდერს თავისი იდეებით ვერ მოხიბლავს, მას კარისკენ მიუთითებენ.

მწვრთნელთან დაკავშირებულმა რეზიდენტმა ინგლისურ ტაბლოიდებს განუცხადა: *„სტივი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ გუნდით მეპატრონის მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია. მთავარია, თათბირის მონაწილეებმა ყველა დეტალი კარგად გაიაზრონ და ხელმძღვანელებმა ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღონ. მწვრთნელის დაუფიქრებლად გაგდება კარგი მეპატრონის საქციელი არ არის. არც გულშემატკივრების გულის მოგება იქნება იოლი საქმე, მაგრამ თუ ბრუსი მშვიდად იმუშავებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ჯერი ელის შორტზეა. ის უნდა ენდოს მწვრთნელს და აცადოს“.*

„სანდერლენდის“ ყოფილი ვარსკვლავი, 37 წლის **მაიკლ გრეი** სტივ ბრუსის თანამდებობაზე დარჩენის მომხრეა. მან თქვა:

„დიდი იმედი მაქვს, რომ ბრუსი დარჩება. ყველამ კარგად ვიცით, როგორ ერყევა ადამიანს საკუთარი თავის რწმენა, როდესაც საქმეები ცუდად მიდის. ასეთ დროს თავის ხელში აყვანა ძალიან ძნელია. პრემიერლიგაში დაუნდობელი ბრძოლაა, მაგრამ მინდა სტივმა ამ ბრძოლას გაუძლოს და მდგომარეობიდან გამოვიდეს“.

რასიზმი

ბერი, როგორც იქნა, დაკითხეს

„ჩელსის“ 30 წლის კაპიტანი **ჯონ ტერი** რასისტული შეურაცხყოფის გახმაურებულ სკანდალთან დაკავშირებით პოლიციამ, როგორც იქნა, დაკითხა. შეგახსენებთ, რომ „ლოფტას როუდზე“ „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „ლურჯების“ შეხვედრის შემდეგ „რეინჯერსის“ 26 წლის მცველმა **ანტონ ფერდინანდმა** მეტოქის კაპიტანს ბრალად რასობრივი შინაარსის ლანძღვა დასდო. ლონდონის პოლიციამ, როგორც სჩვევია, გვარების დასახელების გარეშე განაცხადა, რომ დაკითხეს 30 წლის მამაკაცი, რომელსაც 23 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტთან და რასობრივ შეურაცხყოფასთან ჰქონდა კავშირი.

სხვა დეტალები ჯერ უცნობია.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ბაიერნი

კრიზისის ხუთი მიზეზი

რატომ აიჭრა რეკორდმაისტერი?

ზედიზედ მეორე მარცხი და ბაიერნმა ლიდერობა დაკარგა. რა გასაკვირია, რომ თომას მიულერს აი, ასეთი სახე აქვს

მიუნხენის „ბაიერნი“ პირველიდან მესამე ადგილამდე ზუსტად ცხრა დღეში ჩამოქვეითდა. სამი წაგება ბუნდესლიგის ბოლო ხუთ შეხვედრაში, აქედან ორი მარცხი ზედიზედ და რეკორდმაისტერიც ლიდერი აღარ არის. ერთი სიტყვით, მიუნხენურ გრანდს მიმდინარე სეზონში პირველად წაუხდა ხასიათი და შედეგები - ეს არის პირველი რთული ფაზა შესანიშნავი სტარტის შემდეგ. „მაინცში“ განცდილი მარცხის შემდეგ თომას მიულერმა თქვა, ეს კრიზისიაო, მარიო გომესმა კი აღიარა, რომ რეკორდმაისტერს „შტადიონ ამ ბრუხვეგზე“ ალიყური სამართლიანად უთავაზეს. „ბაიერნის“ კრიზისის მიზეზების ძიებაში ხუთს მივაგენით.

შვაინშტაიგერის ტრავმა - ბასტიანი შეუცვლელი ფიგურაა

მას მერე, რაც **ბასტიან შვაინშტაიგერი** დაშავდა, მიუნხენელებმა ბუნდესლიგაში სამი თამაში ჩაატარეს და აქედან ორი წააგეს. მასთან ერთად კი, გუნდმა ორი მარცხი მხოლოდ თერმეტ ტურში განიცადა. ფაქტია ისიც, რომ მას მერე, რაც ბავარიელთა ნახევარდაცვის შეფმა ტრავმა მიიღო (2 ნოემბერს, „ნაპოლისთან“ მატჩში), „ბაიერნი“ ყველა თამაშში მინიმუმ ერთ გოლს უშვებს.

ის, რომ შვაინი „ბაიერნისთვის“ შეუცვლელი ფიგურაა, ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმაც** კარგად იცის, მაგრამ მას იმის იმედი ჰქონდა, რომ შვაინის ტრავმით შექმნილ სიცარიელეს დროებით მაინც ამოავსებდა ისე, რომ ეს დანაკლისი გუნდისთვის ასე მტკივნეული არ ყოფილიყო. მაგრამ „დონ იუპმა“ ეს ვერ შეძლო: შვაინშტაიგერთან ერთად „ბაიერნი“ ბუნდესლიგაში საშუალოდ ერთ თამაშში 2.3 ქულას აგროვებდა, მის გარეშე კი ეს მაჩვენებელი 1-მდე დაეცა. როცა შვაინშტაიგერი თამაშობდა, „ბაიერნს“ საშუალოდ ერთ მატჩში 2.7 გოლი გაჰქონდა, მის გარეშე კი მხოლოდ 1.3-ის იტანს. 0.3 გაშვებული გოლი საშუალოდ ერთ შეხვედრაში – ეს შვაინისთან ერთად ნაჩვენები შედეგია. 1.7 – ეს კი მის გარეშე ნაჩვენები შედეგი.

„ბასტიანი ძალიან გვაკლია, - აღიარა ორშაბათს **დანიელ ვან ბუიტენმა**, *- მას შეუძლია ბურთის კონტროლი, შუა ხაზში ასე საჭირო თავდაჯერებისა და სიმშვიდის შეტანა, ტემპის რეგულირება. იმედი მაქვს, რომ მალე დაგვიბრუნდება.“*

ჰაინკესმა შვაინის არყოფნაში ბევრი რამ სცადა. ბუნდესლიგაში „ბაიერნმა“ ბასტიანის გარეშე სამი მატჩი ჩაატარა და „დონ იუპმა“ ნახევარდაცვის ცენტრი სამივეში სხვადასხვანაირად მოაწყო. აუგსბურგში საყრდენებად **ანატოლი ტიმოშჩუკი** და **დავიდ ალაბა** იდგნენ, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ **ტონი კროოსი** და **ლუის გუსტავო**, ხოლო მაინცში კი გუსტავო და ალაბა. უკანასკნელი დუეტი აშკარად ყველაზე უარესი გამოვიდა, რადგან გუსტავო და ალაბა „მაინცის“ სწრაფ, მონდომებულ და მოჭრესინგე ნახევარმცველებთან ვერაფერს გახდნენ. ბრაზილიელმა პირველი გაშვებული გოლის დროს **ნიკოლაი მიულერს** თავი მოატყუებინა და საერთოდაც, 12 ორთაბრძოლიდან მხოლოდ 3 მოიგო. ესეც რომ არ იყოს, მათი დუეტი ფაქტობრივად არც შემდგარა, რადგან ალაბამ გუსტავოს მხოლოდ ერთი (!) პასი მისცა, გუსტავომ ალაბას კი – ორი.

შვაინშტაიგერი ყოველ მატჩში ბურთს მინიმუმ 100-ჯერ ეხება ხოლმე, ალაბა მაინცში ბურთს 60-ჯერ შეეხო, გუსტავო კი 33-ჯერ, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში ისიც უნდა ვთქვათ, რომ 53-ე წუთზე შეცვალეს. მაგრამ არა გვგონია, რომ დარჩენილ 37 წუთში სასწაულები მოეხდინა...

„ბაიერნისთვის“ კარგი ის არის, რომ შვაინშტაიგერმა გუშინ მსუბუქად ვარჯიში დაიწყო, მაგრამ საერთო ჯამში საქმე მაინც ცუდადაა, რადგან შვაინი ფეხბურთს ახალ წლამდე ვეღარ ითამაშებს.

პრობლემები ისეთ გუნდებთან, ვინც პრესინგს პერმანენტულად მიმართავს

„მაინცის“ თავკაცმა **თომას ტუხელმა** მატჩის შემდეგ „ბაიერნის“ დამარცხების მიზეზებზე საუბარი არ ისურვა და არც წარმატების საიდუმლო გაუმხელია, მაგრამ ეს არცაა საჭირო – ყველაფერი ხომ ისედაც იდეალურად ჩანდა. „მაინციც“ ზუსტად ისეთ სტილში თამაშობს, როგორც დორტმუნდის „ბორუსია“ - უბრალოდ ხარისხშია განსხვავება, ჩვენ კი ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ რეკორდმაისტერს ისეთ გუნდებთან ექმნება პრობლემები, რომელთა სტრატეგია პირველ რიგში პერმანენტული პრესინგი და მოედანზე მუდმივი მოძრაობაა.

იმის გამო, რომ „მაინცის“ თავდამსხმელები და ნახევარმცველები „ბაიერნის“ მცველებს მუდმივად აწუხებდნენ, ისინი იძულებულები ხდებოდნენ, პასი უმეტესად გვერდით გაეკეთებინათ და არა წინ. თუ „ბაიერნის“ უკანახაზელები წინ აკეთებდნენ პასს, მაშინ ეს აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევებში მაღალი და რეალურად უმისამართო პასი იყო მარიო გომესისკენ. იცით, კიდევ რა არის საინტერესო? „მაინცთან“ „ბაიერნის“ ცენტრალურ მცველებს, რომლებმაც 90 წუთი ითამაშეს, ბურთთან 100-ზე მეტი კონტაქტი ჰქონდათ – ვან ბუიტენს 110, **ჰოლგერ ბადშტუბერს** კი 105 და მათზე მეტი კონტაქტი ბურთთან არც ერთ სხვა ბაიერნელს არ ჰქონია. ნახევარმცველებიდან კროოსს 73 კონტაქტი ჰქონდა, რიბერის 54, თომას მიულერს კი 52.

„როცა მეტოქე პრესინგს გვეთამაშება, როგორც ეს „დორტმუნდმა“ და „მაინცმა“ გააკეთეს, ჩვენ მხოლოდ იმასღა ვახერხებთ, რომ წინ მაღალ ბურთებს ვგ ზავნით ხოლმე,“ - აღიარებს ვან ბუიტენი.

დაცვა აღარ დგას მოწოდების სიმაღლეზე

„ბაიერნს“ ზედიზედ 12 მატჩში გოლი არ ჰქონდა გაშვებული და მიუნხენელთა მეკარე **მანუელ ნოიერიც** რეკორდს უმიზნებდა. ახლა კი რეკორდმაისტერისთვის გოლის გატანა პრობლემას აღარ წარმოადგენს, რაც პირველ რიგში იმის ნიშანია, რომ დაცვის ხაზი მონოდების სიმაღლეზე ვეღარ დგას. *„მცველები კომპაქტურად ვეღარ ვდგავართ. ეს ბოლო შეხვედრებში აშკარად გამოჩნდა,“* - ამბობს ვან ბუიტენი.

ბავარიელებმა ზაფხულში **ჟერომ ბოატენგი** დაცვის ცენტრისთვის იყიდეს, მაგრამ ამ ბოლო დროს ჰაინკესი მას ხშირად მარჯვენა მცველის პოზიციაზე ათამაშებს. ეს ხშირად იმის ბრალია, რომ ასევე ზაფხულში ნაყიდი ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია** იმედებს ვერ ამართლებს, ანაც მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჰაინკესი დაცვის ცენტრში ვან ბუიტენს ამწესებს ხოლმე, რის შედეგადაც ბოატენგი მარჯვნივ ინაცვლებს. ვან ბუიტენმა ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში რვაჯერ ითამაშა, რაფინიამ კი ათჯერ. საერთო ჯამში იმის თქმა გვინდა, რომ „ბაიერნის“ დაცვის ხაზი ვერა და ვერ დალაგდა და საბოლოო სახე ვერ მიიღო – ჰაინკესის ხშირი როტაცია მხოლოდ ამით აიხსნება.

ოფიციალურ მატჩებში გაშვებული გოლების ერთი მესამედი „ბაიერნმა“ კუთხურებიდან ან საჯარიმო ჩაწოდებებიდან მიიღო (სულ ოთხი თორმეტიდან). ამიტომაცაა, ლეგენდარული გერმანელი მცველი **იურგენ კოლერი** (თამაშობდა „ბაიერნში“ და დორტმუნდის „ბორუსიაში“) რომ ამბობს, დაცვის ხაზი რეკორდმაისტერის მთავარ პრობლემად დარჩაო.

რობენის ფენომენი

მიუნხენური გრანდის მთავარი ლიდერი **არიენ რობენი** დაახლოებით ათი დღის წინ გამოჯანმრთელდა და მაშინ, როცა ამას არავინ ელოდა, ჰაინკესმა ჰოლანდიელი გარემარბი ზედიზედ ორ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. თუკი „დორტმუნდთან“ მისი ძირითადში გამწესება მაინც არავის გაუკვირდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რობენი ფორმაში არ იყო, ყველა ხვდებოდა, რომ „ბაიერნს“ ის ძალიან სჭირდებოდა, სამაგიეროდ, ყველამ სიურპრიზად მიიღო ის ფაქტი, რომ „დონ იუპმა“ რობენი სამი დღის შემდეგ, შედარებით უმნიშვნელო მატჩშიც (ვილიარეალთან) თავიდანვე ათამაშა. „მაინცთან“ კი, ჰოლანდიელმა 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** ამბობს, კუნთის პრობლემა ჰქონდაო. თუ ეს მართალია, გამოდის, რომ ჰაინკესმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა „დორტმუნდთან“ და „ვილიარეალთან“ მისი მოედანზე გაშვება გარისკა და ცუდ ფორმაში მყოფ რობენს ძალიან კარგ ფორმაში მყოფი შემტევი ტრიო (რიბერი, კროოსი, მიულერი) შესწირა. ახლა რობენს ისევ მცირე ტრავმა აწუხებს, „ბაიერნმა“ კი მისი თამაშით ვერაფერი მიიღო, გარდა კრიზისისა.

პრობლემა თავებშიცაა

დანიელ ვან ბუიტენს კი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მცველია, „მაინცთან“ დუბლი შეასრულა, სჯერა, რომ საუკეთესო ეპითეტებმა და დიდი ანგარიშებით გამარჯვებებმა რეკორდმაისტერს მხოლოდ აენო.

„როცა თამაშებს 4:0-ით და 5:0-ით იგებ, რასაც ჩვენ სეზონის დასაწყისში ვაკეთებდით, რა გასაკვირია, რომ ერთხელაც მოტივაცია დაეცემა და კონცენტრაციაც მოიკლებს. ბიჭები თითქოს უკვე დარნმუნებულები იყვნენ, რომ ყველა თამაშს ასე იოლად მოვიგებდით, რაც დაუშვებელია,“ - აცხადებს ვან ბუიტენი და რაც შეეხება ჰაინკესის როტაციას ბოლო შეხვედრებში: *„როტაციის დროს ავტომატი ზმამდე დასული კომბინაციები იკარგება. ისე, ჩვენი მწვრთნელი სეზონის დასაწყისშიც მიმართავდა როტაციას, რაც განსაკუთრებით დაცვის ხაზს ეხება და მაშინ ამ პრობლემების წინაშე არ დავმდგარვართ. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა მაინც ფეხბურთელების თავებშია. ჩვენ „ბაიერნი“ ვართ და „მაინცის“ დარ გუნდებს ყოველთვის უნდა ვამარცხებდეთ, მაგრამ სრული კონცენტრაციის გარეშე ეს ასე არ იქნება.“*

● იუვენტუსი

ზდრავკო კუჟმანოვიჩი

იუვემ კუჟმანოვიჩს დაუმიზნა

იტალიური სპორტული პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ „შტუტგარტის“ სერბ საყრდენ ნახევარმცველ **ზდრავკო კუჟმანოვიჩს** დაუმიზნა. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, „ბებერი ქალბატონის“ სკაუტები ამ უქმეებზე ბრემენში იმყოფებოდნენ, სადაც „ვერდერისა“ და „შტუტგარტის“ მატჩს სწორედ 24 წლის კუჟმანოვიჩის გამო დაესწრნენ. ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ „იუვენტუსს“ მისი ყიდვა გენუის „სამპდორიას“ საყრდენ **ანჯელო პალომბოსთან** ერთად უნდა.

ზდრავკო კუჟმანოვიჩი იტალიაში ცნობილი ფეხბურთელია, რადგან „შტუტგარტში“ 2009 წელს ფლორენციის „ფიორენტინადან“ გადავიდა – შვაბებს ეს ტრანსფერი მაშინ რვა მილიონი ევრო დაუჯდათ. დღესდღეობით „იუვენტუსის“ ნახევარდაცვის ცენტრში **ანდრეა პირლო, კლაუდიო მარკიზიო** და **არტურო ვიდალი** თამაშობენ და როგორც ჩანს, ტურინელთა თავკაცი **ანტონიო კონტე** ამთავითვე ფიქრობს მომავალ სეზონზე, როცა „იუვე“ სავარაუდოდ ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს, ორი ფრონტისთვის კი მეტი მაღალი კლასის ცენტრალური ნახევარმცველი დასჭირდება.

● ფრაიბურგი

სისე ზამთარში მიუნხენისკენ?

„ბილდის“ ინფორმაციით, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა „ფრაიბურგის“ გოლეადორ **პაპის დემბა სისეს** დაუმიზნეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, მიუნხენელები 26 წლის თავდამსხმელის გადაბირებაზე იანვრისთვის ფიქრობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ წინა ხაზზე გაძლიერება სჭირდებათ. დიდია იმის შანსი, რომ ზამთარში „ბაიერნი“ **ივიცა ოლიჩმა** დატოვოს და თუ ასე მოხდა, მაშინ ბავარიულ გრანდს ახალი თავდამსხმელი ნამდვილად დასჭირდება.

სისე „ბაიერნის“ პროფილს ნამდვილად შეეფერება, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია, ამ სეზონში კი მაჩანჩალა „ფრაიბურგისთვის“ 8 გოლის გატანა მოასწრო. სენეგალელს „ფრაისთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე კი აქვს გაფორმებული, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებულია ჰუნქტი, რომლის მიხედვითაც სისეს „ფრაიბურგის“ დატოვება 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია.

გადაიბირებს რეკორდმაისტერი სისეს? ერთადერთი პრობლემა შეიძლება ის იყოს, რომ თავდამსხმელმა 21 იანვრიდან 12 თებერვლამდე აფრიკის თასზე უნდა იასპარეზოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთრის მოსამზადებელ შეკრებასთან ერთად, გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის სტარტსაც გამოტოვებს.

პაპის დემბა სისე შეიძლება ბაიერნში გადავიდეს

● ვოლფსბურგი

სამი ებრაელი მგლებში?

„ვოლფსბურგს“ ამ სეზონში საქმეები ცუდად მისდის, რის გამოც გუნდის მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** ზამთარში მორიგი ტრანსფერების განხორციელებას გეგმავს. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „მგლები“ ორ ჩეხ ფეხბურთელს, **ვაცლავ პილარსა** და **პეტრ ირჟაჩეკს** დაიმატებენ. მათ გარდა, „დესპოტმა ფელიქსმა“ თვალი თელ ავივის აპოელ-ის სამ ფეხბურთელს, **ელროი კოენს, ტოტო ტამუზსა** და **ომარ დამარისაც** დაადგა.

ცხადია, რომ მაგათი იანვარში არაერთ მოთამაშეს გაუშვებს და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ერთ-ერთი პირველი წამსვლელი **თომას კალენბერგია**. დანიელმა გამთამაშებელმა ამ სეზონში არც ერთ მატჩი არ მიიღო მონაწილეობა – მაგათს ის ოდნავადაც არ მოსწონს და ახლა სულაც მოყვარულთა გუნდში გადაისროლა. გაირკვა, რომ 28 წლის კალენბერგის გადაბირება შვეიცარიულ „ლუცერნს“ სურს. მიუხედავად იმისა, რომ დანიელს „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს, ორი აზრი არ არსებობს, მაგათი მას ახლავე სიამოვნებით დათმობს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტურის მიმოხილვა

ინიგო მარტინესის მე-2 გოლი მოედნის ცენტრიდან

ბასკი იასონ კვირკველიას ამბავი

როგორია ბარსა პუიოლის გარეშე და რატომ ჩააფიძრა რონალდომ მადრიდი

გაგიკვირდებათ და... ყველა ხელმოცარული მწვრთნელი ადგილზეა. ბუნებრივია, ხელმოცარულებში ხოსეპ გვარდიოლას არ ვგულისხმობთ. მან ხომ სეზონში პირველად წააგო. აი, მაგალითად, „რასინგის“ თავკაც ექტორ რაულ კუპერს „მარკა“ საათებს უთვლიდა მორიგი მარცხის შემდეგ, მაგრამ კანტაბრიიდან მსგავსი არაფერი გაგვიგია. ისევ „ბარსელონას“ დავუბრუნდეთ - მართალია, კარლეს პუიოლი ტრავმებმა დატანჯეს და ისე ველარ თამაშობს, როგორც ადრე, მაგრამ ფაქტი ჯიუტია - „ბარსას“ ბოლო 6 მარცხს მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს - არც ერთ მათგანში პუიოლს არ უთამაშია. იმედია, ამის შესახებ პეპსაც გააგებინებენ...

ისკო დღითი დღე იზრდება

ტურის შეჯამებას, ტრადიციულად, ორშაბათის მატჩით დავიწყებთ, რომელშიც „მალაგამ“ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის, **ისკოს** (ფრანსისკო ალარკონი) კარგი თამაშის წყალობით „ვილიარეალს“ 2:1 მოუგო. როგორც ჩანს, 60 მილიონი ევრო ამ ზაფხულს ტყუილად არ დახარჯულა - **მანუელ პელეგრინის** გუნდი მე-5 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურზეც საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნია. ანგარიში მასპინძლებმა მას შემდეგ გახსნეს, რაც ყოფილმა ვალენსიელმა **სანტი კასორლამ** კუთხური მოანოდა, თავით კი **ჟერემი ტულალანმა** გაიტანა (რომელიც მე-2 ტაიმში სულ ტყუილუბრალოდ გააძევეს). „ვილიარეალის“ პასუხი კონტრშეტევაზე მოჰყვა, რომელიც **ბრუნო სორიანომ** წამოიწყო, **ბორხა ვალერომ** გააგრძელა და მარკო რუბენმა დააგვირგვინა (ვისაც ბოლოს 100%-იანი პენალტი არ დაუდეს). გამარჯვების გოლი ისკომ მე-40 წუთზე გაიტანა, მას მერე, რაც **დიეგო ლოპესმა ხოსე რონდონის** დარტყმა მოიგერია. *„მაშინაც კი, როცა ათნი დავრჩით, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ასე რომ, დამსახურებულად მოვიგეთ,* - განაცხადა ჩილელმა სპეციალისტმა.

რონი vs ლეო

ამ ტურისთვის **ლეო მესი** და **კრიშტიანო რონალდო**, ჩვენი ათვლით, თანაბრად მოვიდნენ - მათ შორის დაუსწრებელ დუელში 7:7 იყო.

მესიმ 90 წუთში „ხეტაფეს“ კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, აქედან მხოლოდ 1 იყო ზუსტი, ისიც გოლკიპერის საკბილო გახდა (ძელი სტატისტიკურად აციილების ტოლფასია).

რონალდომ 90 წუთში „ატლეტიკოს“ კარში დუბლი შეასრულა (მართალია, ორივე პენალტით), მისი 6 დარტყმულიდან 3 იყო ზუსტი, პორტუგალიელის ანგარიშზე 1 საგოლე პასიც, მის წინააღმდეგ 4-ჯერ იუხეშეს „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებმა.

თქმა არ უნდა, კრიშტიანო, როგორც ბომბარდირთა დავაში, ისე ჩვენს მინიტურნირში დაწინაურდა - 8:7.

ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 4-4-2

ტურის სიმბოლურ ნაკრებში „ბარსელონას“ მძლეავი „ხეტაფედან“ ერთბაშად ორი ფეხბურთელი მოხვდა, ორივე მათგანი პირველად. კრიშტიანო რონალდო კი ნაკრებში მე-7-ედ მოხვდა (13 შესაძლებელიდან).

მიგელ მოია *(ხეტაფე, 1)* - ***ხუან ვალერა*** *(ხეტაფე, 1),* ***ინიგო მარტინესი*** *(რეალ სოსიედადი, 1),* ***ინიგო ლოპესი*** *(გრანადა, 1),* ***ასიერ დელ ვორნო*** *(ლევანტე, 1)* - ***კრიშტიანო რონალდო*** *(რეალი, 7),* ***ჯაკად ნეკუნამი*** *(ოსასუნა, 1),* ***ტინო პოსტა*** *(ვალენსია, 2),* ***ჟერემი მატიო*** *(ვალენსია, 2)* - ***გონსალო იგუაინი*** *(რეალი, 3),* ***არუნა კონე*** *(ლევანტე, 2)*

ტურის გმირი

ხუან ვალერა (ხეტაფე)

მისმა გოლმა „ხეტაფეს“ ისტორიული გამარჯვება მოუტანა „ბარსელონასთან“ მატჩში.

ტურის ფრაზები

ხუან კარლოს გარიდო: *„კასორლა ჩვენი მეგობარია. „ვილიარეალში“ ის ყველას ძალიან გვიყვარს“,* - „ელ სუბმარინოს“ თავკაცი ყოფილ ფეხბურთელზე, რომელმაც თავისი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა.

ხავიერ აგირე: *„ჩვენ შორის ერთადერთი სხვაობა იყო, ჩვენს კარში პენალტი დანიშნეს, „სევილიას“ კარში - არა“,* - „სარაგოსას“ მწვრთნელი 0:1 მარცხის მერე.

ხოსე ლუის მენდილიბარი: *„მოგება კარგია იმ რწმენის განსამტკიცებლად, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ“,* - „ოსასუნას“ თავკაცი ბარსელონაში „ესპანიოლის“ 2:1 დამარცხების შემდეგ.

ხუან იგნასიო: *„ახლა უკვე ეჭვი არავის უნდა შეეპაროს ჩემი გუნდის შესაძლებლობებში“,* - „ლევანტეს“ თავკაცი „სპორტინგის“ 4:0 განადგურების შემდეგ.

ხუან ვალერა: *„მე გოლი „რეალისთვის“ კი არა, ჩვენთვის გავიტანე“,* - „ბარსელონას“ კარში გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ.

ალვარო დომინგესი: *„წარმოუდგენელად რთულია 9 კაცით 14-ის წინააღმდეგ თამაში“,* - „ატლეტიკოს“ მცველი დერბის 1:4 წაგების შემდეგ.

ტურის გოლი

„პირველი მერცხალი“ და **იასონ კვირკველია** ყველას გვახსოვს, რომელიც თავისი ძლიერი დარტყმით „ღრუბელს ხვრეტდა“. ვფიქრობთ, ქართული ფილმის პერსონაჟს ლა ლიგაში მიმდევარი გამოუჩნდა - 20 წლის **ინიგო მარტინეს ბარადი**!

ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნევრმა სეზონში მეორე გოლი გაიტანა მოედნის ცენტრიდან! ადრე ბილბაოს „ატლეტიკი“ დაამწუხრა, ახლა კი - „ბეტისი“. წარმოიდგინეთ, მისმა თანაგუნდელმა **ანტუან გრიზმანმა** 11-მეტრიანი ვერ გაიტანა და მან 40 მეტრით უფრო შორი დისტანციიდან შეაგდო. აქამდე მხოლოდ ერთხელ მოხდა პრიმერაში, რომ ერთმა ფეხბურთელმა სეზონში 2 გოლი გაიტანა მოედნის ცენტრიდან, ეს 2003 წელს „ესპანიოლის“ **როხერ გარსიამ** მოახერხა.

ტურის უხეში

21 წლის ნავარელი მცველი **ენეკო სატრუსტეგი,** მტერს რომ არ უსურვებ, ისეთ პირველ ნახევრებს დგამს პრიმერაში. „ოსასუნას“ მარცხენა მცველს დებიუტი 6 ნოემბერს ჰქონდა „რეალთან“ მატჩში „სანტიაგო ბერნაბეუზე“. კაცმა რომ თქვას, ამაზე კარგი ადგილი სადებიუტოდ ერთი-ორია ევროპაში, მაგრამ სატრუსტეგის გუნდმა ის თამაში 1:7 წააგო, თავად დებიუტანტი კი 54-ე წუთზე გააძევეს. გამოხდა ხანი და კვირას „ესპანიოლთან“ სატრუსტეგიმ თავისი მეორე მატჩი ითამაშა კარიერაში ლა ლიგაში და... 76-ე წუთზე გააძევეს.

ტურის მსაჯერული

კრიშტიანო რონალდო - დერბიში პორტუგალიელს „ატლეტიკოს“ მცველი **ლუის პერეა** ხისტად ეთამაშა. მართალია, 26 წლის სუპერვარსკვლავმა თამაშის ბოლომდე გაძლო, მაგრამ „რეალის“ ექიმებმა აღნიშნეს, რომ მას მარცხენა კოჭის პირველი ხარისხის დაზიანება აქვს. რონალდო ვერ ვარჯიშობს, მხოლოდ ტრენაჟორთა დარბაზში დადის. ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, გამოტოვებს თუ არა „კლასიკოს“ პორტუგალიელი.

„რასინგის“ მარჯვენა მცველი **ფრანსისი** „მალიორკასთან“ მატჩში დაშავდა და კანტაბრიულ გუნდს 2-3 კვირას დაკლდება. ამ თამაშში მანამდე „მალიორკას“ **გონსალო კასტრო** დაშავდა.

ოპერაცია ფარი

უკვე კარს მოგვადგა სეზონის პირველი „ელ კლასიკო“, რომელიც 10 დეკემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება. ბუნებრივია, ამხელა მიმოხილვაში „კლასიკოს“ გვერდს ვერ ავუვლით, მიუხედავად იმისა, რომ ის მე-13 ტურის თამაშებთან, თითქოს, კავშირში არაა.

„რეალი“ უკეთ თამაშობს, ვიდრე „ბარსა“, თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ **ჟოზე მოურინიომ** რაიმე განსაკუთრებული უნდა შესთავაზოს მეტოქეს, თუკი გამარჯვება სურს. „მარკას“ აზრით, ეს იქნება „ოპერაცია ფარი“.

ესპანეთის ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთი ამტკიცებს, რომ „ბარსასთან“ „რეალი“ ერთბაშად სამ დაცვითი ტიპის ნახევარმცველს გამოიყენებს და ამით ერთგვარ ფარს შექმნის სტუმართა კრეატიული ნახევარმცველების წინააღმდეგ. მეტოქისთვის ბურთის ართმევაზე იქნებიან დაგეშილები: **ჩაბი ალონსო, სამი ხედირა** და **ლასანა დიარა**. სხვათა შორის, ამ სამეულმა ერთად 6-ჯერ ითამაშა და ყველა შემთხვევაში „რეალი“ გამარჯვებული გამოვიდა.

ტურის სტატისტიკა

29 გოლი ტურში (2,9 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, ფრე არ ყოფილა, სტუმრებმაც 5 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 61 ყვითელი და 5 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - არავინ

დუბლი - კრიშტიანო რონალდო (რეალი), **არუნა კონე** (ლევანტე) და ხონათან პერეირა (ბეტისი).

ანტუან გრიზმანმა (რეალ სოსიედადი) ვერ გაიტანა პენალტი.

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხოსე კამპანია** (სევილია, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **78 500 - „სანტიაგო ბერნაბეუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **10 100 - „ტერესა რივერო“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **21 - ბეტისი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **7 - სევილია, რეალ სოსიედადი, რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **27 - მალიორკა**

ყველაზე მეტი კუთხური: **13 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **6 - ოსასუნა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **72% - რეალი, ბარსელონა**

იცით თუ არა, რომ...

... კრიშტიანო რონალდომ (16 გოლი) ლა ლიგის 20 გუნდიდან 13-ზე მეტი გოლი გაიტანა, ერთს კი (ოსასუნას) გაუთანბრდა.

■ ■ ■

... კრიშტიანო რონალდომ და ლეო მესიმ (15) ერთად 31 გოლი გაიტანეს. ამ მაჩვენებლით ისინი უსწრებენ ყველა გუნდს „რეალისა“ და „ბარსას“ გარდა. თან ყველაზე ახლოს მყოფ „ლევანტეს“ მათზე 8 გოლით ნაკლები აქვს გატანილი.

■ ■ ■

... მესიმ „ბარსას“ გოლების 39% გაიტანა, ხოლო რონალდომ „რეალის“ - 35%.

■ ■ ■

ესპანეთი. ჯეფლიგა. II გადმოცემა. მიმოხილვა. მატჩი

ბარსელონა-რაიო ვალეკანო 4:0

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, აბიდალი - ინიესტა (54. ფაბრეგასი), ჩავი (53. ტ. ალკანტარა), კეიტა - სანჩესი (70. ადრიანო), მესი, ვილია.

რაიო ვალეკანო (5-4-1): კობენიო - ბოტელიო, ლაბაკა, არიბასი, ხორდი, კასადო - მიჩუ, მოვილია, ფუეგო (53. რ. გარსია), მიჩელი (46. ტამუდო) - ლ. ბანგურა (68. პიტი).

გოლები: 1:0 სანჩესი (28), 2:0 სანჩესი (40), 3:0 ვილია (42), 4:0 მესი 49)

გაფრთხილება: ვალდესი, პიკე - ლ. ბანგურა, ხორდი, არიბასი

კუთხური: 5-2; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 11-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

მაყურებელი: 78 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	13	11	1	1	46-10	34
2. ბარსელონა	14	9	4	1	42-7	31
3. ვალენსია	13	8	3	2	21-13	27
4. ლევანტე	13	8	2	3	23-12	26
5. მალაგა	12	6	2	4	15-15	20
6. სევილია	12	4	6	2	12-10	18
7. ოსასუნა	13	4	6	3	16-25	18
8. ბილბაო	13	4	5	4	19-16	17
9. ესპანიოლი	13	5	2	6	10-15	17
10. ატლეტიკო	13	4	4	5	18-20	16
11. ვალენსია	14	4	4	6	15-19	16
12. ვილიარეალი	12	3	5	4	10-17	14
13. ხეტაფე	13	3	4	6	14-19	13
14. ბეტისი	13	4	1	8	12-19	13
15. მალიორკა	12	3	4	5	10-17	13
16. გრანადა	12	3	3	6	5-12	12
17. სოსიედადი	13	3	3	7	12-20	12
18. სპორტინგი	13	3	3	7	12-21	12
19. სარაგოსა	12	2	4	6	12-26	10
20. რასინგი	13	1	6	6	9-20	9

ბომბარდირები: 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 16 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 8 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

ასისტენტები: 10 - ანხელ დი მარია (რეალი); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), ლიონელ მესი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა), მესუთ იოზილი (რეალი), არდა თურანი (ატლეტიკო); 4 - ხოსე ბარკერო (ლევანტე).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

P.S. *ნუხელ ცნობილი გახდა, რომ ექტორ სუპერი თანამდებობიდან გადადგა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● სკანდალი

სუსტი მასპინძელი ბედის ანაბარა

პოლონურ ფეხბურთში ბოლო წლებში სკანდალი უცხო ხილი უკვე აღარ არის. პირველად სტატიები აღნიშნულ სამყაროში კრიმინალთა თავაშვებული საქმეების შესახებ 2005 წლის მინურულს დაიწერა. სიტუაცია პოლიციისა და პროკურატურის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ვითარება ნელ-ნელა მწიფდებოდა. სამართალდამცავებმა 2008 წლის 22 ოქტომბერს პირველი გავლენიანი პიროვნება დააკავეს – ეს პოლონეთის ნაკრების ყოფილი (1997/99 წლები) თავკაცი, პოლონეთის სეიმის ასევე ყოფილი წევრი (2005/07 წლები) **იანუშ ვოიციკი**. სწორედ ის იყო 1992 წელს პოლონეთის ოლიმპიური გუნდის თავკაცი, ვინც ბარსელონაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ვოიციკს კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა ედებოდა ბრალად. მისი დაკავებიდან ორიოდე დღეში დააპატიმრეს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი, ასევე ფედერაციის გენერალური მდივანი **ზდისლავ კრეჩინი**. ამ პერიოდში პოლიციამ სულ 150 ეჭვმიტანილის არსებობის შესახებ გააკეთა განცხადება, თუმცა მათი სახელები არ გახმაურებულა. მათგან ბევრისთვის ბრალი არც წაუყენებიათ. საბოლოოდ სასამართლომდე არ მისულა არც კრეჩინის საქმე.

მას შემდეგ 3 წელიწადი გავიდა. ფედერაციის პრეზიდენტი, ლეგენდარული ფეხბურთელი **გუჟგოშ ლატო** და ისევ და ისევ ზდისლავ კრეჩინი მორიგ საფეხბურთო სკანდალში გაეხვივნენ. საქმე ისევ გარიგებულ მატჩებს ეხება. სამართალდამცავები დეტალებზე საუბარს თავს არიდებენ. მიუხედავად სკანდალისა, ევრო 2012-ის ორგანიზებას საფრთხე არ დაემუქრებაო, - ირწმუნება სამთავრობო კავშირის პოლონეთი 2012-ის თავმჯდომარე **ნიკოლაი პიოტროვსკი**. *"ამჟამად საქმე უკვე ისეა მოგვარებული, რომ ევროპის ჩემპიონატის გამართვას საფრთხე უბრალოდ ვერ დაემუქრება. ორგანიზების საქმეში ჩვენი უმთავრესი პარტნიორები აქამდეც უეფა და უკრაინის მხარის კომიტეტი იყვნენ. სწორედ ამიტომ საფრთხე ნულოვანია. თუმცა ვერც იმას დავიჩემებ, რომ ჩვენში მძვინვარე ახალი კრიზისი ევროპის ჩემპიონატის ირგვლივ ატმოსფეროს უფრო დადებითს გახდის. კარგი იქნება, თუკი ახალი წლის შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ მხოლოდ ფეხბურთზე მოვახერხოთ ყურადღების გამახვილება,"* – განაცხადა პიოტროვსკიმ.

პოლონეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფრანტიშეკ სმუდამ** ევროპის ჩემპიონატის ჯგუფების კენჭისყრაზე ისაუბრა. მისი გუნდი 16 მონაწილეს შორის ყველაზე დაბალი რეიტინგის მფლობელია უეფას ვერსიით. შეჯიბრების წინ ბუკმეკერებიც კი მისგან, მიუხედავად მასპინძლის სტატუსისა, ბევრს არაფერს ელიან. *"ვინც*



მოხვდება ჩვენთან, დაე, ის მოხვდეს. ვერაფერს ვიზამთ. ამასთან, ერთი, რაც ყველაზე მეტად არ მსურს, ეს მეოთხე კალათიდან ჩვენთან საფრანგეთის მოხვედრაა. თუ საქმე არჩევანზე მიდგა, დანიასთან დაპირისპირება მირჩევნია. მათთან თანაბრად თამაში უფრო შეგვიძლია, ვიდრე ფრანგებთან. თუმცა არც ის მავინყდება, რომ დანიელებსაც ხშირად გავუმწარებივართ. რაც უნდა მოხდეს, ფიქრს იმაზე, თუ როგორ უნდა შევებრძოლოთ ოპონენტებს, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დავიწყებთ. იმედს გვაძლევს ის, რომ ჩვენი ლიდერები გახსნას სწორედ ახლა იწყებენ, მაგალითად რობერტ ლევანდოვსკი," – აცხადებს სმუდა.

● მარსელის ოლიმპიკი

პროვანსელთა აფრიკული დანაკლისი

მე-15 ტურში "პარი სენ-ჟერმენის" 3:0 განადგურების შემდეგ "მარსელის" პრეზიდენტი **ვენსან ლაბრუნი** კარგ ხასიათზეა, მაგრამ დროდადრო ისევ უწევს არასასიამოვნო თემებზე ფიქრი. ჟურნალისტებთან საუბრისას ის კლუბის ფინანსურ პრობლემებს გადასწვდა და აღნიშნა, რომ "მარსელს" ზამთრის სატრანსფერო პაუზისას ნამდვილად არ ექნება იმის რესურსი, რომ გუნდის ყველა სუსტი ნერტილი მოაძლიეროსო. *"აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას მეტად დელიკატური ჰქვია. ზაფხულის შემდეგ კლუბს პრაქტიკულად არაფერი შემატებია. თუკი იანვრის პაუზამდე მოვახერხებთ და სამეულს მივუახლოვდებით, მაშინ სატრანსფერო ბაზარზე გავალთ და რამდენიმე კარგ ფეხბურთელს შევიძენთ. თუმცა ვინც ხელთ მოგვხვდება, ისეთებს არ შევიძენთ. გაძლიერება პირველ რიგში იმიტომ გვინდა, რომ აფრიკის თასზე ჩვენგან რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი წავა. უკვე ვმუშაობთ, რომ მათი შეცვლა ახალგაზრდა ფეხბურთელებით შევძლოთ. რა გამოვა, ამის თქმა წინასწარ ძნელია,"* – განუცხადა "ეკიპს" ლაბრუნმა. რაც შეეხება ფეხბურთელების გასხვისებას, კლუბს ერთადერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. თუნდაც იჯარით, მაგრამ გუნდს აუცილებლად დატოვებს **პიერ-ანდრე ჟინიაკი.**

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდიდან "სანდერლენდში" კარიერის გაგრძელებას ალბათ ძნელად თუ ვინმე მოისურვებს, მაგრამ ამის იმედი ნამდვილად აქვთ უშუალოდ ინგლისური კლუბის შეფებს. მათ "მარსელიდან" **ლოიკ რემის** გადაბირება სურთ, ვინც წელს მართლა ბრწყინვალედ გამოიყურება. 24 წლის თავდამსხმელს მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირში ერთად 22 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი. მის ანგარიშზეა ასევე 4 საგოლე გადაცემა. „სანდერლენდს" თავდამსხმელის სანაცვლოდ 15—17 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

დაბოლოს ერთ საინტერესო ინფორმაციას გაგაცნობთ: მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, კლუბის ხელმძღვანელობა იმდენად აღფრთოვანებული დარჩა "პარი სენ-ჟერმენთან" მოპოვებული გამარჯვებით, რომ მატჩის მონაწილე ყველა ფეხბურთელს პრემიის სახით 5 ათასი ევრო გამოუწერა.

● ამბები

ჯაჭჯაჭების ფრანგი სპეციალისტი

"ნიუკასლმა" "მონპელიედან" ერთბაშად ორი ფეხბურთელის **მაპუ იანგა-მბივასა** და **ოლივიე ჟირუს** გადაბირება გადაწყვიტა. ლაპარაკია, რომ ცენტრალური აფრიკის მკვიდრი მცველი "სენტ ჯეიმს პარკზე" იანვარშივე გადავა, ჟირუ კი ევრო 2012-ის დამთავრების შემდეგ. ჯორდები ჟირუს სამსახურზე არც ახლა იტყოდნენ უარს, მაგრამ იციან, რომ ეს ფეხბურთელისთვის სერიოზული რისკია, რაზეც ის არაფრის დიდებით არ წავა. **ლორან ბლანი** მასზე დიდ იმედებს ამყარებს და ახლა "მონპელიედან" წასვლა, სადაც ის ფანტასტიკურად თამაშობს, უბრალოდ არალოგიკურია.

დე მელოს ტრავმა

"ლილის" ახმახ ცენტრალურ თავდამსხმელს (193 სმ, 85 კგ) **ტულიო დე მელოს** შაბათს, ლიგა 1-ის მე-15 ტურის შეხვედრაში "ბრესტის" წინააღმდეგ 25-ე წუთზე მეტოქესთან შეჯახების შემდეგ მუხლის მყესები დაეჭიმა. მინდორზე ადგილი მან **მუსა სოვს** დაუთმო. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს ნამდვილად არ სწყალობს ბედი. ტულიომ ფეხის ტრავმის გამო ხომ სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა და "ლილს" მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს დაუბრუნდა "სედანთან" სათასო დაპირისპირებაში.

ისევ ტრაპატონი

კვირას საღამოს **ჯოვანი ტრაპატონის** აგენტმა განაცხადა, ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ დროის ამბავიაო. და აი, გუშინ დილას უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ტრაპატონიმ და მისმა აგენტმა **მარკო ტარდელიმ** ფედერაციასთან ხელშეკრულებები 2014 წლის ივლისის ბოლომდე გააფორმეს. ხელშეკრულების დადება დაადასტურა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯონ დელეინიმა**. საინტერესოა, რომ "აირიშ ინდეპენდენტის" მტკიცებით, მათი ხელფასის სოლიდურ ნილს ბიზნესმენი **დენის ობრაიენი** გადაიხდის.

● პარი სენ-ჟერმენი

თავკაცის ძიებაში

მარსელის "ველოდრომზე" გამანადგურებელმა მარცხმა "პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელის **ანტუან კომბუარეს** აქციების ფასი მეტისმეტად დაბლა დასცა. "ეკიპი" ორშაბათის ნომერში წერდა, მიუხედავად იმისა, რომ **ლეონარდო** გუნდის თავკაცს აწყნარებს და ნდობას ეფიცება, მზადაა, იანვარში გუნდი "შახტარის" თავკაც **მირჩა ლუჩესკუს** ჩააბაროსო. მოგეხსენებათ მას რამდენჯერმე აქამდეც ჰქონდა მცდელობა, რათა კომბუარეს შემცველი მოენახა. ყველაზე რეალური **კარლო ანჩელოტის** დანიშვნა იყო, მაგრამ იტალიელმა სპეციალისტმა საფრანგეთში მუშაობა იუარა. **გუუს ჰიდინკის** აგენტმა კი თავად დაადასტურა, რომ "პარი სენ-ჟერმენის" წინადადება მიღებული ჰქონდა, მაგრამ იქვე დაამატა, ჩემი კლიენტი გადაწყვეტილებას იანვარში მიიღებს, იქამდე კი კარგად უნდა დაისვენოსო. ჰოლანდიელთან დაკავშირება ვერაფრით ხერხდება, ჰოლანდიური ვებგვერდები წერენ, დასასვენებლად აფრიკაში გაემგზავრაო.

გუშინ იმავე "ეკიპმა" დაწერა, რომ მირჩა ლუჩესკუ თავაზიან უარს აცხადებს "პარი სენ-ჟერმენის" შეთავაზებაზე. მიზეზად ის "შახტარში" დიდი გეგმების არსებობას ასახელებსო. ეს უკვე მეორედ ხდება, როცა ლეონარდო მშრალზე რჩება. ის კი მუშაობის შეწყვეტას იქამდე არ დათანხმდება, ვიდრე ახალ, კვალიფიციურ წინამძღოლს არ ნახავს. და აი, არის იდეა! თუ იანვარში ჰიდინკის დათანხმებაც არ გამოვიდა, მაშინ გუნდს **კლოდ მაკელელე** ჩაიბარებს. მისი კანდიდატურა ლუჩესკუს უარის შემდეგ პარიზელთა ბანაკში აქტიურად განიხილება. კლოდს ამჟამად კლუბში სპორტული კონსულტანტის თანამდებობა უკავია. როგორც კულუარებში წერენ, მის დანიშვნას "პარი სენ-ჟერმენის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ნასერ ალ-ჰელაიფი** ლობირებს.

ისე როგორ იქნება, "ლურჯ-წითლების" სატრანსფერო გეგმებზეც არ ვთქვათ ორიოდე სიტყვა? პსჟ და **დევიდ ბექჰემი** დიდი ხანია ეკურკურებიან ერთმანეთს. ინგლისელი ამჟამად "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" ერთად ტაილანდშია. კომენტარი მომავალ ტრანსფერთან დაკავშირებით მან სწორედ ამ ქვეყანაში გააკეთა. 36 წლის ფეხბურთელის თქმით, მას არჩევანის გაკეთება "პარი სენ-ჟერმენსა" და "გალაქსის" შორის უნევს. BBC-ის ცნობით, დევიდი საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს. მათი ვარაუდით, ბექზი ევროპაში დაბრუნებას მიანიჭებს უპირატესობას. აქვე შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პსჟ დევიდს 2-წლიან კონტრაქტში 8 მილიონ ევროს სთავაზობდა. შემდეგ შეთავაზება იმავე ხანგრძლივობის კონტრაქტში 9 მილიონამდე გაიზარდა. ახლა კი ლაპარაკია, რომ აღნიშნულ 9 მილიონს ის 1,5 წელიწადში მიიღებს. ბექჰემი თავისუფალი აგენტი 31 დეკემბერს ხდება.

იანვარში "პარკ დე პრენსზე" შეიძლება "იუვენტუსის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **კარვალიო ამაური** გამოჩნდეს. მის მიმართ ინტერესი სულ ცინცხალი ამბავია. სამხრეთამერიკელი ფორვარდი ამ სეზონში თამაშგარეშია დარჩენილი. "ბიანკონერის" მწვრთნელი **ანტონიო კონტე** მის სამსახურზე უარს ამბობს. „ქალბატონს" ამაურის გაყიდვა ჯერ კიდევ ზაფხულზე სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა ტრანსფერზე კატეგორიული უარი განაცხადა. ახლა გუნდიდან თავის დაღწევა თავად აქვს საოცნებო.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

● არასატრანსფერო ამბები

ოსვალდო ლამელას წაეკიდა

გვიდოლინმა სკუდეტო გამორიცხა, მაძარიმ კონტე მგაძავსო

იტალიურ სპორტულ პრესაში ბევრი სატრანსფერო ჭორ-მართალი ვრცელდება, რომელთაგან რთულია ამოარჩიო ყველაზე საინტერესო, ან ყველაზე აქტუალური - დიდად ვერც იმას გაიგებ, რომელია სიმართლესთან ახლოს და რომელი უბრალო მონაჩმახი. ამიტომ, სატრანსფერო ცნობებს უფრო დიდი დოზებით ზამთრის შესვენების მოახლოებასთან ერთად მოგაწვდით, იქამდე კი არასატრანსფერო ამბებით და მწვრთნელ-ფეხბურთელთა გამონათქვამებით შევიქციოთ თავი, რომლებიც დღეს ყველაზე აქტუალურია აპენინურ მედიაში.

გვიდოლინი: რა სკუდეტო, რის სკუდეტო...

მას შემდეგ, რაც „უდინეზემ" საკუთარ მოედანზე „რომა" დაამარცხა, ფრიულური კლუბის საჩემპიონო შანსებზე იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად ალაპარაკდნენ. მართალია, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით უტოპიად მოსჩანს, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც უდინელთა წარმატების შანსებს საკმაოდ ძვირად აფასებენ. „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი **ფრანჩესკო გვიდოლინს** შეეხმიანა და სწორედ ამ საკითხის ირგვლივ რამდენიმე კითხვა დაუსვა...

- ჩემპიონატის დაწყებიდან 12 ტურია გასული და თქვენი გუნდი „მილანთან" ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ხომ არ ფიქრობთ, რომ დადგა დრო „უდინეზემ" სკუდეტოსთვის იბრძოლოს?

- სატურნირო ცხრილში მართლაც მაღალი პოზიცია გვიკავია და ლიდერს კუდზე ვაზიცართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა. ყოველთვის რეალისტი ვიყავი და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახლდათ მიღწეული წარმატებების. „უდინეზე" კონკურენტუნარიანი გუნდია, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, მაგრამ არა იმდენად სტაბილური, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. სტაბილურობას გაცილებით უფრო ძლიერი შემადგენლობა და დიდი არჩევანი სჭირდება.

- მაშინ იქნებ გვითხრათ, რომელი გუნდი მიგაჩნიათ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად?

- ორიგინალური არ ვიქნები და ვიტყვი, რომ სკუდეტოს ან „იუვენტუსი" მოიგებს, ანაც „მილანი". ფავორიტთა შორის მოვიაზრებდი „ინტერსაც", მაგრამ ამ გუნდმა პირველობა კატასტროფულად დაიწყო. არ გამოვრიცხავ, რომ ჩემპიონობისთვის ბოლო ტურებამდე იბრძოლონ „რომამ", „ლაციომ" ან „ნაპოლიმ". ამ გუნდებს ნამდვილად შესწევთ იმის ძალა, რომ სიურპრიზი შემოგვთავაზონ. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი გუნდების შემდეგ მოვიაზრებ „უდინეზეს", რეალურად, ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და თუ ასე მოხდა, უბედნიერესი ვიქნები.

- ანუ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როდესაც „უდინეზემ" რაიმე მნიშვნელოვანი ტიტული უნდა მოიგოს?

- „უდინეზეს" კალიბრის გუნდისთვის იტალიის თასის მოგება შესანიშნავი იქნებოდა, აი, სკუდეტოზე კი ჩემი აზრი ზემოთაც მოგახსენეთ. დაფიქრდით, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ კონკურენცია უნდა გავუწიოთ „მილანს", „იუვენტუსს" და თუნდაც „ინტერს", გუნდებს, რომლებსაც კოლოსალური ბიუჯეტები აქვთ. მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩის წლიური ხელფასით ჩვენ მთელ გუნდთან გავსწორდებით - ასე რომ, სკუდეტოზე ლაპარაკი ნამდვილად გადაჭარბებულია.

მაძარიმ იუვე ნაპოლის შეადარა

დაახლოებით ორი კვირის წინ, **ვალტერ მაძარიმ** რატომღაც „ბარსელონას" თამაშის გარჩევა გადაწყვიტა და კატალონიური გრანდის ტაქტიკა-სტრატეგიაზე სულ დეტალებში ისაუბრა. მაძარიმ მაღალი შეფასება მისცა **პეპ გვარდიოლას** მუშაობას და დასძინა, რომ ცდილობს ესპანელებისგან რაღაცები აითვისოს კიდეც - თუმცა, იქვე ისიც დაამატა, აშკარაა, არც გვარდიოლას დარჩენია ჩვენი წარმატებული თამაში უყურადღებოდ და ბევრი რამე ჩვენგან გადაიღო.

გავიდა გარკვეული პერიოდი და მაძარიმ „იუვენტუსის" შესახებაც დაახლოებით ანალოგიურ სტილში ისაუბრა - მოვუსმინოთ „ნაპოლის" მთავარ მწვრთნელს: *„ის, რომ „იუვენტუსი" სათავეში უდგას სერია A-ს სატურნირო ცხრილს, ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ამ გუნდს ანტონიო კონტე უდგას სათავეში. ჩემი აზრით, კონტე ახალი თაობის ყველაზე ნიჭიერი სპეციალისტია და მის ხელში ტურინული გრანდი მწვერვალებს დაიპყრობს. „ბიანკონერის" თამაშს ყურადღებით ვადევნებ თვალს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ტურინელები ჩვენს სტილში ასპარეზობენ. ძალიან ბევრი მსგავსებაა „იუვესა" და „ნაპოლის" შორის, რაც ალბათ იმის დამსახურებაა, რომ კონტემ ჩვენგან ბევრი რამ გადაიღო. ეს არც მიკვირს, რადგან „იუვენტუსი" კონტეს ხელში ჩამოყალიბების სტადიაში იყო, ჩემი ფორმაციის „ნაპოლიმ" კი უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს".*

ადრიან მუტუ

როგორც ჩანს, ვალტერ მაძარის განდიდების მანია დაეწყო და ეჩვენება, რომ ევროპის წამყვანი გუნდების მწვრთნელები ყველაფერს მისგან იღებენ. „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი გაკვირვებულია მაძარის ბოლო განცხადებით და რიტორიკულ კითხვას სვავს: *„რა კავშირი შეიძლება იყოს „ნაპოლისა" და „იუვენტუსს" შორის"?* - ნეაპოლური გუნდი 3 მცველით, 4 ნომინალური ნახევარმცველით და 3 შემტევით თამაშობს; მაშინ, როდესაც ტურინულ გრანდს, როგორც წესი, 4 მცველი, 2 საყრდენი ნახევარმცველი, 3 შემტევი და 1 გამოკვეთილი ფორვარდი ჰყავს. ერთი სიტყვით, ტაქტიკური თვალსაზრისით ამ ორ გუნდს შორის მსგავსებას აშკარად ვერ ვხედავთ და თუ რა იგულისხმა მაძარიმ, რთული სათქმელია.

მუტუ გაყოყოჩდა

გასულ უქმეებზე, „ჩეზენამ" „ჯენოას" 2:0 სძლია, ორივე გოლი კი აქტივში **ადრიან მუტუმ** ჩაიწერა. გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ რუმინელი ტურის გმირად აღიარეს და ზოგადად, მისი მისამართით უამრავი საქებარი სიტყვა ითქვა. როგორც ჩანს, ასეთი ქება-დიდება მუტუს თავში აუვარდა და ჩათვალა, რომ მასზე ნიჭიერი მობურთალი დედამიწაზე ცოტა თუ დაიარება. მოვუსმინოთ ადრიანს და ამაში თავადაც დარწმუნდებით:

„ბედს ნამდვილად არ ვემდური, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შემეძლო გაცილებით უფრო მეტისთვის მიმეღწია. გადამწყვეტი პერიოდი 2003 წელს დამიდგა, როდესაც „პარმადან" „ჩელსიში" გადავედი და ჩემს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო - სწორედ მაშინ მმართებდა განსაკუთრებული მონდომებით ვარჯიში და საუკეთესო თვისებების წარმოჩენა, მაგრამ ახალგაზრდულმა ასაკმა თავისი გაიტანა. ვერ გამოვავლინე საუკეთესო თვისებები და ჩემი კარიერის დალმასვლაც იქიდან დაიწყო. არადა, საქმისადმი სწორი მიდგომით შემეძლო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი გავხმდარიყავი და ოქროს ბურთი ამელო. დიახ, ამის პოტენციალი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ღმერთისგან ბოძებული ნიჭი სათანადოდ ვერ გამოვიყენე. რას ვიზამთ, არსებულ რეალობას უნდა შევეგუოთ, „ჩეზენა" გადარჩენისთვის იბრძვის და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდს მიზნის მიღწევაში დავეხმარო".

გაწევ-გამოწევა რომას ბანაკში

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს იტალიელმა ჟურნალისტებმა, რომლის მიხედვითაც „უდინეზესთან" წაგებული მატჩის შემდეგ „რომას" ბანაკში სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ერთმანეთს გუნდის ორი თავდამსხმელი: **პაბლო ოსვალდო** და **ერიკ ლამელა** წაეკიდნენ.

„გაძეტა დელო სპორტი" ინციდენტს დეტალურად აღწერს, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ოსვალდომ თანაგუნდელი იგნორირებაში დაადანაშაულა და მიაძახა, თავი ანიე და პასების კეთებას დაეჩვიეო - ლამელას ოსვალდოს რეპლიკისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რამაც იტალიის ნაკრების ფორვარდი კიდეე უფრო გააღიზიანა; ოსვალდომ ხელით გააჩერა ერიკი და უყვირა, შენზე უფროსი ვარ და როდესაც გელაპარაკები, პასუხი გამეცი... ახალგაზრდა არგენტინელმა მაშინლა შეუბრუნა სიტყვა ოსვალდოს და უთხრა, თავი მარადონა ხომ არ გგონია, ამდენს რომ ბედავო, რისთვისაც სახეში ოსვალდოს გაშლილი ხელი მოხვედრია - ამას განევგამოწევა და ფეხბურთელთა გაშვებლება მოჰყვა, თუმცა კონფლიქტი დღემდე ღიად რჩება. აღნიშნულ ინციდენტზე კომენტარის გაკეთება „რომას" მთავარ მწვრთნელს, **ლუის ენრიკეს** სთხოვეს და მისგან შემდეგი მოისმინეს:

„გუნდი ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არ უარვყოფ, ფეხბურთელებს შორის გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამისგან ტრაგედიის შექმნა ნამდვილად არ ღირს. მეც ვიყავი ფეხბურთელი და მსგავსი რამის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ, შემდეგ კი ყველაფერი მშვიდობიანად სრულდებოდა. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი კარგად იქნება".

ლაშა წიკლაური

ნაპოლი-იუვენტუსი 3:3

ნაპოლი (3-4-2-1): დე სანტისი – კანავარო, კამპანიარო, არონიკა (76. ფერნანდესი) – ცუნიგა (87. დოსენა), მაჯო, ინლერი, გარგანო – ჰამშიკი, პანდევი (71. სანტანა) – ლავეცი.

იუვენტუსი (4-4-2): ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – პირლო, ჰეპე (86. პაციენცა), ვიდალი, ესტიგარიბია – ვუჩინიჩი (90. დელ პიერო), მატრი (89. კვალიარელა).

გოლები: 1:0 ჰამშიკი (22), 2:0 პანდევი (40), 2:1 მატრი (48), 3:1 პანდევი (68), 3:2 ესტიგარიბია (72), 3:3 ჰეპე (79).

გაფრთხილება: მაჯო, ჰამშიკი, პანდევი – ბონუჩი, ლიხტშტაინერი, ვიდალი, მატრი.

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 19-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9(6)-10(7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

მაყურებელი: 49 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	12	7	5	0	22-10	26
2. მილანი	12	7	3	2	27-14	24
3. უდინეზე	12	7	3	2	15-6	24
3. ლაციო	12	6	4	2	16-9	22
5. პალერმო	12	6	1	5	16-15	19
6. ნაპოლი	12	4	5	3	17-11	17
7. რომა	12	5	2	5	15-14	17
8. კატანია	12	4	5	3	14-18	17
9. ჯენოა	11	4	3	4	14-14	15
10. პარმა	12	5	0	7	15-20	15
11. კიევო	12	4	3	5	10-16	15
12. სიენა	12	3	5	4	14-11	14
13. ატალანტა	12	5	5	2	16-15	14
14. კალიარი	12	3	5	4	11-13	14
15. ინტერი	11	4	2	5	14-17	14
16. ფიორენტინა	12	3	4	5	10-11	13
17. ბოლონია	12	3	2	7	10-18	11
18. ნოვარა	12	2	4	6	14-21	10
19. ჩეზენა	12	2	3	7	6-13	9
20. ლეჩე	12	2	2	8	9-19	8

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

● ევროპა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის ნაწილი

ტოტენჰემისთვის პაოკ-თან თამაში ევროპაში 150-ე იქნება

A ჯგუფი

რუბინი-შვეროკი	21:00
ტოტენჰემი-პაოკ	00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტოტენჰემი	3	2	1	0	4-1	7
2. პაოკ	3	1	2	0	4-3	5
3. რუბინი	3	1	1	1	5-3	4
4. შვეროკი	3	0	0	3	2-8	0

B ჯგუფი

სტანდარდი-ჰანოვერი	00:05
ვორსკლა-კოპენჰაგენი	00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტანდარდი	3	1	2	0	3-0	5
2. ჰანოვერი	3	1	2	0	4-3	5
3. კოპენჰაგენი	3	1	1	1	3-5	4
4. ვორსკლა	3	0	1	2	1-3	1

C ჯგუფი

რაპიდი-ჰაპოელი თ.	00:05
ლეგია-პსვ	00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პსვ	3	3	0	0	5-1	9
2. ლეგია	3	2	0	1	4-3	6
3. რაპიდი	3	1	0	2	2-4	3
4. ჰაპოელი	3	0	0	3	2-5	0

G ჯგუფი

მალმიო-ალკმაარი	22:00
მეტალისტი-აუსტრია	22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მეტალისტი	3	2	1	0	7-3	7
2. ალკმაარი	3	1	2	0	7-4	5
3. აუსტრია	3	1	1	1	5-5	4
4. მალმიო	3	0	0	3	3-10	0

H ჯგუფი

მარიბორი-ბრიუგე	22:00
ბრაგა-ბირმინგემი	22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრიუგე	3	2	0	1	5-3	6
2. ბირმინგემი	3	2	0	1	5-5	6
3. ბრაგა	3	1	1	1	5-4	4
4. მარიბორი	3	0	1	2	2-5	1

I ჯგუფი

რენი-უდინეზე	22:00
სელტიკი-ბილბაო	22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. უდინეზე	3	2	1	0	5-2	7
2. ატლეტიკო	3	1	1	1	3-3	4
3. რენი	3	0	2	1	3-4	2
4. სელტიკი	3	0	2	1	2-4	2

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პროგლემები?

გთავაზობთ მაღთაგუა დისკის ჰათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ძვიდა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

გოგშელიძე: ოლიმპიადისთვის ფორმაში ვიქნები

თავისუფლების დასასრული - საევროპო მზადება იწყება

სპორტკომპლექს „არენაში“ გუშინ დამთავრებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის მეორე დღეც ისეთივე ტენდენციებით წარიმართა, როგორც პირველი - ძველი თაობის უპირატესობა კვლავაც თვალში საცემი იყო, ოღონდ ამჯერად ახალგაზრდებმა უფრო მეტად იყოჩაღეს. ამის მიუხედავად, ახალი სახეები შედარებით ნაკლებად გამოჩნდა - ყოველ შემთხვევაში, მეტია სასურველი. ჭიდაობის ხარისხიც უკეთესის სურვილს ტოვებდა, თუმცა ამ ეტაპისთვის ფალავნები ფორმაში რომ არ იქნებოდნენ, ესეც გასაგებია. უბრალოდ, ადრინდელი ნაკლოვანებები ისევ ცხადად ჩანდა, რაც ბოლო წლებში სიმპტომატურად გვექცა, თუმცა ვიქონიოთ იმედი, საოლიმპიადოდ პროგრესსაც ვიხილავთ.

60 კგ

ახალ თაობაზე ლაპარაკისას ეს წონა უნდა ვახსენოთ, თუმცა ფინალისტებს ახალი კადრები არ ეთქმით. აქ გორული ფინალი ვიხილეთ - ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორმა, 21 წლის **დავით ბერძნიშვილმა** მეტად დრამატულ ბრძოლაში **გიორგი ბალიაშვილი** დაამარცხა. არადა, ფინალამდე შედარებით უფრო ძნელი გზა ბალიაშვილმა გაიარა და საკმაოდ კარგადაც იჭიდავა - სხვებთან ერთად ევროპის მედალოსან **მალხაზ ქურდიანსაც** მოუგო, რომელიც თავად აცხადებს პრეტენზიას წონის ლიდერობაზე.

ფინალიც ბალიაშვილის უპირატესობით დაიწყო და ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წამით ადრე იგებდა კიდეც. პირველი პერიოდი მან მშვენიერი რეიდით მოიგო, როცა მეტოქე ორივე ხელით აიტაცა ფეხებიდან და მოწყვეტით დააგდო სამქულიანზე. მეორე პერიოდშიც ფეხში შესვლამ მოუტანა ნარმატება, თუმცა იმ ჯერზე ბერძნიშვილის ილეთზე გადაგდება ვერ შეძლო, მაგრამ წრიდან გაიყვანა და 1:0 დაწინაურდა. ამ ანგარიშს პერიოდის ბოლომდე ინარჩუნებდა, ვიდრე ის საბედისწერო ეპიზოდი არ დაუდგა - სასტვენამდე 2 წამით ადრე ბერძნიშვილმაც მოახერხა წრიდან მისი გაგდება და ანგარიში გაათანაბრა. რაკიღა ბოლო ქულა მისი იყო, პერიოდიც მან მოიგო და შეხვედრაც დამატებით დროში გადავიდა. იქ ორივე მეტოქე მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენდა და ქულა არ გაკეთებულა, ბურთულის ამოღების უფლება კი ბალიაშვილს ჰქონდა. მისდა საუბედუროდ, მან ბერძნიშვილის ფერი - ლურჯი ამოიღო, ანუ ფეხში შესვლის უფლებაც მას მიანიჭა. ეს მდგომარეობა გამარჯვების გარანტია რომ არაა, მოგვიანებით 96-ის ფინალშიც დადასტურდა, მაგრამ შემტევს იმდენად დიდ უპირატესობას აძლევს, მეტ-ნაკლებად კლასიანი მოჭიდავე აუცილებლად გამოიყენებს. ამის გაკეთება არც ბერძნიშვილს გასჭირვებია და ჩემპიონიც გახდა.

ამ წონაში ინტერესს იწვევდა ქურდიანის გამოსვლაც, რომელიც ბოლო წლებში წონის ლიდერის, ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მალხაზ ზარქუას** უმთავრეს პრეტენდენტად იქცა. ქურდიანი ცუდად არ გამოსულა და მესამეზეც გავიდა, მაგრამ იქნებ ქომაგები მისგან მეტს ელოდნენ. ძირითად ბადეში მან **ლაშა ლომთაძეს** მოუგო და იქნებ ამანაც განაპირობა ბალიაშვილთან მარცხი - ყოველ შემთხვევაში, ის შეხვედრა მომდევნო წრეში, ნახევარფინალში შედგა. საინტერესო იყო ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორ **მურთაზ კვესაძის** ასპარეზობაც - ქუთაისელი ფალავანი ქვეყნის ყოველ პირველობაზე ახერხებს ლიდერთა შორის ყოფნას და ხარისხიანი ჭიდაობის ჩვენებასაც, თუმცა საერთაშორისო არენაზე გასვლა ჯერჯერობით უჭირს. ის ნახევარფინალში ბერძნიშვილთან დამარცხდა. საინტერესო იქნებოდა, მალხაზ ზარქუასაც რომ ეჭიდავა - ვფიქრობთ, მას იოლი გასეირნება არ ელოდა.

74 კგ

ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან **დავით ხუციშვილის** არყოფნაში აქ ახალგაზრდებმა ისახელეს თავი. თანაც 60-ის ფინალისტებს ქომაგი თუ კარგად იცნობს, ესენი - თბილისელი **იაკობ მაქარაშვილიც** და საგარეჯოელი **ზურაბ ერბოწონაშვილიც** შედარებით უცნობები არიან. ფინალში მაქარაშვილის უპირატესობა აშკარა იყო. აქ მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ პერიოდში იყო, თუმცა ისიც მომავალმა ჩემპიონმა მაქარაშვილმა მოიგო, ოღონდ მინიმალური ანგარიშით - 1:0. წაგების საფრთხემ ერბოწონაშვილს აქტიურობისკენ

ოსტატი და შეგირდი: ნუგზარ სხირელი და გიორგი გოგშელიძე

უბიძგა, მეორე პერიოდის დაწყებისთანავე შეუტია და 1 ქულითაც დაწინაურდა, ოღონდ ეს მაქარაშვილის მხრიდან წმიერი მოდუნება ყოფილა, რაც ძვირად დაუსვა მეტოქეს - მიჰყვა და ისე აართვა 8 ქულა, თავად ერთიც არ დაუთმია. შედეგად, პერიოდიც სუფთად მოიგო - 8:1 და ჩემპიონიც გახდა.

ეს ტურნირი მძიმე მოგონებად დარჩება ახალგაზრდებში სამტრედიელ ევროპის ჩემპიონ **გოგა ხუჭუას,** რომლის ჯანმრთელობაც მთელი დღის განმავლობაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა - წნევა დაუვარდა და ლამის ყოველი ორთაბრძოლის მერე ლეიბიდან ხელით გასაყვანი ხდებოდა. მას ჩემპიონატის წინა დღეებში უავადმყოფია, თუმცა ექიმთა ცნობით, წონაც დაუკლია. ამ ყველაფერმა ისედაც დაასვა დაღი, რასაც შეჯიბრების სიმძიმეც დაემატა - ჯერ იყო და უძნელეს ბრძოლაში დამაჯერებლად დაამარცხა ევროპის ვიცე-ჩემპიონი **გელა საღირაშვილი,** ამ შეხვედრიდან მალევე კი არანაკლებ მომქანცველი, დამატებით დროში გაგრძელებული თრილერი გადახდა ნახევარფინალში ერბოწონაშვილთან.

96 კგ

აქ ქომაგთა ყველაზე დიდ ინტერესს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიურ მედალოსან **გიორგი გოგშელიძის** გამოსვლა იწვევდა, თუმცა ფინალში ქომაგი არც **ელიზბარ ოდიკაძეს** აკლდა, რასაც მათი ბოლოდროინდელი შეხვედრების სტატისტიკა ამძაფრებდა. ამჯერად ბრძოლა არც კი შედგა, გოგშელიძემ იმდენად იოლად მოიგო. ფინალამდე მან **გიორგი ყაზიშვილი, ლერი ქობულაშვილი** და ახალგაზრდებში მსოფლიოს ბათუმელი ვიცე-ჩემპიონი **მამუკა კორძაია** დაამარცხა. ოდიკაძე წონის სტაბილურად მეორე ნომრად ჩამოყალიბდა, რაც გუშინაც დამტკიცდა - გოგშელიძესთან ხომ წააგო, ანუ მას ვერ გაუსწრო, თავის მხრივ, ტახტის მოცილეები, - **დავით ქერაშვილი** და 84-დან ამონაცვლებული **არჩილ ქიტიაშვილი** ჩამოიშორა გზიდან.

ფინალში პირველი პერიოდი უქულოდ დასრულდა, გოგშელიძემ კი ოდიკაძის ბურთულა ამოიღო. ისიც ფეხში შევიდა, მაგრამ... უკვე ვთქვით, რომ ამ მდგომარეობაში დაცვაში მდგომი განწირულია, მაგრამ სპორტში კლასიც ბევრს ნიშნავს, რაც იმ ეპიზოდში კიდევ ერთხელ გამოვლინდა. გოგშელიძე ფეხს საკმაოდ კარგად იცავს, ახლაც წამის უსწრაფესად გაექცა ოდიკაძეს და იქით გადაიყვანა ქულაზე. მეორე პერიოდში თვითონ შევიდა ფეხში, მაგრამ მეტოქე ილეთზე ვერაფრით დააგდო, თუმცა ხანგრძლივი ჯაჯგურის შემდეგ წრიდან გაიყვანა და მომგებიანი ქულაც მიითვალა. აი, რა გვითხრა მან ფინალის შემდეგ: *„საქართველოს ჩემპიონატი საპასუხისმგებლო ტურნირია, რადგან ესაა საგაისო სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი. მიხარია, რომ ამხელა პაუზის, იმ მძიმე ოპერაციის შემდეგ შევძელი ფორმაში შესვლა და ამ ტურნირზე გამარჯვება. როდის მივაღწევ ოპტიმალურ ფორმას, ამას ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ გპირდებით, რომ ოლიმპიადისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნები“.*

ჩემპიონატის და გუნდის საევროპო მზადების შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელ **ზაზა თურმანიძესაც** გავესაუბრეთ: *„ჩემპიონატს დადებითად ვაფასებ. საკმაოდ კარგი ჭიდაობები იყო, ზოგან ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ, მაგალითად, 74-ში, 60-ში ახალი სახეა ბერძნიშვილი, თუმცა მთლიანობაში მაინც ძველმა გვარდიამ იმარჯვა. ცხადია, ეს ცუდია სამომავლოდ, რადგან აჯობებს, ახალგაზრდები სჭარბობდნენ. წინ დიდი ამოცანაა - სამი ლიცენზია გვაქვს მოსაპოვებელი. საამისოდ გარკვეული ხედვა გაგვიჩნდა, თუმცა კიდევ ჩამოვყალიბდებით, ვინ იჭიდავებს ევროპას, სხვა შეჯიბრებებს - ეს სამუშაო პროცესში გადაწყდება. 66 კილოგრამი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური წონაა, თუმცა ოთარ თუშიშვილის გვეიმედება. მთავარია, ჯანმრთელად იყოს. გოგშელიძის გამოსვლითაც კმაყოფილი ვარ - კარგი განწყობით შეხვდა ტურნირს და მოიგო. უახლოეს გეგმებს რაც შეეხება, დეკემბერში დუშეთში გავივლით შეკრებას, 8 იანვრიდან კი სომხურ წახკაძორში ნავალთ საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე. წლეულს ევროპის პირველობა ბევრად ადრე, მარტის დასაწყისში - 6-11 მარტს ტარდება ბელგრადში და მისთვის ეტაპობრივად მოვემზადებით“.*

ირაკლი თავაძე

ქვარცხლბეკი

60 კგ. 1 დავით ბერძნიშვილი, 2. გიორგი ბალიაშვილი (ორივე - გორი), 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი), მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი).

74 კგ. 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი), 2. ზურაბ ერბოწონაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), გოგა ხუჭუა (სამტრედია).

96 კგ. 1. გიორგი გოგშელიძე (გორი), 2. ელიზბარ ოდიკაძე, 3. დავით ქერაშვილი (ორივე - თბილისი), მამუკა კორძაია (აჭარა).

● ჭადრაკი

მარცხნიდან: ალექსანდრე არსენიძე, ვლადიმერ ვარძელაშვილი, მერი არაბიძე და გია გიორგაძე (სამინისტროს პრესსამსახურის ფოტო)

წარმატებული წელიწადის ოქროს აკორდი

17 წლის მოჭადრაკის 17 ოქრო-ვერცხლი

ბრაზილიურ კალდას ნოვასში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 18-წლამდელთა შორის ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა მერი არაბიძემ (მწვრთნელი ალექსანდრე არსენიძე) 9 შესაძლებლიდან 8 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. ოკეანისგაღმიდან დაბრუნებულ არაბიძეს გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს. „ჭადრაკში გამარჯვებებით ყოველთვის ვიყავით განებივრებული და სასიამოვნოა, რომ ტრადიცია გრძელდება. მერი არაბიძემ მსოფლიოს პირველობაზე დამაჯერებელად ითამაშა და დაამტკიცა, რომ ღირსეული თაობა მოდის, რომელიც ეროვნულ ნაკრებს სათანადოდ გააძლიერებს“, - აღნიშნა სპორტის მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა შეხვედრისას, რომელსაც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძეც ესწრებოდა.

მერი არაბიძე 17 წლისაა (1994 წლის 25 თებერვალს დაიბადა), სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლის მე-12 კლასში სწავლობს. ჭადრაკის თამაში 6 წლისამ ისწავლა. კარგა ხანს **ანზორ მაჩიტიძე** ამეცადინებდა, მეექვსე წელია, ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე არსენიძე ავარჯიშებს. თანატოლებში საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა მსოფლიოს (2004, 2005, 2011) და ევროპის (2004, 2006, 2008) პირველობები სამ-სამჯერ მოიგო, ვერცხლის მედლები კი შვიდჯერ მოიპოვა. განსაკუთრებით დაძაბული და წარმატებულიც წლევანდელი სეზონი აღმოჩნდა.

- გაზაფხულზე 18-წლამდელთა საქართველოს პირველობაში გავიმარჯვე, - მითხრა მერიმ. - თანატოლებში ჩემპიონობა მეოთხედ მოვიპოვე. წინა წლებში უფრო ვაუთა ტურნირებში ვმონაწილეობდი. გამოცდილების მისაღებად ეს უფრო ნაყოფიერი გამოდგა, რაშიც წლეულს დავრწმუნდი. მაისში ქალთა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში ვითამაშე. 11 შესაძლებლიდან 6,5 ქულით დიდოსტატის 2 ბალი მოვაგროვე. ახლა ამ წოდების მისაღებად ერთი ბალიღა მჭირდება. მერე ოცწლამდელთა საქართველოს ჩემპიონატში ქეთი წანალაშვილთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გავიყავი. უარესი კოეფიციენტით ვერცხლი მერგო.

- თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც მეორე ადგილს დასჯერდი...

- დიახ, ბულგარულ ალბენაში კონტინენტის პირველობების მე-4 ვერცხლის მედალი მოვიპოვე, არადა, ჩემპიონობასთანაც ახლოს ვიყავი - მოლდოველმა დიანა ბაჩიუმ გამისწრო ნახევარი ქულით. მე-7 ტურში სომეხ მარია გევორქიანთან თანაბარ პოზიციაში ყაიმზე უარი ვთქვი - მეტი მოვინდომე, შუა თამაშში შევცდი და ნავაგე. რომ არა ეს მარცხი, სტარტიდანვე ვლიდერობდი და ბაჩიუსთან თანაბარი ქულების შემთხვევაში მეტოქეს კოეფიციენტით გავუსწრებდი.

- სამაგიეროდ, ბრაზილიაში აიღე რევანში...

- ალექსანდრე არსენიძესთან ნაყოფიერად ვმუშაობ, ყოველი ტურნირისთვის მონდომებით ვემზადებით და შედეგებიც თვალსაჩინოა. ქუთაისის მერიის დახმარებით მწვრთნელი ბრაზილიაშიც მახლდა და თითოეულ მეტოქესთან შესახვედრად პერსონალურად მამზადებდა; განსაკუთრებით შეჯიბრების მესამე დღეს გამიჭირდა - ორგანიზატორებმა ერთბაშად ორი ტური დანიშნეს, რომ ეგზოტიკური ადგილების დასათვალიერებლად ერთი დღე გამოეთავისუფლებინათ. დილით ბაჩიუ დავამარცხე, საღამოს - ირანელი ჰეჯაზეპური. ოთხ-ოთხი ქულით მე და ტურნირის რეიტინგფავორიტი, რუსი დიდოსტატი ალინა კაშლინსკაია დავწინაურდით. მეხუთე ტურში ნილისყრამ სწორედ ჩვენ დაგვაპირისპირა ერთმანეთს. საქართველოდან სულ ოთხნი ვიყავით - მე და ჩემს მწვრთნელთან ერთად გიორგი და ნინო ხომერიკები. რამდენიმე საათით გავედით ქალაქის დასათვალიერებლად. მერე სასტუმროში დავბრუნდით და მომდევნო პარტიისთვის მოვემზადე. კაშლინსკაიას უწინ არასდროს შეეხვედრივარ. მან ადრეულ ასაკში მიაღწია დიდოსტატობას და ასაკობრივ ჩემპიონატებში არ მონაწილეობდა. 18-წლამდელთა პირველობა მაინც სერიოზული ტურნირია და ისიც ტიტულის მოპოვების იმედით ჩაება შეჯიბრებაში. შავებით დებიუტში თანაბარი პოზიცია მივიღე, მაგრამ მიტელშპილში ვითამაშე ცუდად და პარტია დავთმე. მართალი გითხრათ, წაგება გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ დიდხანს არ მიგლოვია, რადგან ერთი მარცხით ოქროს დაკარგვა წარმოუდგენელი იყო, ისეთი ძლიერი შემადგენლობა თამაშობდა. მართლაც, კაშლინსკაიამ მოულოდნელად უნგრელ პეტრა პაპთან წააგო, ერთი შეხვედრაც ყაიმით დაამთავრა და საბოლოოდ ნახევარი ქულით ჩამომრჩა. ბოლო ორ ტურში პაპსა და აზერბაიჯანელ ნარმინ კაზიმოვას ვძლიე. არადა, აქამდე კაზიმოვასთან 1,5:2,5-ს ვაგებდი და ბრაზილიაში ანგარიში გავუთანაბრე. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონობამ ძალიან გამახარა. რაც მთავარია, გულშემატკივრებს იმედები არ გავუცრუე, საკუთარი ძალები უფრო მეტად ვირწმუნე და რეიტინგი 28,5 პუნქტით გავზარდე.

ახლა ცოტას დავისვენებ და სპეციალური პროგრამით დავიწყებ მზადებას ევროპის ქალთა ჩემპიონატისთვის, რომელსაც გაისად გაზაფხულზე თურქეთი უმასპინძლებს. ამ ეტაპზე ჩემი უპირველესი ამოცანაა დიდოსტატის მესამე ბალის აღება. მერე კი უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებ.

ალექსანდრე არსენიძე: მსოფლიოს ჩემპიონატზე 18-წლიანებში ძალიან დიდი კონკურენცია იყო, რადგან ამ ასაკის ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი. სასიამოვნო ის არის, რომ მერი არაბიძემ კარგად გადაიტანა 48-საათიანი მგზავრობა, უმტკივნეულოდ გაიარა აკლიმატიზაცია და ერთი წლით უფროს კონკურენტებს აჯობა. კარგ ფორმაშია. ბოლო დროს განსაკუთრებით მისი პარტიების ხარისხი მომწონს. პუნქტუალური და შრომისმოყვარეა, ცხადია, ნიჭიერიც, ამიტომაც აქვს ასეთი წარმატებები. მადლობა ქუთაისის მერიას, რომელმაც მე და ჩემი შეგირდი ბრაზილიაში გასამგზავრებლად დაგვაფინანსა. დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და სამედიცინო კლინიკა LG, რომელსაც ყოფილი მოჭადრაკე ზაზა ლომინაძე ხელმძღვანელობს. თუ ასეთი თანადგომა იქნება, მერწმუნეთ, მერი არაბიძე უფრო დიდ სარბიელზეც გვასახელებს.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

ციცაძე ჯოკოვიჩთან დამარცხდა

ქარიული ვაჟთა ჩოგბურთი რომ სავალალო მდგომარეობაშია, ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის. დღეისათვის, საქართველოს პირველი ჩოგანი 18 წლის **გიორგი ციცაძეა** (1247), რომელსაც სულ რაღაც 3 სარეიტინგო ქულა აქვს და ათასეულს მიღმაა. სწორედ, ციცაძე ცდილობდა ანთალიაში 10-ათასიანი საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევას. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ციცაძემ იტალიელ **მატა კამპუსს** იოლად სძლია - 6:1, 6:0. მეორეში კი სერბ **მარკო ჯოკოვიჩთან** (10140) დათმო - 1:6, 2:6. მარკო მსოფლიოს პირველი ჩოგნის, **ნოვაკ ჯოკოვიჩის** უმცროსი ძმაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული სპორტი

● ცურვა

მხოლოდ წვრთნით შორს ვერ წავალთ



უკვე ვწერდით, რომ „ოლიმპიკის“ აუზში ვეტერანი მოცურავის დავით გაჩეჩილაძის სახელობის თასი გათამაშდა, რომელშიც თბილისის ქუთაისის, რუსთავის, საჩხერისა და ჭორვილის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

- გულსატკენია, რომ შეჯიბრებაში ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლებმა ვერ იასპარეზეს, თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ამ ქალაქებში აუზები ამუშავდა, ამიტომ მათ არ ჰყავთ ისეთი სპორტსმენები, რომლებიც თუნდაც ქვეყნის მასშტაბით გამართულ ტურნირებში გამოვლენ, - გვითხრა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზურაბ ხომასურიძემ.** - არადა, წლების განმავლობაში ამ ქალაქებიდან ქვეყნის ნაკრები ღირსეულ შევსებას იღებდა.

მართალია, ბოლო დროს თბილისში მომრავლდა საცურაო აუზები, მაგრამ სპორტული ჯგუფები ახლა იკრებენ ძალებს, ამიტომ მათ შეჯიბრებებზე კონკურენტუნარიანი სპორტსმენების გამოყვანას ჯერ ვერც მოვთხოვთ. სამაგიეროდ, ამ ტურნირზე უწინდებურად იყოჩაღეს „ლაგუნა ვერეს“ წარმომადგენლებმა. ურიგო შედეგები არ ჰქონიათ, მაგრამ მეტს ველით სპორტკლუბ „ტონუსის“ მოცურავეებისა და დიდმელებისგან. მით უმეტეს ახლა, რადგან 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის აქედანვე უნდა ვემზადოთ, რათა სტუმრებს კონკურენტუნარიანი გუნდით დავხვდეთ. სპორტის სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და თბილისის მერია დახმარებას გვპირდება. სახელმწიფო, ალბათ, ყველაფერს ვერ გასწვდება, ამიტომ დამატებითი სახსრები უნდა მოვიძიოთ. ხშირი სტარტებია საჭირო როგორიც შინ, ისე უცხოეთში. უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, რასაც რამდენიმე თვეა, კოლეგების დახმარებით ვცდილობ. უპირველესად, კონტაქტების გაფართოებას ვაქცევ ყურადღებას. უკვე დავუკავშირდი ყოფილ მოცურავეებს, რომლებიც ბიზნესში მოღვაწეობენ. ერთ-ერთი პირველი დავით გაჩეჩილაძე გამოგვეხმაურა, რომელმაც შესანიშნავი შეჯიბრება დაგვიფინანსა. ახალი სეზონისთვის სექტემბრიდან დავიწყეთ მზადება, თუმცა მარტო წვრთნით შორს ვერ წავალთ. სპორტსმენებს სტარტები სჭირდებათ. წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები - ირაკლი რევიშვილი და ირაკლი ბოლქვაძე, თურქეთში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის ნახევარფინალისტი თემურ კობახიძე, ასევე, დავით სიხარულიძე და გიგი მთვრალაშვილი ლონდონის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად მოსინჯავენ ძალებს - რამდენიმე სალიცენზიო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. თურქეთში კოლეგებს შევეხმიანე. ისინი საწვრთნელ შეკრებაზე გვეპატიჟებიან თავიანთი ხარჯებით, მხოლოდ გზის ფული იქნება ჩვენი. ეს შეკრება, სავარაუდოდ, იანვარ-თებერვალში მოეწყობა და მხოლოდ ის მოცურავეები გაემგზავრებიან, რომლებსაც ლონდონის საგზურების მოპოვების შანსი აქვთ. გაცვლითი პროგრამა დავგეგმეთ ესპანელ მოცურავეებთან - პირენეელები ზამთარში გვეწვევიან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე, მაისში კი ჩვენ გავემგზავრებით ესპანეთში. საგულისხმოა, რომ შევიგულეთ სპონსორი, რომელიც ჩვენს მოცურავეებს სამ საშინაო შეჯიბრებას და ამდენივე საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებას დაუფინანსებს.

მართალია, წლეულს ჩვენი მწვრთნელებისა და მსაჯებისთვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით საერთაშორისო სემინარი მოვაწყვეთ, მაგრამ კვალიფიკაციის ასამაღლებლად კიდევ ბევრის გაკეთება გვმართებს, რის აუცილებლობაშიც დავით გაჩეჩილაძის სახელობის თასის გათამაშებამაც დაგვარწმუნა. გიორგი აბზიანიძე ამას წინათ ოთხკვირიან სწავლებაზე იმყოფებოდა ამერიკაში და იქიდან საინტერესო მასალებით დაბრუნდა. იგი ინფორმაციას სხვა მწვრთნელებსაც გაუზიარებს. ვეცდებით, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი არ შევანელოთ.

ვაჟა დანელია

● კომპიუტერული თამაში



პრეზენტაცია

კომპიუტერული თამაშის – „ქართული სპორტი“ პრეზენტაცია გუშინ „სპორტ კაფეში“ გაიმართა. სპორტულ-შემეცნებითი თამაშის შექმნის ინიციატორი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროა, ონლაინვერსია კი **აკა სულავამ** დაამზადა და სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. თამაშში ჩართვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

კითხვები სამი სირთულისაა. საწყის ეტაპზე საიტი ღია იქნება, სამომავლოდ კი დარეგისტრირებისა და ყველა კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებულებს სამინისტრო დააჯილდოებს. კითხვები შეეხება ქართულ სპორტსა და ქართველ სპორტმენებს, სხვადასხვა წლებში მათ მიერ მიღწეულ წარმატებებსა და სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს.

ლადო ვარძელაშვილი: „სასიამოვნოა, რომ პრეზენტაციას, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან ერთად სკოლის მოსწავლეებიც ესწრებიან, რომლებიც, მჯერა, დიდი სიამოვნებით ითამაშებენ, გამორჩეულები კი სამინისტროსგან საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. თამაში ახალგაზრდებში ხელს შეუწყობს ქართული სპორტის პოპულარიზაციას, რაც ასევე მნიშვნელოვანია“.

ფოტო - თამუნა ყულუმბეგაშვილი
სამინისტროს პრესსამსახური

თვალდასადები

არშემდგარი ფეხბურთელი, მაგრამ თეატრისა და კინოს შემდგარი მსახიობი - ბადრი ბეგალიშვილი

დიდუბეში ვცხოვრობ. ყმაწვილობა და ყრმობა მაუდის ფაბრიკის („სუკონკის“) სტადიონთან ახლოს გავატარე და, რა გასაკვირია, ფეხბურთის სიყვარულს გადავერიე ადრეული ასაკიდანვე.

მე ფეხბურთის სიყვარულმა რომ გადამრია, ჩემი მეზობლები ჩემმა ყვირილმა - სულ შენი ხმა ისმის, რა გჭირს, რა გემართებაო. თუ ასე განუხებთ ჩემი ხმა, მიყიდეთ, ბატონო, სახლი ვაკეში და იქ გადავალ-მეთქი - დავარიგე ჭკუა, მაგრამ არ ქნეს.

ფეხბურთიდან თეატრში იმიტომ გადავბარგდი, რომ „სევდიან ფეხბურთელობას“ მაინც მხიარული მუსკომედია ვამჯობინე. რატომ სევდიანიო? იკითხავთ. მქონდა სამიოდე სერიოზული „ჩავარდნა,“ რამაც გული ამიცრუა ფეხბურთზე.

პირველი: ერთ-ერთი მატჩის წინ ხმა დაირხა, რომ თამაშს ფეხბურთის ჯადოქარი მიშა მესხი ესწრებოდა. მოვინდომეთ და რა მოვინდომეთ!

მომეცა საშუალება თავი მომეწონებინა და შევეცადე მის სტილში მეთამაშა. გამიმართლა იმ დღეს, მიშას მიმსგავსებული ფინტებით რამდენიმე ფეხბურთელი ზედიზედ მოვატყუე. გავედი პირისპირ მეკარესთან და... ბურთი ჩემს თანაგუნდელს გადავაწოდე, რომელმაც ააცილა...

ეს ჩემი „დიდსულოვნება“ მესხმა არ დამიფასა და მატჩის შემდეგ ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

მიშა: - რატომ არ დაარტყი?

მე: - შემეშინდა.

- რისი შეგეშინდა, კაცო?

- რომ არ ამეცილებინა.

- იმ პოზიციიდან, შენ რომ იყავი, ყავარჯნებიანი ინვალიდიც ვერ ააცილებდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა - შემირცხვინე „პოჩერკი“, შენ რა გითხარიო.

ჩამწყდა გული. არ დამიფასდა რაინდობა.

მეორე: ჩვენს გუნდს ავარჯიშებდა მოთამაშე მწვრთნელი რაჩიკ ბაბაჯანიანი. ერთხელაც მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. მე უნდა დამერტყა. დავდე ბურთი მსაჯის მინიშნებულ ადგილზე და ვიხევ-უკან.

- რას აპირებ? - მეკითხება ჩუმად რაჩიკა „ტრენერი“.

- გავათამაშებ.

- არა, ეგ არ ქნა, პრიამა კარში სთხლიშე! - გაიგე შენა!?

ასეც მოვიქეცი, გვარიანი გამოქანება... დარტყმა და ბურთი ბადეშია. პირველი ტაიმიც დამთავრდა. მომცივდნენ ბიჭები, მეხვევიან, მკოცნიან, მილოცავენ.

- მაიცათ, ტო, მაიცათ! - იყვირა რაჩიკამ. მაგ ბემურაზს რა „პაჩებს“ უკეთებთ ტო? ბურთი მე გავიტანე, ტო?

- ეს როგორ - გაუკვირდათ მომლოცველებს.

- ეგა, მე რომ არ მეთქო, არ არტყავდა, „რაზიგრიშს“ აპირებდა, მე ვუთხარი კარში გლიჯე-მეთქი (არადა, „სთხლიშე“ მითხრა!)

- ბოდიში, რაჩიკჯანო - ახლა იმას დაუწყეს ხვევნა-კოცნა. არ მეტკინებოდა გული?!

მესამე: ერთხელაც ისევ „სუკონკის“ სტადიონზე ვთამაშობთ. დაინიშნა კუთხური და მე უნდა დავარტყა. მოულოდნელად უჩვეულო ყიჟინა ატყდა. გამიკვირდა, რა ხდება-მეთქი. თურმე მამაჩემი შემობრძანებულა სტადიონზე ზუსტად იმ მომენტში. პირდაპირ ჩემთან მოვიდა და მეუბნება (ისიც - რაჩიკასავით)

- რას აპირებ?

- კუთხურის დარტყმას - არ დავმალე.

- კაცი დაბერდი და ჭკუა ვერ ისწავლე, რა დროს შენი ფეხბურთია, თეატრს მიხედე, თეატრს!

მეტკინა გული, მაგრამ უკან არ დავიხიე:

- მაინც უნდა დავარტყა, მამი.

- შენც ერთბაშად ილია დათუნაშვილი არ მყავდე! - ჩაიქირქილა, ალბათ, ილიამ რომ ტაშკენტში სასწაული მოახდინა, იმაზე მიმანიშნებდა აშკარად.

- მაგასაც ვნახავთ! - ვთქვი და ვახსენე ღმერთი. ჩავახვიე ილიასებურად და „მადლობთ, უფალო!“ ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში არ აღმოჩნდა!? მომცვივდნენ, გახარებული თანაგუნდელები, დამიდეს წინ და მკოცნიან.



ბადრი ბეგალიშვილი

- მაგას რას ულოცავთ (ზუსტად რაჩიკასავით) უყვირა ბიჭებს მამაჩემმა, მე რომ არ წამექეზებინა (ილიათი), ეგ რისი გამტანი იყო, აპლოდისმენტები მე მეკუთვნის, მე დავიმსახურეო.

თფუ! - გავმწარდი და რა გავმწარდი. ბურთიც თქვენი იყოს და მოედანიც, აქეთ გამომხედავი აღარ ვარ-მეთქი და ნავედი და წავედი ჩემს თეატრში.

P.S. ძვირფასო „ლელო“, მე, ბადრი ბეგალიშვილი უმორჩილესად გთხოვთ, იქნებ ხმა მიაწვდინოთ „ვისაც ჯერ არს“, რომ „სუკონკის“ ერთ დროს აბიბინებულ და ახლა „ნასტადიონარ“-გაპარტახებულს ცოოოტა, სულ პააატარა ყურადღება დაუთმონ. ის ხომ თბილისის სპორტის მატიანის ერთ-ერთი ღირსეული ნაწილია. გეხვევით, თქვენი ბადრი...

მურმან მერკვილიშვილი

● ფალავანთა სამყაროს ფოტომატიანე

ეს ახალი რუბრიკა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა **გურამ საღარაძემ** შემოგვთავაზა.

„პირადად ჩემსა და სხვა ვეტერანი ქართველი მოჭიდავეების არქივებში უხვად მოიპოვება ფოტოები, რომლებსაც, რაც დრო გადის, ქართული სპორტის ისტორიისთვის მეტი მნიშვნელობა ენიჭება. თითოეულ ფოტოში ხომ წარსულის სუნთქვა იგრძნობა და ჟამგადასული განცდები იკითხება, ბოლოს და ბოლოს იქ ხომ ჩვენი ცხოვრების ძვირფასი წლებია ქართული სპორტის დიდებისთვის მსხვერპლად მიტანილი. ამ ფოტოების გამომზეურებით პატივს მივაგებთ მათ ხსოვნასაც, ვინც უკვე ნავიდა ამქვეყნიდან,“ - გვითხრა ბატონმა გურამმა.

დღეს გთავაზობთ ახალი რუბრიკის პირველ ფოტოს. სურათი გადაღებულია 1968 წელს თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსულ სტუმრებთან ერთად. მეორე რიგში მარცხნიდან მეოთხე **ვახტანგ კუხიანიძეა,** შუაში - **ვასილ ილურიძე,** მის გვერდით - ერთადერთი ქალი არბიტრი ჭიდაობაში საქართველოდან **ლარისა ბერიევა,** შემდეგ - **შალვა ნოზაძე,** სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი **ალექსანდრ დიაკინი** და **ვახტანგ ბალავაძე...**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჰაღათბურთი

● ევროჩელენჯი



დარჩა ერთი!

ქართული გასროლა გერმანიაში

„გოტინგენი"-"არმიას" გუშინდელი დაპირისპირება ტელევიზიით არ გადაცემულა. შესაბამისად, მატჩის მსვლელობას ფიბა-ევროპის საიტზე ტექსტურად ვეცნობოდით. ერთ განყოფილებაში საერთო სტატისტიკა იწერებოდა, მეორეში - ქრონოლოგია, მესამეში ლიდერების მონაგარი, მეოთხეში - დიაგრამა, რომელზეც ნაჩვენები იყო გუნდებს შორის ანგარიშში სხვაობა წუთების მიხედვით.

რატომღაც, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სწორედ დიაგრამამ მოახდინა, რომელიც მესოპოტამიის მდინარეებს მოგაგონებდათ: სპარსეთის ყურის შესართავთან ტიგროსი და ევფრატი ერთმანეთს უერთდება, ზემოთ მდინარეთა კალაპოტი ძალიან შორდება, ხოლო სათავეები ერთმანეთთან ისე ახლოსაა, თითქოს ერთი მთიდან გამოედინებიანო...

სწორედ ასე, გუშინდელი მატჩის დასაწყისშიც ანგარიშში სხვაობა უმნიშვნელოდ იცვლებოდა და პირველი მეოთხედიც ფრედ (17:17) დასრულდებოდა, სირენასთან ერთად არმიელ **სანდიატა გეინსს** ორქულიანი რომ არ ჩაეგდო.

მეორე პერიოდი **ანატოლი ბოისამ** სამქულიანით გახსნა, მას ფარქვეშიდან **იოკიმ შელბომმაც** აუბა მხარი და ტოლიკას მეორე ზუსტი შორეული ტყორცნის წყალობით „არმია" და „გოტინგენი" ერთმანეთს ტიგროსისა და ევფრატის შუაწელივით დაშორდნენ - 33:24 ქართული გუნდის სასარგებლოდ. სტუმრებმა ეს არ იკმარეს და დიდი შესვენების წინ ასევე სამქულიანით (**ჯერემი რიჩარდსონის** შესრულებით) 15 ქულით დაწინაურდნენ - 44:29.

ჯერემიმ, როგორც იტყვიან, თამაში მესამე პერიოდში იგრძნო, მონაგარს კიდევ 9 ქულა მიუმატა (სამი სამქულიანის შედეგად) და მატჩში ყველაზე დიდი, 20-ქულიანი ჰანდიკაპი დააფიქსირა - 55:35.

29 ნოემბერი

გოტინგენი-არმია 61:69

17:19, 12:25, 12:11, 20:14

1670 მაყურებელი

მსაჯები: *მაურო პოძანა (იტალია), იანუშ ჩალიკი (პოლონეთი), ათანასიოს იკონომოუ (შვედეთი)*

გოტინგენი	წთ	თამ.სრ.	თამ.სრ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.შეტ.	მ.საკ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ფ.შეტ	+/-	ქ
*5. ევანსი	26	6/12	50.0	6/12	50.0	0/0	0.0	0/2	0.0	4	5	9	1	1	0	0	3	4	-1	12
*8. ბეილი	36	2/9	22.2	0/4	0.0	2/5	40.0	2/4	50.0	1	4	5	1	1	0	0	4	2	-14	8
11. აპელეგბე	26	2/8	25.0	0/3	0.0	2/5	40.0	6/8	75.0	1	0	1	3	0	0	0	2	5	5	12
*21. ჰორნი	19	2/11	18.2	2/7	28.6	0/4	0.0	0/0	0.0	1	3	4	0	2	0	0	2	1	-6	4
22. ნოხი	25	3/8	37.5	1/3	33.3	2/5	40.0	0/0	0.0	0	0	0	2	4	0	0	4	2	-11	8
*24. უეგერი	32	3/4	75.0	3/4	75.0	0/0	0.0	1/2	50.0	0	2	2	2	2	0	0	5	5	2	7
*32. საიკსი	28	1/8	12.5	1/8	12.5	0/0	0.0	5/7	71.4	6	5	11	0	2	1	1	4	4	-13	7
44. მაფრა	7	1/1	100.0	1/1	100.0	0/0	0.0	1/1	100.0	0	0	0	0	0	0	0	1	1	-2	3
გუნდი										1	4	5		0			0			
ჯამი		20/61	32.8	14/42	33.3	6/19	31.6	15/24	62.5	14	23	37	9	12	1	1	25	24		61

არმია	წთ	თამ.სრ.	თამ.სრ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.შეტ.	მ.საკ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ფ.შეტ	+/-	ქ
*4. რიჩარდსონი	32	7/13	53.8	2/7	28.6	5/6	83.3	4/4	100.0	0	5	5	0	3	1	1	3	6	6	23
6. ბოისა	24	2/3	66.7	0/0	0.0	2/3	66.7	0/0	0.0	1	2	3	1	0	0	0	5	2	2	6
9. კვიმსაძე	3	0/1	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	1	0	0	1	1	-5	0
*10. ტომასი	37	5/12	41.7	5/11	45.5	0/1	0.0	2/4	50.0	2	11	13	3	5	0	0	2	5	6	12
*14. შელბომი	35	4/6	66.7	4/6	66.7	0/0	0.0	3/4	75.0	3	7	10	2	4	0	4	4	4	11	11
*15. დიასი	7	2/2	100.0	2/2	100.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4
21. საყვარელიძე	15	0/1	0.0	0/0	0.0	0/1	0.0	3/4	75.0	1	3	4	1	2	0	0	3	2	13	3
*24. გეინსი	39	4/13	30.8	3/9	33.3	1/4	25.0	1/3	33.3	1	2	3	6	4	2	0	4	5	8	10
35. ფრეიე	8	0/4	0.0	0/2	0.0	0/2	0.0	0/0	0.0	0	2	2	0	1	0	0	2	0	-1	0
გუნდი										4	1	5		0			0			
ჯამი		24/55	43.6	16/38	42.1	8/17	47.1	13/19	68.4	12	33	45	13	20	3	5	24	25		69

როცა საფინალო ზარამდე 12-13 წუთი რჩება, ასეთი უპირატესობა გამარჯვების მომასწავებელია. შესაძლოა, ეს კალათბურთელებმაც ირწმუნეს და ცოტა დამშვიდდნენ, რასაც „გოტინგენის" გამოფხიზლება მოჰყვა - გერმანელებმა მანამდე ნაჩვენები უზუსტობა, მეოთხე პერიოდში აინაზღაურეს, ქულა ქულას შეაწებეს და **კაილ ბეილის** სამქულიანის შემდეგ დეფიციტი 5 ქულამდე დაიყვანეს (59:64). დარჩენილ 32 წამში მასპინძელთა მწვრთნელმა ე.წ. ჯარიმების ტაქტიკას მიმართა, მაგრამ ისედაც ნათელი იყო, „გოტინგენი" „არმიას" ვერ დაეწეოდა.

საბოლოო ანგარიში **დავით საყვარელიძემ** ჯარიმებით დააფიქსირა - 69:61.

„არმიას" განაცხადში იყო ორი ახალწვეული **კლიფტონ ჰოუკინსი** და **მეტიუ ფრეიე**. პირველს არ უთამაშია, მეორემ 8 წუთი უქულოდ ჩაატარა.

პარალელურად ამავე ჯგუფის მატჩში „ბეშიქთაშმა" „ლეიდენი" თურქეთში დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე „არმიის" გასვლის შანსი საგრძნობლად გაზარდა. ამისთვის საჭიროა, ქართველებმა დარჩენილი ორიდან (მინ „ბეშიქთაშთან" და სტუმრად „ლეიდენთან") ერთი მაინც მოიგონ.

ქრონოლოგია

გოტინგენი-არმია

I პერიოდი

08:59	ჰორნი 2ქ (2:0)
08:30	უეგერი 2ქ (4:0)
07:27	**გეინსი 2/1ქ (4:1)**
07:05	**დიასი 2ქ (4:3)**
06:46	**შელბომი 2/2ქ (4:5)**
06:15	**ტომასი 2ქ (4:7)**
06:00	უეგერი 2ქ (6:7)
05:42	**რიჩარდსონი 2ქ (6:9)**
04:49	**რიჩარდსონი 2ქ (6:11)**
04:41	აპელეგბე 3ქ (9:11)
04:22	**შელბომი 2ქ (9:13)**
04:09	აპელეგბე 3ქ (12:13)
03:34	**დიასი 2ქ (12:15)**
03:10	ბეილი 3ქ (15:15)
01:10	**შელბომი 2ქ (15:17)**
00:47	ევანსი 2ქ (17:17)
00:00	**გეინსი 2ქ (17:19)**

II პერიოდი

09:29	**ბოისა 3ქ (17:22)**
08:52	ბეილი 2/2 (19:22)
08:18	**შელბომი 2ქ (19:24)**
07:51	**შელბომი 2ქ (19:24)**
07:45	ნოხი 2ქ (21:26)
06:59	**ტომასი 2ქ (21:28)**
05:42	მაფრა 2+1ქ (24:28)
05:37	**ტომასი 2ქ (24:30)**
04:56	**ბოისა 3ქ (24:33)**
04:23	**ტომასი 2ქ (24:35)**
04:07	აპელეგბე 2/1ქ (25:35)
03:48	**შელბომი 2/1ქ (25:36)**
02:01	**გეინსი 3ქ (25:39)**
01:30	საიკსი 2/2ქ (27:39)
00:12	**რიჩარდსონი 2/2ქ (27:41)**
00:04	აპელეგბე 2/2ქ (29:41)
00:00	**რიჩარდსონი 3ქ (29:44)**

III პერიოდი

07:59	ჰორნი 2ქ (31:44)
07:38	**რიჩარდსონი 3ქ (31:47)**
06:07	აპელეგბე 2/1ქ (32:47)
05:55	**რიჩარდსონი 3ქ (32:50)**
04:50	**გეინსი 2ქ (32:52)**
04:32	ნოხი 3ქ (35:52)
03:27	**რიჩარდსონი 3ქ (35:55)**
02:59	უეგერი 2/1ქ (36:55)
01:20	ევანსი 2ქ (38:55)
00:36	ნოხი 3ქ (41:55)

IV პერიოდი

08:56	ევანსი 2ქ (43:55)
08:02	**გეინსი 2ქ (43:57)**
07:26	ევანსი 2ქ (45:57)
06:55	**რიჩარდსონი 3ქ (45:60)**
06:37	საიკსი 2ქ (47:60)
05:01	საიკსი 2/1ქ (48:60)
04:38	**ტომასი 2ქ (48:62)**
03:43	ევანსი 2ქ (50:62)
03:19	**რიჩარდსონი 2/2ქ (50:64)**
02:35	საიკსი 2/2ქ (52:64)
01:59	ევანსი 2ქ (54:64)
01:06	ბეილი 3ქ (57:64)
00:32	უეგერი 2ქ (59:64)
00:29	**ტომასი 2/2ქ (59:66)**
00:21	აპელეგბე 2/2ქ (61:66)
00:21	**საყვარელიძე 2/2ქ (61:68)**
00:14	**საყვარელიძე 2/1ქ (61:69)**

ბეშიქთაში-ლეიდენი 76:69

22:16, 18:21, 13:18, 23:14

ბეშიქთაში: იაგმური (8ქ), ჰერსეკი (5ქ), აკინი (15ქ), ორენი, ჩეტინი (3ქ), კემპი (11ქ, 5მ, 3ვ), ჰოუკინსი (14ქ, 8მ, 3ვ), დაგლი (20ქ, 14მ).

ლეიდენი: სლაგთერი (9ქ, 5ვ), ჯექსონი (17ქ, 3ვ, 5მ), დე იონგი (6ქ), კენედი (7ქ), სასი (11ქ), ბოქსლი (9ქ), ხერაზი (1ქ), ჰილიანი (8ქ, 5მ), კანინგემი (1ქ, 3ვ).

B ჯგუფი

გუნდი	თ	გ	ნ	ქ
1. ბეშიქთაში	4	4	0	8
2. არმია	4	3	1	7
3. ლეიდენი	4	1	3	5
4. გოტინგენი	4	0	4	4

● ტრანსფერი

კიდევ ერთი NBA-მოვლილი არმიაში

● დოსიე

მეტიუ ფრეიე

აშშ/ლიბანი

დაიბადა: 02.10.1981
სიმაღლე: 208 სმ.
წონა: 109 კგ
ამპლუა: ფორვარდი/ცენტრი

კარიერა

200-04	ვანდერბილტი (NBAA)
2004	NBA-ს დრაფტზე „მაიამიმ" აირჩია და „ნიუ ორლეანს" დაუთმო
2004-05	ნიუ ორლეანი (NBA)
2005	აიდაჰო (აშშ)
2006	გაიამა ვიზარდსი (პუერტო რიკო)
2006-07	ატლანტა (NBA)
2007	გაიამა ვიზარდსი (პუერტო რიკო)
2007	არტლანდი (გერმანია)
2008	გაიამა ვიზარდსი (პუერტო რიკო)
2008	პონს ლაიონსი (პუერტო რიკო)
2009	ფუჯიან ძინძსინგი (ჩინეთი)
2009	კრეოლესი (პუერტო რიკო)
2009-10	ბეირუთი (ლიბანი)
2010	გუაინაბო (პუერტო რიკო)
2011	ჰეგრაიკა ვაძაგი (ურუგვაი)
2011	არმია (საქართველო)

საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე - „არმიაში" ახალი ლეგიონერის დამატებას უცხოური საიტებიდან ვიგებთ. გუშინ კიდევ ერთი ასეთი სიახლე წავიკითხეთ ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე. არმიელთა განაცხადში ახალდამატებული **კლიფტონ ჰოუკინსის** გვერდით (რომელზეც გუშინ გელაპარაკეთ) კიდევ ერთი უცნობი გვარია - **მეტიუ ფრეიე.**

თურმე, იგი უკვე გერმანიაში არმიელებთან ერთად ვარჯიშობდა და „გოტინგენთან" ითამაშა კიდეც.

ჯერ უკეთ გავიცნოთ მეტიუ და შემდეგ ვთქვათ, რამდენად საჭიროა „არმიასთვის". 208 სმ სიმაღლის ცენტრს, როგორც ჩანს, ძალიან უყვარს მოგზაურობა - 2004 წლის შემდეგ ზედიზედ ორ სეზონში ერთ გუნდში არ უთამაშია. ურუგვაი, ლიბანი, პუერტო რიკო, აშშ, გერმანია, ჩინეთი... ამ ვრცელ სიაში ფრეიემ წითელი კალმით საქართველოც აღნიშნა - 2010-11 წლების სეზონში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ღირსებას დაიცავს. ხაზი უნდა გაესვას მეტიუს სწრაფვას პუერტო რიკოსადმი, სადაც სხვადასხვა დროს ექვსჯერ მიბრუნდა.

იგი, როგორც პერსპექტიული ცენტრია 2004 წლის დრაფტზე „მაიამიმ" 53-ე ნომრად აირჩია. სწორედ იმ წელს **ვლადიმერ სტეფანიამ** „მაიამიდან" „პორტლენდს" მიაშურა და მისი 50-ნომრიანი მაისურა სწორედ ფრეიემ მოირგო. თუმცა, მაიამელებმა საზაფხულო ლიგის შემდეგ ტანმაღალი ამერიკელი „ნიუ ორლეანს" დაუთმეს.

მეტიუ ფრეიემ ორლეანელთა მაისურით 23 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 19.2 წუთში 4.0 ქულას, 2.7 მოხსნასა და 0.9 პასს აგროვებდა.

იმის მიუხედავად, რომ 11 მატჩი სასტარტო ხუთეულში ჩაატარა, ფრეიემ ამერიკა დატოვა და ერთი წლით პუერტო რიკოში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა იქ დიდი ხნით არ დარჩენილა - 2006-07 წლების სეზონში **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" მიიწვია და NBA-ს სეზონის სტარტზე 19 მატჩი ჩაატარა. ეს ის დრო იყო, ზაზა საშუალოდ 12 ქულასა და 8 მოხსნას რომ აგროვებდა. სათადარიგოთა სკამიდან ქართველის შემცვლელად კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელი **სტანისლავ მედვედენკოს** დამატება განიზრახა და ფრეიეს დაემშვიდობა. „ჰოქსში" მეტიუმ 19 შეხვედრა გამართა, საშუალოდ 7.7 წუთში 2.1 ქულასა და 1.3 მოხსნას ითვლიდა.

ამის შემდეგ ფრეიე აშშ-ში აღარ დაბრუნებულა, მოიარა აზია, ევროპა, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკა. 2009 წელს იგი ლიბანში მოხვდა, სადაც „ბეირუთის" ღირსებას იცავდა და იმავე წელს ლიბანის ნაკრებში მიიპატიჟეს. კედრების ქვეყნის ღირსება მეტიუ ფრეიემ 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიცვა (6.8 ქულა, 3.8 მოხსნა).

ამერიკელი ფორვარდი არმიელებს საქართველოს ჩემპიონატშიც დაეხმარება და მომდევნო სამშაბათს „ბეშიქთაშთან" გასამართ მატჩშიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი დამატება აუცილებელი იყო, რათა მძიმე ფორვარდ **უილიამ ტომასს** ამოსუნთქვის საშუალება მიეცეს. თავად განსაჯეთ: ტომასმა „გოტინგენთან" და „ბეშიქთაშთან" შეუცველად ითამაშა, ხოლო „ლეიდენთან" მხოლოდ 3 წუთი დაისვენა.

ფრეიეს სამქულიანების სროლაც ეხერხება და სიმაღლის გათვალისწინებით რიგ ეპიზოდებში არც ცენტრის ფუნქციების შესრულება უნდა გაუჭირდეს. ასე რომ, მისი დამატებით მწვრთნელ **კოტე ტულუშს** ნინა ხაზში ვარარების კარგი შესაძლებლობა მიეცემა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბესიკ ხამაშურიძესთან

მეჯი შეგვეძლო, მაგრამ უკმაყოფილო არ ვარ

ბურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

ქუთაისის „აიას“ წლეულს ერთი ნაბიჯი დააკლდა ჩემპიონობამდე, თუმცა, რიონისპირელთა მიერ მოპოვებული ვერცხლის მედლებიც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა რეგულარული ჩემპიონატი და ფინალშიც ღირსეულად იბრძოლა. ეს მაშინ, როცა სამოდე წლის წინ ქუთაისური გუნდი უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოდა. საქართველოს ჩემპიონატის ფინალში კი საერთოდაც 14-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა. „აიას“ წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გუნდის მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე გახლავთ, რომელსაც ახალდასრულებული სეზონის შეფასება ვთხოვეთ და სხვა საინტერესო თემებზეც ვესაუბრეთ.

- უპირველესად გასული სეზონი შევაფასოთ, კმაყოფილი ხართ თქვენი გუნდის ასპარეზობით?

- ცუდი სეზონი არ გვქონია, მაგრამ რადგანაც ჩემპიონები ვერ გავხდით, უკმაყოფილების გრძნობა მაინც დაგვრჩა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაბიჯი წინ არ გადაგვიდგამს. ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდი სწორ გზას ადგას. შარშანდელთან შედარებით ამ სეზონმა კიდევ მეტი გამოცდილება შეგვძინა და დაგვანახვა, თუ რაზე გვაქვს სამუშაო. რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ორი თამაში წავაგეთ. ეს არ არის იოლი საქმე. „ლოკომოტივს, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქე იყო და წლეულსაც არ ჰყავდა ცუდი გუნდი, ამ სეზონში ყველა თამაში მოვუგეთ. „ყოჩები“ წლეულს დასუსტებული იყო, მაგრამ თასის ფინალში კარგად ვნახეთ, როგორი თავდადებული და ვაჟკაცური თამაში აჩვენა. ამ გუნდთან ჩვენ საკმაოდ იოლად გავიმარჯვეთ. რთული თამაშები გვქონდა „ლელოსთან“, რომელიც წლეულს შედარებით დასუსტებული იყო. როცა „აიას“ აღორძინება დაიწყო, კლუბის ხელმძღვანელობამ სამწლიანი გეგმა დაგვისახა. მაშინ გათვლილი გვქონდა, რომ მესამე წელს ჩემპიონობა უნდა მოგვეპოვებინა. წლეულს ამ მიზნისაკენ მივისწრაფოდით და გვჯეროდა, რომ წარმატებას მივაღწევდით, მაგრამ ქართულ რაგბიში გამოჩნდა „არმია,“ კლუბი, რომლის დამარცხებაც ვერ შევძელით და ჩემპიონატში ვერცხლის მედლებს დავჯერდით.**

- ისე მოხდა, რომ ჩემპიონატსა და თასზე ბოლო ხუთი მატჩი „არმიასთან ჩაატარეთ და ხუთივე შეხვედრა დათმეთ. არადა. ამ მატჩების პირველ ტაიმში „აიას“ ჰქონდა სათამაშო უპირატესობა, რომელსაც მეორე ნახევარში ვეღარ ინარჩუნებდით, თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

- პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ „არმიას“ ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ფინანსური შესაძლებლობა აქვთ და კარგად დაკომპლექტებული კლუბია. საქართველოს ჩემპიონატში ვინც იყო გამორჩეული, თითქმის ყველამ ამ გუნდში მოიყარა თავი. მართალია, პირველ წრეში „არმია“ ფოთში დავამარცხეთ, მაგრამ მას შემდეგ 11 მორაგბე დაიმატეს და კიდევ უფრო გაძლიერდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენზე სხარტი გუნდია. ჩვენც ვცდილობთ, რომ ხელდახელ თამაშსა და მოძრაობაში სხვებს არ ჩამოვრჩეთ, სხვა გუნდებთან ეს კარგად გამოგვივიდა, მაგრამ „არმიამ“ ამ კომპონენტში გვაჯობა.

- ყველაზე გულდასაწყვეტი ჩემპიონატის ფინალში დამარცხება იყო...

- გამოცდილებით გვაჯობეს, თუმცა ფინალში ცუდად არ გვითამაშია. შეგვეძლო მოგება, მაგრამ უპირატესობა ხელიდან გავუშვით და დავმარცხდით. ვერავინ იტყვის, რომ წლეულს ჩემპიონობას არ ვიმსახურებდით. ყველამ ნახა, რა ბრძოლაც იყო ფინალურ შეხვედრაში, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც დაგვაკლდა, რამაც მიზნის მიღწევაში ხელი შეგვიშალა. შესაძლოა, ეს ფსიქოლოგიური მომენტიც იყო. ჩემპიონობას ვისახავდით მიზნად და ეს გუნდს ტვირთად დააწვა. ახალდაკომპლექტებულმა „არმიამ“ კი, რომელსაც პირველ წელს ასეთი ამბიცია არ ჰქონდა, ემოციურ ფონზე გაიმარჯვა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ კლუბის გამოჩენამ ანგარიშგასაწევი ფაქტის წინაშე დააყენა ქართული რაგბი. დღეიდან სხვა კლუბებმაც უნდა იზრუნონ, რომ ფინანსურად და შემადგენლობით „არმიას“ არ ჩამორჩნენ. ამ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ „არმიას“ გამოჩენა ქართული რაგბისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამით ჩვენმა ჩემპიონატმა 34 წლით წინ წაიწია. ხოლო თუ ამ გუნდის ქვეყნად მოვლენამ სხვა გუნდების დასუსტება გამოიწვია, მაშინ, პირიქით, ეს ქართულ რაგბის კარგს არაფერს მოუტანს.

- წლევანდელ ჩემპიონატზე რას იტყვით, საერთოდაც, ამაღლდა თუ არა ქართული სარაგბო კლუბების დონე?

- დამღლელი, მაგრამ ძალიან საინტერესო და დაძაბული ჩემპიონატი იყო, რომელიც ფინალურმა მატჩმა კიდევ უფრო გაალამაზა. წინსვლა აშკარად არის. თუნდაც, ჩემი გუნდის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ დონემ მოიმატა. ორი წლის წინათ იყვნენ მორაგბეები, რომლებსაც ელემენტარული ზუსტი პასის მინოდება უჭირდათ, დღეს კი ხელითაც კარგად თამაშობენ და გონებაც უჭრით. ესეც მოწმობს, რომ განვითარების გზას ვადგავართ.

- რა არის „აიას“ ძლიერი მხარე, რაც გუნდის წარმატებულ თამაშს განაპირობებს?

- ალბათ, ის რომ გუნდში მეგობრული ვითარებაა. პლუს ამას, მორაგბეებს ერთმანეთის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. ძლიერი შერკინება გვყავს, წლეულს ხელითაც კარგად ვთამაშობდით და ამ გზით არაერთი ლამაზი ლელო გავიტანეთ, თუმცა, დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ვიმედოვნებ, ნელ-ნელა უფრო მოუმატებენ. აქცენტს ადგილობრივ კადრებზე ვაკეთებთ და არა მარტო „აიას“,'არამედ მთლიანად ქართული რაგბის გაძლიერებისთვის ვმუშაობთ. ვცდილობთ, რომ სხვადასხვა ასაკობრივ თუ ეროვნულ ნაკრებებს რაც შეიძლება მეტი კარგი ახალგაზრდა მივანოდოთ. შარშან „აიაში“ რამდენიმე 17-18 წლის ბიჭი დავაწინაურეთ, რომელთაგან სამი გუნდისთვის დასაყრდენი ძალა გახდა. წლეულსაც გადმოვიყვანთ 6-7 მორაგბეს და მათაც მივცემთ გუნდის ძირითადში დამკვიდრების შანსს.

- როდესაც „აიას“ მწვრთნელად დაგნიშნეს, ზოგიერთი სკეპტიკურად შეხვდა ამ ფაქტს. ფიქრობდნენ, რომ მწვრთნელი, რომელიც მოთამაშეების თანატოლი და მეგობარია, გუნდში დისციპლინას ვერ დაამყარებდა. არადა, პირიქით მოხდა, ახლა ყველა აღნიშნავს, რომ „აია“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დისციპლინებული გუნდია. არ გაგიჭირდა ამის მიღწევა?

- არა, რადგანაც გუნდის წევრები გვერდში დამიდგნენ. ყველა გაგებით მოეკიდა ჩემს მოთხოვნებს და საერთო საქმისთვის ყველამ მაქსიმუმი გაიღო. მორაგბეები არ იყვნენ შეჩვეული დიდ დატვირთვებს, ამიტომ ბევრმა ვერ გაუძლო და იძულებული გახდა, რეალობისთვის შეეხედა. ბევრმა კი გაუძლო და ახლაც ერთად ვიბრძვით „აიას“ ნარმატებებისთვის. ამ სამ წელიწადში იმდენი ენერგია დავხარჯე, რომ ბევრი ბარე ათი წელი ვერ დახარჯავს. ამ ხნის მანძილზე ბიჭებთან ერთად მეც ბევრი რამ ვისწავლე და შევიძინე. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გვერდში დამიდგა.

- წლების განმავლობაში საფრანგეთში მაღალ დონეზე თამაშობდი. საქართველოს ჩემპიონატში გადმორთვა არ გაგიჭირდა?

- სხვათა შორის, პირველ წელს მართლა გამიჭირდა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ მწვრთნელის როლს ვერგებოდი და ორივე ამპლუაში ერთად გამიძნელდა. თუმცა, შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

- რთულია, იყო მოთამაშე და თან მწვრთნელი?

- ძალიან. როცა მინდორზე ხარ, უშუალოდ თამაშში ჩართულს, შესაძლოა, რაღაც ნიუანსები გამოგეპაროს. ძალიან მეხმარებიან მწვრთნელები კობა გიორგაძე და გიგა გურეშიძე. არა აქვს მნიშვნელობა, ვის ჰქვია მთავარი მწვრთნელი და ვის ასისტენტი, ჩვენ სამივე ერთ საქმეს ვაკეთებთ და ერთი მიზნისთვის ვიბრძვით. დიდად ვემადლიერები ვეტერან მორაგბეებს, რომლებიც ახალბედებს კარგ მაგალითს აძლევენ.

- წლევანდელი ბირთვი შენარჩუნდება?

- ჯერ-ჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. თუ ვინმეს წასვლა მოუნდება, არავის დავაკავებთ, თუმცა მჯერა, რომ წამყვანი ბირთვი შენარჩუნდება. ამასთან, გვსურს უცხოეთში მოთამაშე რამდენიმე ქუთაისელი მორაგბეც დავიმატოთ და ვნახოთ, რა იქნება.

- თუნდაც „აიას“ მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული საკლუბო რაგბი პროგრესის გზას ადგას. უახლოეს წარსულში ქუთაისური გუნდი უმაღლესი ლიგიდან იყო დაქვეითებული და არანაირი ფინანსური საშუალება არ გააჩნდა, დღეს კი, როგორც ვიცით, ამ მხრივ დიდი განსხვავებაა...

- კლუბში ბატონი გია გორგასლიძის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ დაინყო გუნდის აღორძინება. იცით, რომ სახელმწიფომ გამოყო საჩემპიონატო ბიუჯეტი, რომლისგანაც კლუბები გარკვეულ თანხას იღებენ. ჩვენი გუნდიც ძირითადად ამ თანხაზე იყო დაყრდნობილი. შემდეგ ბატონმა გიორგიმ შეძლო და კლუბს პარტნიორი მოუძებნა. ვერ ვიტყვით, რომ მორაგბეებს არნახული ანაზღაურება აქვთ, მაგრამ, როცა მახსენდება, ჩემს თაობას რა წლები და პირობები აქვს გამოვლილი, იმასთან შედარებაც არ შეიძლება. ნორმალური პირობები გვაქვს. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო თანამდგომ სპონსორს და იმედი მაქვს, რომ ეს კომპანია გაისადაც ჩვენ გვერდით იქნება. ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელობაც აქტიურად არიან ჩართული გუნდის განვითარების საკითხებში. მათი ხელშეწყობით წლეულს ქუთაისში „დინამოს“ სტადიონი მოეწყო და ორწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენს მშობლიურ ქალაქში თამაშიც შევძელით. გვითხრეს, რომ ქალაქის ახალ ბიუჯეტში „აიასთვისაც“ გაითვალისწინებენ გარკვეულ თანხებს. ჯერ არ ვიცით, რა და როგორ იქნება, მაგრამ აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ მომავალ სეზონში ფინანსურადაც უფრო გავძლიერდებით. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა სავარჯიშო მოედნის არქონაა. როგორც იცით, რაგბის აკადემიის მოედანზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და მას ვერ გამოვიყენებთ. რაგბის კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში მოედნის პრობლემა აღარ გვექნება, ამ ეტაპზე კი სხვა გამოსავალი არაა - სავარჯიშოდ სოფელ მესხეთში დავდივართ.

- „აიას“ მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ჰყავს. თქვენს თამაშებზე იმდენი მაყურებელი დადიოდა, რამდენიც ზოგჯერ საფეხბურთო მატჩებს არ ესწრება...

- ორი წელიწადი ქუთაისში არ გვეთამაშა და როცა „დინამოს“ სტადიონზე გადმოვდიოდით, ცოტა ეჭვიც გვეპარებოდა, მოვიდოდა თუ არა მაყურებელი სტადიონზე... ანმლაგი რომ დავინახე „ყოჩებთან“ მატჩში სტადიონის გახსნის დღეს, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა. დიდი მადლობა გულშემატკივრებს თანადგომისთვის და დარნმუნებული ვარ, მათგან მომავალშიც დიდი მხარდაჭერა გვექნება.

- სანაკრებო თემას გვერდს ვერ ავუვლით. წინა ორ მსოფლიო თასზე გუნდის წამყვანი მოთამაშე იყავი და იმედოვნებდი, რომ ახალი ზელანდიის მსოფლიოს თასზეც მოხვდებოდი ნაკრების შემადგენლობაში, მით უმეტეს, რომ რიჩი დიქსონმა რუმინეთში ჩატარებულ ტურნირში თან გიახლა, თუმცა შემდეგ მსოფლიოს თასისთვის აღარ გამოგიძახა...

- დასამალი არ არის, რომ ძალიან გულნატკენი ვარ. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა, რატომ არ ვიყავი მწვრთნელისთვის მისაღები. მე პირადად გია ლაბაძის გამოუძახებლობაც გამიკვირდა. ვფიქრობ, ჩვენი გამოცდილება ნაკრებს გამოადგებოდა. ქართული კლუბებიდან ბევრი მორაგბე მიიწვიეს, ცუდ ფორმაში არ ვიყავი და ვფიქრობდი, რომ ნაკრებში მეც ვიქნებოდი, მაგრამ მწვრთნელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. ნაკრებში თამაშისას თავი არასდროს დამიზოგავს და ვერავინ მეტყვის, რომ სხვაზე ნაკლები პატრიოტი ვარ.

- დასრულებულად მიიჩნევ სანაკრებო კარიერას?

- ცხელ გულზე ვერაფერს გეტყვით, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ექსტრემალური სპორტი



რეაქტიული ადამიანი

უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ შვეიცარიის მოქალაქეები. 52 წლის თავზე ხელაღებული მფრინავი **ივ „ჯეტმენ“ როსი** პირველი ადამიანი გახდა მსოფლიოში, ვინც რეაქტიული ძრავებით აღჭურვილი თვითნაკეთი საფრენი აპარატით რეაქტიულ თვითმფრინავებს შეეჯიბრა.

ივ როსი აქამდე ცნობილი იყო იმით, რომ თავისი გამოგონების წყალობით მოკლე მანძილი გაიარა - კერძოდ, დიდ კანიონს შემოუფრინა. ახლა კი შვეიცარიელმა გადაწყვიტა უფრო სერიოზული გამოცდა მოეწყო თავისი საფრენი აპარატისთვის და შვეიცარიის ალპების თავზე ეფრინა, თანაც გვერდით ორი რეაქტიული თვითმფრნავი „ალბატროსი“ ამოიყენა.

ივ როსის გამოგონება ორი მყარი ფრთისგან შედგება. ის აღჭურვილია ოთხი რეაქტიული ძრავით, ხოლო ფრენის ტრაექტორია და სიმაღლე მხოლოდ პილოტის სხეულით რეგულირდება.

როსიმ ვერტმფრენის დახმარებით სტარტი ქალაქ სიონის გარეუბნიდან აიღო. მას რადიოთი ჰქონდა კავშირი რეაქტიული თვითმფრინავების პილოტებთან, რომლებიც თავზე ხელაღებულ ექსტრემალს რამდენიმე წუთის შემდეგ შეუერთდნენ.

ივ როსის ჩანაფიქრით, მას და ორ თვითმფრინავს რამდენიმე წუთი სინქრონულად უნდა ეფრინათ. მაგრამ „ალბატროსები“ ძლიერ სიმხურვალესა და ჰაერის ძლიერ ნაკადს აფრქვევდნენ, ამიტომაც როსი ზურგიდან ვერ მიუახლოვდა თვითმფრინავებს. ამიტომაც მოუწია გრძელი ვირაჟის შესრულებამ და მათთან მარჯვნიდან მისვლამ.

ბუნებრივია, შვეიცარიელის საფრენი აპარატისა და თვითმფრინავების სიჩქარეებს შორის დიდი სხვაობა იყო და სინქრონის დასაცავად პილოტებს სიჩქარის მინიმუმამდე დაგდებამ მოუნიათ.

ოპტიმალური სიჩქარის მონახვის შემდეგ როსი ორ თვითმფრინავს შორის მოექცა და დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში მათთან ერთად დედამიწიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე იფრინა.

მისიის შესრულების შემდეგ როსიმ ძრავები გამორთო და პარაშუტის დახმარებით უვნებელი დაეშვა მიწაზე.

● სნუკერი

რონი ო'სალივანმა პრემიერლიგა მოიგო

სნუკერში არსებობს სპეციფიკური ტურნირი, რომლის სახელწოდებაა - „პრემიერლიგა“. ის თავისი ფორმატით არ ერგება ნებისმიერი მოთამაშის სტილს. მაგრამ ეს არ ეხება **რონი ო'სალივანს** - ამ სნუკერისტს იმიტომ უნოდებენ „რაკეტას“, რომ მინიმალურ დროს ხარჯავს დარტყმისთვის. ნელს სატურნირო ბადემ პრემიერლიგის ფინალში სწორედ ო'სალივანი და ახალგაზრდა ჩინელი **დინ ჯუნჰუ** შეახვედრა.

პრემიერლიგა დროის შემოკლებული ფორმატით 2005 წლიდან შემოიღეს და იქიდან მოყოლებული, რონი მხოლოდ ერთხელ - 2009 წელს დარჩა ტიტულის გარეშე. დანარჩენი ფინალები ინგლისელის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა.

ფინალში დინ ჯუნჰუს თუნდაც ერთხელ ანგარიშის გათანაბრების შანსი არ ჰქონია. ო'სალივანი პრაქტიკულად ყველა ბურთს აგდებდა, ჩინელს კი საერთოდ არ მისდიოდა თამაში.

სამწუხაროდ, მთელი მატჩის განმავლობაში მაყურებელმა ვერც ერთი „სენჩური-ბრეიკი“ ვერ იხილა ლეგენდარული ინგლისელის შესრულებით. რონი ყველაზე ახლოს ამასთან მეორე ფრეიმში იყო, როცა მისი სერია 92-ე ქულაზე შეწყდა.

საბოლოოდ, ო'სალივანმა არანარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და 7:1 გაიმარჯვა. ეს იმედს უტოვებს რონის ფანებს, რომ ის გამოვა კრიზისიდან და მიმდინარე სეზონში პროფესიულ ტურში რამდენიმე სერიოზული ტურნირის მოგებას შეძლებს.

● კალათბურთი

ჩინურ ჭაკვეობაში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ის ვარსკვლავები, რომლებმაც ლოკაუტის პერიოდში ჩინეთში თამაში გადაწყვიტეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში 2012 წლის მარტამდე ვერ დაბრუნდებიან, - წერს ამერიკული პრესა. შეგახსენებთ, რომ NBA-დან ჩინურ კლუბებში თამაშობენ: **ჯეი არ სმიტი, კენიონ მარტინი, უილსონ ჩენდლერი** და **აარონ ბრუქსი**.

ჩინური კლუბების მფლობელებმა ულტიმატუმი წაუყენეს მოთამაშეებს: მათ შეუძლიათ დარჩნენ 2012 წლის მარტამდე, ითამაშონ და ხელფასი მიიღონ, ან უარი თქვან მატჩებში მონაწილეობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯამაგირის გარეშე დარჩებიან და მარტამდე მაინც ვერ შეძლებენ NBA-ში დაბრუნებას.

ამგვარი პრობლემები არ აქვთ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებს. მათ კონტრაქტებში მითითებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც ლოკაუტის დასრულებისთანავე შეეძლოთ ევროპის დატოვება და მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში დაბრუნება.

აი, იმ კალათბურთელების სია, რომლებიც ვალდებულნი არიან უახლოეს პერიოდში NBA-ში თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ:

ნიკოლა ბატუმი (ნანსი-პორტლენდი)
დანილო გალინარი (მილანი-დენვერი)
დენი გრინი (ოლიმპია-სან ანტონიო)
სერჟ იბაკა (რეალი-ოკლაჰომა)
ერსან ილიასოვა (ეფესი-მილუოკი)
ტაი ლოუსონი (ჟალგირისი-დენვერი)
ტიმოფეი მოზგოვი (ხიმკი-დენვერი)
ზაზა ფაჩულია (გალათასარაი-ატლანტა)
ნიკოლა პეკოვიჩი (პარტიზანი-მინესოტა)
კევინ სერაფინი (კახა ლაბორალი-ვაშინგტონი)
ტიაგო სპლიტერი (ვალენსია-სან ანტონიო)
დერონ უილიამსი (გეშიქთაში-ნიუ ჯერსი)
ჯორდან ფარმარი (მაკაბი-ნიუ ჯერსი)
სემიჯ ერდენი (გეშიქთაში-კლივლენდი)

■ ■ ■

როგორც თურქული პრესა წერს, თურქეთის „ბეშიქთაში“ აპირებს ხმარებიდან ამოიღოს **დერონ უილიამსის** სათამაშო ნომერი.

„ნიუ ჯერსის“ ამერიკელი გამთამაშებელი თურქულ კლუბში ლოკაუტის პერიოდში თამაშობდა და ამ მოკლე ხანში „ბეშიქთაშის“ ფანების კერპად იქცა. ახლა კი დერონს ამერიკაში დაბრუნება მოუწევს.

უილიამსი ევროჩელენჯის მესამე ტურის საუკეთესო მოთამაშედ აირჩიეს. ამ ტურში ის FIBA-ევროპას ისტორიაში მეცხრე კალათბურთელი გახდა, ვინც ერთ მატჩში 50 ქულა დააგროვა.

დერონის საშუალო მაჩვენებლები თურქეთის ჩემპიონატში 19.7 ქულას, 6.4 შედეგიან გადაცემასა და 3.2 მოხსნას შეადგენდა, ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე - 24.6 ქულას, 6.0 პასსა და 2.4 მოხსნას.

დერონი თურქეთში

პოლს ნიუ იორკში უნდა

კრის პოლი

ლოკაუტის დასრულების შემდეგ ამერიკული პრესა სავსეა სატრანსფერო ინფორმაციებითა და ჭორებით.

„ბოსტონ სელტიქსი“ თავისი ძირითადი გამთამაშებლის - **რაჟონ რონდოს** გაცვლის ვარიანტს განიხილავს. კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, „სელტიქსის“ ლიდერ **პოლ პირსს** უფრო შედეგიანი პლეიმეიკერი სჭირდება.

გასულ სეზონში რონდომ 68 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 10.6 ქულა და 11.2 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

როგორც „იუტა ჯაზთან“ დაახლოებული წყარო წერს, ამ კლუბის შეფობა უკანა ხაზის გაძლიერებას გეგმავს და ამ მიზნით ორი კალათბურთელის - **ელ ჯეფერსონისა** და **პოლ მილსეპის** გაცვლას აპირებს. ჯერჯერობით-უცნობია, რომელი მოთამაშეების მიღება სურს ამ დუეტის ნაცვლად „იუტას“.

რაც შეეხება „ჯაზმენთა“ „მაღლებს“, არსებული ინფორმაციის თანახმად, გუნდში აქცენტს ბოლო დრაფტზე არჩეულ კალათბურთელებზე - **დერიკ ფეივორსსა** და თურქ **ენეს კანტერზე** გააკეთებენ.

■ ■ ■

თუ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ გადაწყვეტს მცველ **ბრენდონ როისთან** გამოთხოვებას, მაშინ ამ კალათბურთელთან კონტრაქტი შეიძლება გააფორმოს „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“.

როის ყოფილი აგენტი **ბობ მაიერსი** ამჟამად „უორიორზის“ მთავარი მწვრთნელის **მარკ ჯექსონის** ასისტენტად მუშაობს და მან შეიძლება გავლენა იქონიოს კალათბურთელის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

გასულ სეზონში როიმ „ბლეიზერსის“ რიგებში 47 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.2 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

NBA-ის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა **კრის პოლმა** 2012 წლიდან „ნიუ იორკ ნიქსში“ თამაშის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ მომავალი წლის ზაფხულში „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ ლიდერი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

„ნიუ იორკის“ გარდა, პოლით დაინტერესებას გამოხატავს „ლოს ანჯელეს კლიპერსი“, თუმცა კალიფორნიული კლუბის მთავარი პრიორიტეტი ლიგის საუკეთესო ცენტრის, „ორლანდო მეჯიქის“ ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** გაფორმებაა.

საშოთხე კალათბურთელებისთვის

ერთ-ერთმა ამერიკელმა კალათბურთელმა, რომელმაც გარკვეული პერიოდი ისრაელის ლიგაში ითამაშა, საინტერესო ინფორმაცია გაანდო ამერიკულ პრესას.

ინკოგნიტო მოთამაშემ განაცხადა, რომ მისი ბევრი თანამემამულე ისრაელის კლუბებს იმის გამო ანიჭებს უპირატესობას, რომ იქ მათ უპრობლემოდ შეუძლიათ მოიხმარონ მსუბუქი ნარკოტიკი.

„ისრაელში მარიხუანა ფართოდ არის გავრცელებული კალათბურთელებს შორის. თანაც ლაპარაკია არა მხოლოდ ამერიკელ კალათბურთელებზე - ადგილობრივი მოთამაშეებიც ერთობიან ამ ნარკოტიკით. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ადგილობრივი კლუბები არ ამოწმებენ თავიანთ მოთამაშეებს სისხლში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობაზე.

ჭორი ძალიან სწრაფად ვრცელდება და ამიტომაც ბევრი მიდის ისრაელში იმის ნაცვლად, რომ უფრო ძლიერ ჩემპიონატებში ითამაშონ. აქ კარგად იხდიან, კარგად კვებავენ, ყველა ლაპარაკობს ინგლისურად, მთელი წელი მზე ანათებს და ყოველდღე მარიხუანის მონევაა შესაძლებელი“, - განაცხადა ინკოგნიტო კალათბურთელმა.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კროსბი პირველი ვარსკვლავია

მიკო კოივუ

გუშინ, რეგულარულ ჩემპიონატში ოთხი მატჩი გაიმართა. ბოლო ხუთ ტურში პირველ გამარჯვებას მიაღწია „ნეშვილმა", რომელმაც შეძლო „ედმონტონის" ახალგაზრდა ვარსკვლავების შეჩერება - 2:1. თუმცა დიდი ხანი თამაში „პრედატორზისთვის" არასასურველი სცენარით ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც **ებერლემ** გახსნა ანგარიში, სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, სტუმრები დიდხანს ვერ ახერხებდნენ **ნიკოლაი ხაბიბულინის** კარის აღებას. მხოლოდ მატჩის ეკვატორზე **ში უებერმა** შეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და ანგარიშის გათანაბრება. გამარჯვება კი „ნეშვილს" **ნიკ სპალინგის** დარტყმამ მოუტანა საფინალო სირენამდე შვიდ-ნახევარი წუთით ადრე. აღსანიშნავია სტუმართა კარგი თამაში დაცვაში - მათ „ედმონტონს" მხოლოდ 18 ზუსტი დარტყმის შესრულების საშუალება მისცეს.

„დალასმა" სტუმრად მოუგო „კოლორადოს" - 3:1. ორივე გუნდმა შემტევი ჰოკეი აჩვენა. მართალია, „სტარზს" აკლდა ძირითადი მეკარე **კარი ლეჰტონენი**, მაგრამ მისმა შემცვლელმა **ენდრიუ რეიკროფტმა** 33 დარტყმა მოიგერია და დაამტკიცა, რომ მისი ნდობა შეიძლება. მეტოქის კარში კი „დალასმა" სამი გოლი გაიტანა. დუბლი შეასრულა **მაიკ რაიდერმა**, ერთი გოლი **ერიკ ნისტრიომმა** ჩაიწერა აქტივში. შეგახსენებთ, რომ „სტარზმა" ეს ფორვარდი" „მინესოტასგან" აიყვანა, რომელსაც შვედი ტრანსფერზე ჰყავდა დაყენებული. „დალასში" 28 წლის ნისტრიომს უკვე რვა გოლი აქვს გატანილი.

სტაბილურობით ვერ დაიკვეხნის „ტამპა ბეი", რომელმაც ბოლო ათ მატჩში მეხუთედ წააგო. „ფლორიდასთან" ორი წარმატებული მატჩის შემდეგ ეს გუნდი მინესოტაში ჩავიდა და იქ „ველურებთან" 1:3 წააგო. „ტამპას" ლიდერმა **სტივენ სტემკოსმა** სეზონში მე-15 შაიბა გაიტანა და სნაიპერთა დავაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა ამ მატჩიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ „მინესოტას" ფინელი ფორვარდი **მიკო კოივუ**, რომელმაც NHL-ში საიუბილეო - მეასე შაიბა გაიტანა.

დაბოლოს, „ლოს ანჯელესმა" მეკარე **ჯონათან კუიკის** შესანიშნავი თამაშით „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა „სან ხოსე". ეს კუიკისთვის მეოთხე „შათაუტი" იყო სეზონში და ის ამ მაჩვენებლით ლიგის ლიდერი გახლავთ.

კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ სათანადოდ აღნიშნა „პიტსბურგის" კაპიტნის **სიდნი კროსბის** დაბრუნება და ეს ფორვარდი გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა.

კროსბიმ ოთხ მატჩში ცხრა ქულა (2+7) დააგროვა, სარგებლიანობის კოეფიციენტი „+7" ჰქონდა და თავის გუნდს რეგულარულში ლიდერობის დაბრუნებაში დაეხმარა.

მეორე და მესამე ვარსკვლავის სტატუსი მეკარეებს ერგოთ. „ვანკუვერის" გოლკიპერმა **კორი შნაიდერმა** თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა. ამ შეხვედრებში „კენაქსის" მეორე მეკარე საშუალოდ 0.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.8 პროცენტს იგერიებდა. შნაიდერმა ორი „შათაუტი" შეასრულა.

მესამე ვარსკვლავია „სენტ ლუისის" გოლკიპერი **ბრაიან ელიოტი**. ის ზედიზედ ექვსი მატჩია არ მარცხდება, სულ კი ამ სეზონში 11-დან 10 მატჩში მოიპოვა გამარჯვება. გასულ კვირას ელიოტის სტატისტიკური მონაცემები ასეთი იყო: საშუალოდ 0.98 გაშვებული შაიბა, დარტყმების მოგერიების 96.3 პროცენტი და ერთი „შათაუტი". სხვათა შორის, ელიოტი ერთადერთი მეკარე იყო გასულ კვირას, ვის წინააღმდეგაც კროსბიმ ქულა ვერ აიღო.

მინესოტა-ტამპა ბეი 3:1

0:0, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 სტემკოსი-15, 1:1 კლატერბეკი-7 (მ. კოივუ-15), 2:1 ბუშარი-3 (ნ. ჯონსონი-4), 3:1 მ. კოივუ-4 (სპარჯონი-6, კლატერბეკი-3).

კოლორადო-დალასი 1:3

0:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 ნისტრიომი-8 (ფიდლერი-6, რობიდასი-5), 0:2 რაიდერი-8 (ლ. ერიქსონი-11, ლარსენი-2), 1:2 პორტერი-1 (დ. ჯონსი-7, ელიოტი-1), 1:3 რაიდერი-9 (ლ. ერიქსონი-12, პერდი-1).

ედმონტონი-ნეშვილი 1:2

1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ებერლე-8 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-15), 1:1 შ. უებერი-4 (რ. სატერი-11, ლინდბაკი-1), 1:2 სპალინგი-3 (ტუტუ-6, კ. სმიტი-10).

ლოს ანჯელესი-სან ხოსე 2:0

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 მორო-1, 2:0 მ. რიჩარდსი-11 (საიმონ განიე-8, უ. მიტჩელი-5).

აღმოსავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. პიტსბურგი*	24	14	6	4	32
2. ტორონტო*	24	14	8	2	30
3. ფლორიდა*	23	12	7	4	28
4. ბოსტონი	22	14	7	1	29
5. ფილადელფია	23	13	7	3	29
6. რაინჯერსი	20	12	5	3	27
7. ბაფალო	23	13	9	1	27
8. ვაშინგტონი	22	12	9	1	25
9. ნიუ ჯერსი	22	12	9	1	25
10. ტამპა ბეი	23	11	10	2	24
11. ოტავა	23	11	10	2	24
12. მონრეალი	24	10	10	4	24
13. ვინიპეგი	23	9	10	4	22
14. კაროლინა	25	8	13	4	20
15. აილენდერსი	21	6	11	4	16

დასავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. ჩიკაგო*	24	14	7	3	31
2. მინესოტა*	24	14	7	3	31
3. დალასი*	24	14	9	1	29
4. დეტროიტი	22	14	7	1	29
5. სტ. ლუისი	23	13	8	2	28
6. ლოს ანჯელესი	24	12	8	4	28
7. სან ხოსე	21	13	7	1	27
8. ფინიქსი	22	12	7	3	27
9. ვანკუვერი	23	13	9	1	27
10. ნეშვილი	23	11	8	4	26
11. ედმონტონი	24	12	10	2	26
12. კოლორადო	24	10	13	1	21
13. კალგარი	22	9	12	1	19
14. ანაჰაიმი	23	6	13	4	16
15. კოლაგბუსი	23	6	14	3	15

* - *დივიზიონის ლიდერი*

ბომბარდირები

გოლი+პასი

ფილ კესელი (ტორ)	31 (16+15)
კლოდ ჟირუ (ფილ)	29 (13+16)
ჯეფრი ლუპული (ტორ)	29 (11+18)
კრის ვერსტიგი (ფლო)	26 (12+14)
ტომაშ ვანეკი (ბაფ)	26 (12+14)
სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	25 (15+10)
ჯონათან ტუვეზი (ჩიკ)	25 (13+12)
რ. ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმ)	25 (10+15)
ჯეისონ პომინვილი (ბაფ)	25 (9+16)
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	25 (7+18)
დანიელ სედინი (ვან)	25 (6+19)

გოლები

ფილ კესელი (ტორ)	16
სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	15
კლოდ ჟირუ (ფილ)	13
ჯეიმს ნილი (პიტ)	13
ჯონათან ტუვეზი (ჩიკ)	13
ჯორდან სტაალი (პიტ)	12
მილან მიხალეიკ (ოტა)	12
ტომაშ ვანეკი (ბაფ)	12
რაიან სმიტი (ედმ)	12
კრის ვერსტიგი (ფლო)	12
ტაილერ სეგუინი (ბოს)	12

პასები

ერიკ კარლსონი (ოტა)	20
დანიელ სედინი (ვან)	19
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	18
ჯეფრი ლუპული (ტორ)	18
ვინიმ ბენი (დალ)	17
ბრაიან კემპბელი (ფლო)	17

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

ჰამბურგი-რეინჯერსი	2:1

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ბარნლი-იფსვიჩი	4:0
დერბი-ბრაიტონი	0:1
ლესტერი-ბლეკპული	2:0
მიდლსბრო-ვესტ ჰემი	0:2
მილუოლი-დონკასტერი	3:2
ნოტინგემი-ლიდსი	0:4
საუთჰემპტონი-ჰალი	2:1
უოტფორდი-ბრისტოლი	2:2
რიდინგი-პიტერბრო	3:2

I ლიგა

ჰარტლპული-პრესტონი	0:1

კონფერენსი

ბაროუ-ალფრეტონი	1:0
კემბრიჯი-ბეთი	1:1
ეგსფლიტი-კიდერმინსტერი	3:3
ფლიტვუდი-კეტერინგი	3:0
გრიმსბი-სტოკპორტი	7:0
ჰეიესი-ნიუპორტი	0:4
ლუტონი-ტელფორდი	1:1
მენსფილდი-გეიტშიდი	1:1
საუთპორტი-ფორესტ გრინი	1:3
ტამუორთი-ბრენტფორი	1:0
იორკი-ლინკოლნი	2:0

ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

კარდიფი-ბლეკბერნი	2:0
ჩელსი-ლივერპული	0:2
არსენალი-მანჩესტერ სიტი	0:1

იტალია

ნაპოლი-იუვენტუსი	3:3

იტალიის თასი

IV რაუნდი

პარმა-ვერონა	0:2
კატანია-ნოვარა	2:3

ესპანეთი

ბარსელონა-რაიო ვალეკანო	4:0

პოლანდია

II დივიზიონი

სპარტა-ემენი	1:1

ავსტრია

II დივიზიონი

ალტახი-აუსტრია (ლ)	1:1
ლუშტენაუ-სტ. ანდრა	0:2
გრიოდიგი-სტ. პოლტენი	2:0
ვენა-ჰარტბერგი	1:2

უელსი

ეგერისტვიტი-აფან ლიდო	1:1

მოლდოვა

ცსკა-კოსტულენი	0:0
დაჩია-ისკრა	1:2
აკადემია-ზიმგრუ	0:2
მილსამი-სფინტული	0:1
ნისტრუ-ტირასპოლი	1:1
შერიფი-ოლიმპია	0:0

კალათბურთი

ევროთასი

სპარტაკი-ბაიერნი	75:62
ლოკომოტივი-სკაილაინერსი	83:60
აზოვმაში-კრკა	66:71
აკადემიკი-ვალენსია	64:72
დონეცკი-ციბონა	98:81
რუდუტეკი-ციბონა	79:91
ვეფ რიგა-შოლე	69:53
პაოკ-ხიმკი	62:71
ჰაპოელი (ი)-გრაველენი	75:91
გრონინგენი-არისი	51:58
ალბა-ტუროვი	79:68
მონსი-ბუდუნოსტი	66:53
ცედევიტა-ბენეტონი	86:87 (ო)
ლე მანი-ლეტუვოს რიტასი	62:79
ოსტენდე-ვილერბანი	53:70
ბრან კანარია-ბანვიტი	85:61

ევროჩემპიონები

ნ. ნოვგოროდი-ატომერომუ	96:51
ვენტსპილსი-ხიმიკი	81:55
პროსტეევი-გოვერლა	78:64
ენკომი-ოლინი	70:67
ბეშიქთაში-ლეიდენი	76:69
ნორჩოპინგი-ფუენლაბრადა	79:119
პინარი-ტურკ ტელეკომი	81:83
ერტლანდი-კერავნოსი	93:75
ანტვერპენი-ენისეი	73:69
პო ორტეზი-შოლნოკი	67:75
როანი-პარდუბიცე	64:56
აალსტი-ტრიუმფი	83:84
შალონი-ოზგიტელკო	83:74

ფრანგული

მსოფლიოს თასი

კაცები

პოლონეთი-ეგვიპტე	3:0
კუბა-რუსეთი	1:3
ირანი-ჩინეთი	0:3
არგენტინა-იტალია	1:3
სერბეთი-ბრაზილია	3:1
იაპონია-აშშ	0:3

პოკერი

ქალ

მეტალურგი (ნ)-სკა	4:3 (ბ)
სიბირი-დინამო (რ)	5:3
ს. იულიაევი-მეტალურგი (მ)	3:1
აკ ბარსი-იუგრა	4:2
ნეფტიხიმიკი-ავანგარდი	1:3

გერმანია

ვოლფსბურგი-შტრაუბინგი	6:3

ნორვეგია

ვოლერენგა-სტავანგერი	4:3

ფინეთი

გლუზი-პელიკანსი	7:6 (ო)
იოკერიტი-ილვესი	3:5
კალპა-იუვიასკიულა	2:1
ტაპარა-ტპს	2:5
ესეტი-საიპა	1:2

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ტრეინეეცი	3:1
ბუდეიოვიცე-კლადნო	5:2
კარლოვი ვარი-ბოლესლავი	6:0
ბრნო-ულინი	0:1
პარდუბიცე-ლიტვინოვი	5:1
სპარტა-სლავია	2:1 (ო)

შვეიცარია

კლოტენი-ამბრი პიოტა	6:2
ლუგანო-რაპერსვილი	4:2
ფრიბურგი-ლანგნაუ	2:0
ცუგი-ბილი	7:1

შვედეთი

ბრინასი-ჰმ71	4:3
ვაძსიო-აიკ	1:0 (ო)
ლულეა-ტიმრა	1:2 (ო)
იურგორდენი-ოდო	3:5

TV პროგრამა

30 ნოემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ნაპოლი-იუვენტუსი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ჩელსი-ნიუკასლი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
19:00 მალაგა – ვილარეალი
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტურის, მიმოხილვა.
23:00 ყოველკვირეული ტელეფეურნალი - WORLD OF FOOTBALL.
00:00 ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-კრისტალ პალასი (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რაიო ვალეკანო.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მიამი.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. გოდოი კრუსი-ბოკა ხუნიორსი.
17:00 სპორტული ტავარჯიში. მსოფლიო თასი. ტოკიო. იაპონია.
19:05 ყოველკვირეული ტელეფეურნალი - ემოციები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუეირენსე-კორინთიანსი.
21:50 ყოველკვირეული ტელეფეურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მიამი.

GMG-სპორტი 2

10:00 ყოველკვირეული ტელეფეურნალი - გზა ლონდონისკენ.
10:25 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი, ინგლისი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი, მანჩესტერ იუნაიტედი-ნიუკასლი.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
17:15 სუპერკოლაფი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
19:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ვასტრა-მანსტერი.
21:15 ყოველკვირეული ტელეფეურნალი - ტრანსეაორლდსპორტი.
22:00 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩპოინტი.
22:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სელტიკი-ატლეტიკო (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტოტენჰემი-პაოკ (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

18:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დინამო-მოდრანსკა (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-კრისტალ პალასი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

21:50 ევროპისლიგა-ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბრაგა-ბირმინგემი (LIVE).
23:55 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბილბაო-ნანსი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

16:55 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ქალები. უგმკ-ლოტოსი (LIVE).
21:40 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ტალგირისი-უნიკახა (LIVE).

SPORT+

20:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუბინი-ბენფიკა (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბამბერგი-ცსკა (LIVE).

EUROSPORT

20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).

კრივი

ჰეიმ ვიტალისთვის მზადება დაიწყო

დევიდ ჰეი

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 31 წლის ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** გამოაცხადა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონთან, 40 წლის **ვიტალი კლიჩკოსთან**. შეგახსენებთ, რომ ბოლო ბრძოლაში ბრიტანელმა WBA-ის ტიტული წააგო **ვლადიმერ კლიჩკოსთან**. ეს ამა წლის ივლისში მოხდა. იმ ბრძოლაში მოკრივეებმა თანაბრად გაიყვეს ჰონორარი, ახლა კი დევიდ ჰეი აცხადებს, რომ არ იმსახურებს ბრძოლის საერთო შემოსავლის თანაბრად განაწილებას და ნაკლებ წილზეც თანახმაა. დევიდისა და ვიტალის ბრძოლის გამართვა მარტში გერმანიაში იგეგმება.

"კონტრაქტი ჯერ არ მინახავს, მაგრამ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, - ამბობს ჰეი. - კარიერის დასრულებამდე ვამბობდი, რომ მინდოდა ამ ბრძოლის გამართვა და სწორედ მარტში თავისუფალი ფანჯარა გამოჩნდა. უფროსი კლიჩკო ერთადერთია, ვის გამოც დავბრუნდები რინგ ზე.

წინა ბრძოლაში ვლადიმერთან შემოსავლის განაწილება თანაბარი იყო, ამჯერად ასეთ წილს არ ვიმსახურებ. ტიტული არ გამაჩნია, მაგრამ შემიძლია ამ ბრძოლას სანახაობა და მნიშვნელობა შევძინო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ჩემი კუთვნილი ჰონორარის გასაზრდელად.

არ ვიცი, გაიმართება თუ არა ეს ბრძოლა. მაგრამ მე შესანიშნავ ფორმაში ვიქნები. თუ ისინი მომცემენ იმას, რაც დავიმსახურე, სატელევიზიო რეიტინგის მხრივ ყველაფერი წესრიგში იქნება. სრული სერიოზულობით მოვეკიდები ამ ბრძოლას", - ამბობს ბრიტანელი მძიმეწონოსანი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

სეზონის სტატისტიკური შეჯამება

ბრაზილიის გრანპრის შემდეგ ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზა Forix-მა წელს უკანასკნელად შეაფასა ფორმულა 1-ის ჩემპიონატის სტატისტიკური მონაცემები.

ფეტელის რეკორდები

- 2011 წელს მე-15 კვალიფიკაციის მოგების შემდეგ **სებასტიან ფეტელმა** ნაიჯელ მენსელის 19 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა სეზონში მოგებული პოულების რაოდენობით. თუმცა მენსელის მიღწევა უფრო შთამბეჭდავი ჩანს, რადგან ბრიტანელმა 1992 წლის სეზონში 14 პოული მოიპოვა, ჩემპიონატი კი 16 ეტაპისგან შედგებოდა და არა 19-სგან, როგორც ეს წელს იყო. იმ წელს მენსელის საშუალო სასტარტო პოზიცია 1.19-ს უდრიდა, 2011 წელს ფეტელისა - 1.26-ს.

- ფეტელი პირველი პილოტია ფორმულა 1-ის ისტორიაში, ვინც სეზონის 17 რბოლის დროს ლიდერობდა - ამით მან **მიხაელ შუმახერის** რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც 2004 წელს იყო დამყარებული. გარდა ამისა, ფეტელმა სეზონში პოდიუმების რაოდენობით იმავე შუმახერის რეკორდი გაიმეორა - 17 პოდიუმი.

კლასიფიკაცია

- ამ წელს "რედ ბულის" ორივე პილოტმა მეშვიდედ აიღო სტარტი პირველი ხაზიდან. ეს ერთით ნაკლებია შარმანდელ მაჩვენებელზე. რეკორდი ეკუთვნით "მაკლარენსა" (1988) და "უილიამსს" (1993) - 12 დუბლი სტარტზე.

- "ფერარი" ერთადერთი გუნდია ამ სეზონში, რომლის ორივე პილოტი ყოველ გრანპრიზე კვალიფიკაციის ფინალში გადიოდა. "რედ ბულში" ერთხელ ვერ გავიდა ფინალში **მარკ უებერი** (ჩინეთის გრანპრიზე მე-18 სასტარტო პოზიცია ჰქონდა), "მაკლარენში" **ჯენსონ ბატონი** (მე-13 პოზიცია ბელგიაში).

- **ფელიპე მასას** მეშვიდე ადგილი კვალიფიკაციაში - ყველაზე უარესი სასტარტო პოზიციაა ბრაზილიელისთვის მაისში გამართული ესპანეთის გრანპრის შემდეგ.

- **ადრიან სუტილმა** სეზონის მსვლელობისას სერიოზულ პროგრესს მიაღწია კვალიფიკაციაში. პირველი შვიდი ეტაპის შემდეგ ის თანაგუნდელ **პოლ დი რესტასთან** 1:6-ს აგებდა, მაგრამ შემდეგ შეძლო ამ ლოკალურ ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ, 10:9 მოიგო.

- **ჰეიკი კოვალაინენმა** წელს 17-ჯერ აჩვენა კვალიფიკაციაში საუკეთესო შედეგი დებიუტანტი გუნდების პილოტებს შორის. ამ ბრძოლაში მისი ერთადერთი კონკურენტი იყო თანაგუნდელი **იარნო ტრული**. "ლოტუსის" ყველაზე სწრაფი პილოტი წელს ყოველთვის უსწრებდა კვალიფიკაციაში უახლოეს კონკურენტებს.

რბოლა

- მარკ უებერმა კარიერაში მეშვიდე რბოლა მოიგო და პირველი უნგრეთის ბრბოლამდე უებერი ლიდერობდა საუკეთესო წრეების რაოდენობით იმ პილოტებს შორის, რომლებსაც სეზონის განმავლობაში არც ერთი რბოლა არ მოუგიათ.

- ამიერიდან "რედ ბულს" 27 გამარჯვება აქვს და ის ამ მაჩვენებლით რეიტინგში მეშვიდე ადგილზე მყოფ "ბენეტონს" გაუთანაბრდა. პოდიუმების რაოდენობით (45) გუნდი გვერდში ამოუდგა "ლიჟიეს" და მასთან მეათე ადგილს იყოფს.

1. ფერარი - 216
2. მაკლარენი - 175
3. უილიამსი - 113
4. ლოტუსი - 79
5. ბრაბემი - 35
5. რენო - 35
7. ბენეტონი - 27
7. რედ ბული - 27
9. ტირელი - 23
10. BRM - 17

- ჯენსონ ბატონი კარიერაში 43-ედ ავიდა პოდიუმზე და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა შესაბამის რეიტინგში მე-14 ადგილზე მყოფ **ჯეკი სტიუარტს**.

- ფელიპე მასამ სეზონში მეხუთედ დაასრულა რბოლა მეხუთე ადგილზე. ბრაზილიელი ამ სეზონში არასოდეს ასულა პოდიუმზე. "ფერარის" ბოლო პილოტი, რომელმაც ერთ სეზონში ვერც ერთხელ ვერ შეაღწია პირველ სამეულში, **ივან კაპელი** იყო (1992 წელი). ის გუნდიდან ჩემპიონატის ფინიშამდე ორი რბოლით ადრე დაითხოვეს. ხოლო 1981 წელს დიდიე პირონი იყო ბოლო პილოტი, რომელმაც მთელი სეზონი ჩაატარა "ფერარის" ბოლიდით და ერთხელაც ვერ ავიდა პოდიუმზე.

- მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ შვიდი პილოტი ავიდა პოდიუმზე: **ფეტელი, ბატონი, უებერი, ალონსო, ჰემილტონი, ჰაიდფელდი** და **პეტროვი**.

- პირველად "ფორს ინდიას" ისტორიაში გუნდის ორივე პილოტმა ზედიზედ ორ რბოლაში მოიპოვა ქულები.

- **ლუის ჰემილტონმა** კარიერაში 90-ე რბოლა ჩაატარა და მხოლოდ მეოთხედ გამოეთიშა ეტაპს მექანიკური პრობლემების გამო.

ოფიციალურად: კიმი რენოში წავიდა!

ფრანგულმა საჯინიბო „ლოტუს-რენომ" გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში მისი ერთ-ერთი საპრიზო პილოტი **კიმი რაიკონენი** იქნება. ფინელმა უკვე მოაწერა ხელი ორწლიან კონტრაქტს.

32 წლის რაიკონენი ადრე „ზაუბერის", „მაკლარენისა" და „ფერარის" რიგებში გამოდიოდა. მას „სკუდერიას" ბოლიდით აქვს მოგებული 2007 წელს კარიერაში ერთადერთი ტიტული. 2009 წლის სეზონის დასრულების შემდეგ რაიკონენმა დატოვა „სამეფო რბოლები" და ძალები სცადა რალიში. 2011 წელს კიმიმ ნასკარის სერიაშიც მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები, მაგრამ ვერც იქ მიაღწია წარმატებას.

■ ■ ■

გუშინ, კიმი რაიკონენმა თავისი ახალი გუნდის პრესსამსახურს ინტერვიუ მისცა და განმარტა, რატომ გადაწყვიტა დაბრუნება და აღნიშნა, რომ მოტივაციის მხრივ პრობლემა არ გააჩნია.

- კიმი, რატომ გადაწყვიტეთ ფორმულა 1-ში დაბრუნება?

- მთავარი მიზეზი ისაა, რომ არასოდეს დამიკარგავს ფორმულა 1-ის მიმართ ინტერესი. წელს ძალები ვცადე ამერიკულ სერია ნასკარში და მივხვდი, რომ ყველაზე მეტად კონტაქტური ბრძოლა მაკლდა. რალიში მხოლოდ წამზომის წინააღმდეგ გინევს ბრძოლა, ნამდვილი პაექრობა კი სანატრელი მქონდა. ამ ერთი თვის განმავლობაში სასიამოვნო ურთიერთობა მქონდა „ლოტუს-რენოსთან". საბოლოოდ, კონტრაქტს მოვაწერეთ ხელი, რაც ძალიან მახარებს.

- რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „ლოტუს-რენო"?

- მხოლოდ ორი ვარიანტი მქონდა - ეს გუნდი ან „უილიამსი". საბოლოოდ, „ლოტუს-რენოსთან" იდეალურად აეწყო ურთიერთობა. აი, ეს არის მიზეზი.

- ადევნებდით თუ არა თვალს წელს ამ გუნდის გამოსვლას?

- შარშან საერთოდ არ დავინტერესებულვარ ფორმულა 1-ით, მაგრამ წელს მას დიდი ყურადღება დავუთმე. თუმცა კონკრეტულად რომელიმე გუნდს არ ვაკვირდებოდი. მხოლოდ ბრაზილიის გრანპრიზე გავაკეთე ეს, რადგან უკვე ვიცოდი, რომ „ლოტუს-რენოში" მივდიოდი, თუმცა გუნდში ამის შესახებ ყველამ არ იცოდა.

- როგორ ფიქრობთ, 2009 წლის შემდეგ ფორმულა 1-მა სერიოზული ცვლილება განიცადა?

- მთავარი განსხვავება - საბურავებშია. ძირითადად კი, ვფიქრობ, მანქანა ძალიან არ შეცვლილა. გაჩნდა უკანა მოძრავი ანტიფრთა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ღილაკია.

- რით განსხვავდებით იმ კიმი რაკონენისგან, რომელმაც 2009 წელს ფორმულა 1 დატოვა?

- არ ვიცი. ორი წელი გამოვტოვე, ერთხელაც არ ვმჯდარვარ ფორმულა 1-ის ბოლიდში. საინტერესო იქნება საჭესთან დაბრუნება. ორი შესანიშნავი წელი გავატარე რალიში, მაგრამ მაინც ძალიან გამიჭირდა. რთული სახეობა ყოფილა. მართლაც მოუთმენლად ველოდები დაბრუნებას. ვიცი, როგორ მუშაობს ფორმულა 1, იქ მრავალი წელი გავატარე, ხოლო რალისა და ნასკარში არ ვიცოდი, რა მელოდა. ამ მხრივ, დაბრუნება იოლი უნდა იყოს.

- უკვე დაიწყეთ სპეციალური ვარჯიშები ფორმულა 1-ში დასაბრუნებლად?

- დიახ. რალიში მუდმივად ვვარჯიშობდი, მაგრამ გასაგებია, რომ იქ სულ სხვა ფიზიკური დატვირთვები იყო - თითქმის მთელ კვირას საჭეს უზიხარ. ფორმულა 1-ში მეტი ფიზიკური მოთხოვნებია, მიუხედავად იმისა, რომ საჭესთან ნაკლებ დროს ატარებ. დიახ, დაახლოებით ერთი თვის წინ დავიწყე სპეციალური ვარჯიშები ფორმულა 1-სთვის. ყველაზე რთულია - კისრის მომზადება, მაგრამ დრო საკმარისად გვაქვს.

- მომავალ წელს სტარტზე მსოფლიოს ექვს ჩემპიონს ვიხილავთ. ეს დამატებით მოტივაციას გმატებთ?

- მოტივაციის ნაკლებობა რომ მქონდეს, არ დავბრუნდებოდი. ავტოსპორტში ყოველთვის ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ არავინ არ იცის სინამდვილეში რით ვარ დაკავებული და რას ვფიქრობ. მე არ მაღელვებს რას ლაპარაკობენ სხვები. სიამოვნებას ვიღებ ამ დაბრუნებით. ამას ჩემთვის სიამოვნება რომ არ მოჰქონდეს, კონტრაქტს ხელს არ მოვაწერდი. წინ ძალიან საინტერესო სეზონია.

ჯერ რედ ბული, შემდეგ მაკლარენი

ბრაზილიის გრანპრიმ დაასრულა ავტოსპორტში 2011 წლის სეზონი, ამიტომაც შესაძლებელია გარკვეული შეფასებების გაკეთება. ამისთვის კი ერთ-ერთი კარგი საშუალებაა Castrol-ის რეიტინგი, რომელიც არაერთხელ შეგვითავაზებია ავტოსპორტის მოყვარულთათვის.

სწორედ დღეს ვიღებთ ყველაზე ობიექტურ სურათს, რადგან პილოტთა პოზიციების გამოთვლისას ითვალისწინებენ ახლახან დასრულებული ჩემპიონატების სრულ შედეგებს.

გასული უქმეების შედეგების მიხედვით, ქულები შეეცვალათ ფორმულა 1-ის პილოტებს - ერთი წლის წინ აბუ დაბის ეტაპზე დაგროვილი ქულების ნაცვლად მან "ინტერლაგუშის" ტრასაზე გამოსვლისთვის მიიღეს ახალი ქულები. ამ სიტუაციაში მთავარი წაგებულია **ლუის ჰემილტონი** - ბრიტანელი 2010 წელს პოდიუმზე იდგა, ახლა კი ფინიშამდე ვერ მიაღწია. **ჯენსონ ბატონმა** კი დაადასტურა თავისი მესამე ადგილი და საბოლოოდ, გაასწრო რეიტინგში თანაგუნდელს.

თუმცა "მაკლარენის" პილოტები რეიტინგის მხოლოდ მესამე და მეოთხე ადგილებზე აღმოჩდნენ - მათ არამარტო **სებასტიან ფეტელმა**, არამედ **მარკ უებერმაც** გაუსწრო. მართალია, ავსტრალიელმა ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში წაგო ბატონთან, მაგრამ კვალიფიკაციებში უკეთ გამოსვლისა და რბოლების დროს უფრო მეტი სწრაფი წრეების წყალობით ორივე ბრიტანელს აჯობა სარეიტინგო რბოლაში.

პირველ ოცეულში სხვა ცვლილებები არ მომხდარა. საინტერესოა, რომ პირველი ხუთი ადგილი ფორმულა 1-ის პილოტებს ეკუთვნით, ამ სერიის შემდეგ პილოტი - **ფელიპე მასა** კი მხოლოდ მე-18 პოზიციაზეა.

ფორმულა 1-ის დებიუტანტებს შორის საუკეთესოა **პოლ დი რესტა** - ბრაზილიის გრანპრიზე კარგმა გამოსვლამ შოტლანდიელს რეიტინგში 36-ე ადგილი მოუტანა.

ქვეყნების ჩათვლაში პირველი სამეული შეადგინეს გერმანიამ, ავსტრალიამ და ბრიტანეთმა.

რეიტინგის ახალი ათეული

1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	31 442
2. მ. უებერი (ფორმულა 1)	21 777
3. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	19 745
4. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	19 305
5. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	18 663
6. უ. პაუერი (IndyCar)	17 427
7. ჯ. ედვარდსი (NASCAR)	16 584
8. დ. ფრანკიტი (IndyCar)	16 327
9. ს. ლოები (რალი)	15 998
10. ს. დიძსონი (IndyCar)	14 949

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა